ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№057 (12736) 11 მარტი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



## შეგრტი ნიკა ჩხეიძე შეცვალა

ინტერვიუ » 4

# რეალს ლიგა გაუფრინდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE




## 0:4 ...და კასილიასი მაინც საუკეთესო იყო




მეოთხედფინალში

ლივერპული
ბაიერნი
ჩელსი
ვილიარეალი

ტექნიკური შედეგები » 15

## ბრძოლა გლდანში, სეირნობა ბორჯომში

ლიდერი და მდევარი კვლავ უდანაკარგოდ » 2



## საკმარისი მოტივაციით

დღეს 15:00. მთავარი ჯახი რუსთავში

ოლიმპი-ზესტაფონი

წინათქმა » 3



### ოქსანამ გიზა ორჯერ მოინადირა

» 11 ჩოგბურთი



### ფაჩულია გადამწყვეტ მომენტში

» 12 კალათბურთი



### ძაგნიძე პირველ დაფას არ ცილდება

» 13 ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXIII ტური

# რთული მოგება ვაწაძის საშუალებით

**10.03. თბილისი. ამერი. 350 მაყურებელი**

**გაგრა-დინამო 0:1**

0:1 ვაწაძე (26. მერებაშვილის პასით)

გაგრა: თევდორაძე - კუპრეიშვილი (84. ქაჯაია), გიგაური, კოზლენკო, გაბუნია - გაბედავა, ტყეშელაშვილი (70. აბაშიძე), ჩარგეიშვილი, ცხადაია, შარიქაძე - ცხადაძე (84. ძაგანია).

*სათადარიგოები: ხომერიკი, ლ. სეთურიძე, მოსიაშვილი*

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, კრმკო, ხმალაძე - შ. კაშია, დილმელაშვილი, ნერგაძე - მერებაშვილი (90. კაკუბავა) - კოშკაძე (70. ჩარასი) - ვაწაძე (78. სპასოევიჩი).

*სათადარიგოები: ლორია, ლომია, ტომიჩი, ჯიუსი*

გაფრთხილება: ცხადაია (30), კოზლენკო (56), გაბედავა (61), შ. კაშია (83)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

მიმდინარე სეზონის სასტარტო ტურში ამ გუნდების მატჩი სენსაციური შედეგით დასრულდა - „გაგრამ" 2:1 მოიგო. მეორე შეხვედრაში **რაინერ ცობელის** გუნდმა ლიგის დებიუტანტთან რევანში აილო, როცა დიდი ანგარიშით (3:0) დაამარცხა. დინამოელებმა გუშინაც მოიგეს, მაგრამ... ძალიან გაუჭირდათ.

მეტოქეებმა ორი განსხვავებული ტაიმი აჩვენეს. შესვენებამდე სტუმრები დომინირებდნენ, ცობელის ბიჭებს ბარე სამ-ოთხჯერ უნდა გაეტანათ... მეორე ტაიმში კი უკეთ მასპინძლებმა ითამაშეს.

მატჩს ეროვნული ნაკრების თავკაცი **ექტორ კუპერი**, ასისტენტ **ხოსე ფანტაგუცისთან** ერთად ადევნებდა თვალს. იქ იყო ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძეც**, რომელსაც გვერდს მისი შტაბის წევრები - **მურთაზ შელია** და **დავით გვარამაძე** უმშვენებდნენ.

დინამოელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას. ცხადია, მათი მიზანი სწრაფი გოლი იყო. მე-7 წუთზე **ლევან ხმალაძემ** საჯარიმოში ჩააწოდა და **შოთა კაშიას** თავური ოდნავ ასცდა მიზანს. **დავით დილმელაშვილის** მიერ შესრულებული საჯარიმოს დროს კი ყველას **გიორგი ნერგაძემ** დაასწრო, მაგრამ მასაც მიზანმა უმტყუნა. გავიდა ერთი წუთი და „დინამომ" უკვე რეალური საგოლე მომენტიც შექმნა - **მათე ვაწაძის** ზუსტ დარტყმას მასპინძელთა მეკარე **რევაზ თევდორაძე** გადაეფარა. ამას მოჰყვა **გიორგი გაბედავას** პასუხი, მისი დარტყმული რიკოშეტით წავიდა, მაგრამ „დინამოს" მეკარე **დიდიე ოვონომ** იმარჯვა.

ორიოდ წუთში დინამოელებს ანგარიშის გახსნის მეორე რეალური შანსი ჰქონდათ. **გიორგი მერებაშვილმა** მოძებნა **ალექსანდრე კოშკაძე**, რომელმაც თავის მხრივ ვაწაძეს გადააწოდა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან მათემ არაზუსტად დაარტყა. ცოტა ხანში მან კიდევ ერთხელ ააცილა კარს...

ერთი სიტყვით, გოლი მომწიფდა. 26-ე წუთზე, დინამოელთა სწრაფი კონტრშეტევისას, მერებაშვილმა ვაწაძე მეკარესთან პირისპირ დატოვა ანგარიში გაიხსნა - 0:1. მალე დილმელაშვილს ცოტა დააკლდა, თორემ სხვაობას გაზრდიდა, არადა, „გაგრას" კარი დაუცველი იყო...

ტაიმის ბოლოსთვის ტემპი დაეცა. თუმცა „დინამოს" კიდევ ერთი შანსი ჰქონდა 42-ე წუთზე, როცა კოშკაძესთან ორთაბრძოლისას თევდორაძემ კარი დატოვა. მეკარემ ბურთი კი მოიგერია, თუმცა მცველებს შოთა კაშიამ დაასწრო, ძლიერად დაარტყა და მცველმა **დავით გიგაურმა** ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

დინამოელებმა მეორე ტაიმი სუსტად დაიწყეს. „გაგრამ" ამით ისარგებლა და თამაშის სადავეებს დაეუფლა. ერთი სიტყვით, შესვენების შემდეგ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა ბევრად უკეთესი ფეხბურთი აჩვენა, ეგ იყო, გოლის გატანა ვერ შეძლო. მომენტები კი ჰქონდათ - **ბაჩანა ცხადაძის** დარტყმული მიზანს ასცდა, მერე კი ოვონომ **გიორგი ცხადაიას** აუღო...

„დინამომ" მხოლოდ მეორე ტაიმის შუაწელში გაათანაბრა თამაში. ცობელმა დაღლილი ვაწაძე **ილია სპასოევიჩით** შეცვალა. ჩერნოგორიელი აქტიურად ჩაერთო თამაშში. თუმცა ჩემპიონის შეტევებს სიმწვავე და ორგანიზება მოაკლდა. 71-ე წუთზე დილმელაშვილის დარტყმულს თევდორაძის დროული რეაქცია მოჰყვა. მოგვიანებით, „გაგრას" მეკარემ მერებაშვილის ჩინებული გადაცემაც ჩაჭრა... ბოლო წუთებზე მასპინძლები კიდევ ერთხელ შეეცადნენ ქულის გადარჩენას, მაგრამ ღირებული ვერაფერი შექმნეს, საპირისპირო მხარეს კი შოთა კაშიამ მერებაშვილს კარგად გადააწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მიზანი ვერ გაასწორა.



დინამომ მათე ვაწაძის (№11) გოლით მოიგო

**მატჩის შემდეგ**

**რაინერ ცობელი (დინამო):** „რთული მატჩი გვქონდა, მოგება გაგვიჭირდა. დაცვასა და შუა ხაზში კარგად გამოვიყურებოდით და ამიტომაც იყო, მეტოქეს რეალური საგოლე მომენტი რომ არ ჰქონია. ისე, „გაგრამ" კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, და იმის საფრთხეც რეალურად არსებობდა, რომ ქულები დაგვეკარგა. ამ გუნდთან მატჩებში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მიხარია, რომ დღესაც მოვიგეთ".

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა):** „დინამოს" თამაშის მანერა კარგად ვიცოდი. ყველანაირად შევეცადეთ, მეტოქე შეგვებოჭა. ეს მეორე ტაიმში მოვახერხეთ. „დინამო" კი შევბოჭეთ, მაგრამ... ჩვენც შევიბოჭეთ, შეტევაში პრაქტიკულად ვერაფერი გავაკეთეთ. მთელი სეზონია, ერთსა და იმავეს ვიმეორებ - ამ გუნდს დრო სჭირდება. ბიჭებს სწორად თამაშს ვასწავლი და დიახაც, დროა საჭირო, რათა ეს აითვისონ, გამოცდილება გაიმდიდრონ, კლასი აიმაღლონ. მოვა დრო და „დინამოს" დარ გუნდებთან ტოლ-სწორად ვითამაშებთ... რა თქმა უნდა, თუ დაგვაცადეს. ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ვიბრძვით და იმედი მაქვს, ამას შევძლებთ კიდეც".

**დავით ცაგაძე**

**10.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი 800 მაყურებელი**

**ბორჯომი-ვიტ ჯორჯია 0:3**

0:1 კვარაცხელია (15. პენ), 0:2 ლიპარტია (66), 0:3 გ. დათუნაიშვილი (74. ზაქრაძის პასით)

ბორჯომი: შეყრილაძე - ვ. ხაჩიძე (46. მანციძე), მენთესაშვილი, ხითარიშვილი, ნ. ლომიძე - დათუნიშვილი (26. ქათამაძე), გოგიჩაიშვილი, ბაქრაძე, დევიძე, შ. ლობჟანიძე (63. ანთიძე) - პავლიაშვილი.

*სათადარიგოები: ოქრომელიძე, ტუხაშვილი, გოგოლაძე, გაჩეჩილაძე*

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - ბეჟვაია, ა. კვახაძე (75. მგელაძე), ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე (65. კვალინიძე), კლიმიაშვილი - ლიპარტია, კვარაცხელია (61. ზაქრაძე).

სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ხურცილავა, მაისაშვილი, სვანიძე

გაფრთხილება: ლიპარტია (50)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# გასეირნება ბორჯომში

## სად არის ოთარ გაბელია?

„ვიტ ჯორჯია" საჩემპიონო ბრძოლას აგრძელებს. ლიდერს დავრდომილ-დაჩაჩანაკებული „ბორჯომის" დამარცხება არ გასჭირვებია. ეს გუნდი სულს ლაფავს და ამის უტყუარი ნიშანი თამაშზე მათი მწვრთნელ-კონსულტანტის **ოთარ გაბელიას** არყოფნა გახლდათ. ოფიციალური ინფორმაციით, ის ავადმყოფობის გამო თბილისში დარჩა. როგორც ამტკიცებენ, სამწვრთნელო ლიცენზიის მქონე „ავადმყოფ" გაბელიას სეზონს ჩაამთავრებინებენ და კლუბს მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებს...

თამაში მოსაწყენი გამოდგა. თბილისელები მოედანზე საკმაოდ მოდუნებულები გამოვიდნენ. გამარჯვებაში მათ იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდათ. მაშინაც კი, როცა მასპინძლებმა პატარა შტურმის წამოწყება სცადეს, აშკარად გამოჩნდა, რომ ამის ძალა არ შესწევდათ.

ანგარიში შეხვედრის დასაწყისშივე გაიხსნა: **ჯაბა ლიპარტია** ბორჯომელთა საჯარიმოში შეიჭრა და მცველთან კონტაქტის შედეგად გაზონზე აღმოჩნდა. **ლაშა სილაგავამ** დაუფიქრებლად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რისთვისაც მასპინძელ ქომაგთა რისხვა დაიმსახურა. **ვახტანგ კვარაცხელიამ** პენალტი ზუსტად შეასრულა - 0:1.

25-ე წუთზე **ირაკლი კლიმიაშვილი** გოლის გატანას შორეული ძლიერი დარტყმით ცდილობდა, მაგრამ **ბექა შეყრილაძემ** ბურთი ნახტომში მოიგერია. ათიოდე წუთში, ლიპარტიას მშვენიერი გადაცემით, **გიორგი მელქაძემ** ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ „ბორჯომის" მეკარე კვლავ საიმედოდ გაისარჯა.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა - სტუმრები დაბალ ტემპში უტევდნენ, მასპინძლები კი ცდილობდნენ, მატჩი რაც შეიძლება პატარა ანგარიშით წაეგოთ, თუმცა ჩანდა, რომ ამის იმედიც გადაწურული ჰქონდათ.

სხვაობა 65-ე წუთზე გაიზარდა: ლიპარტია, რომელიც სტუმართა შორის ყველაზე აქტიური და მონდომებული გახლდათ, მასპინძელთა საჯარიმოში შეიჭრა და მოჭრილი დარტყმით შეყრილაძეს შანსი არ დაუტოვა - 0:2. ზუსტად ერთ წუთში ბორჯომელთა კიპერმა ახალგაზრდა **ბექა ზაქრაძეს** უმაღლეს ლიგაში პირველი გოლის გატანა არ დაანება - პირისპირ დარჩენილ თავდამსხმელს აჯობა. მართალია, ზაქრაძემ თავად ვერ გაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ, თანაგუნდელი ახეირა - მშვენიერი გადაცემა გაუკეთა **გიორგი დათუნაიშვილს**, რომელმაც საბოლოო წერტილი დასვა - 0:3.

82-ე წუთზე კლიმიაშვილს მეოთხე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ორიოდე მეტრიდან ისეთი ბურთი ააცილა, მისი კლასის ფეხბურთელს რომ არ ეკადრება. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" ყოველგვარი ნერვიულობისა და განსაკუთრებული ენერგიის დახარჯვის გარეშე 3 ქულა მოიპოვა. ისე, ასეთი თამაში არც ფეხბურთელებს არგებთ და ვერც ჩემპიონატს გაუკეთებს რეკლამას, მაყურებელსაც ხომ ვერა და ვერ მიიზიდავს...

**მერაბ მამულაშვილი**
ბორჯომი-თბილისი

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **ოსეზბიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
დღევანდელი მატჩების წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა

## ხვალ პრეზიდენტი მოდის...

ჯერ კიდევ თბილისის „დინამოსთან" გუშინდელ მატჩამდე გაჩნდა კულუარული, არაოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს „გაგრაში" მწვრთნელის შეცვლაა მოსალოდნელი. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერს წერტილი ერთ-ორ დღეში დაესმება.

ხვალ თბილისში ჩამოდის უკრაინაში მოსაქმე ბიზნესმენი, „გაგრას" პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძე** და მხოლოდ ამის მერე გაირკვევა ყველაფერი. როგორც შევიტყვეთ, საკითხი ასე დგას - „გაგრას" ახლანდელი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე** ან ჩაამთავრებს ამ სეზონს და მერე წავა გუნდიდან, ან ახალი მწვრთნელი ახლავე დაინიშნება. მოკლედ, ყველა ჩიხრაძის მოლოდინშია, განსაკუთრებით ხაჩიძე...

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

## სირაძისთვის რუსეთი დასრულდა
### საქართველოს ნაკრების ფორვარდი გაურკვევლობაშია

საქართველოს ნაკრების 27 წლის თავდამსხმელი **დავით სირაძე** უკვე სამ თვეზე მეტია, უგუნდოდაა. სირაძე სუპერკლუბში გადასვლას არ აპირებს და უცნაურია, რომ აქამდე ვერ გამოძებნა ნორმალური, სათავისო გუნდი. როგორც ჩანს, ამ ფეხბურთელმა აგენტის შერჩევისას მთლად სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღო...

სირაძით ბუქარესტის „სტიაუა" რომ დაინტერესდა, ეს ადრე გაუწყეთ. აგენტი დათოს ჰპირდებოდა - თუ რუმინული ვარიანტი არ გამოვა, რუსეთში უპრობლემოდ მოგაწყობ, ან ნალჩიკის „სპარტაკში" დაგაბრუნებ, ან „ტომში" მიგვიყვანო, მაგრამ...

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ ეტაპზე სირაძე რუსულ პრემიერლიგაში ვერ დაბრუნდება. ის ახლა „სტიაუასგან" ელოდება ზუსტ პასუხს, თუმცა ამ შემთხვევაშიც მისი შუამავალი ეს ინკოგნიტო აგენტია, რომელიც ფეხბურთელს ეუბნება - რუმინეთში სატრანსფერო ფანჯარა 25 მარტამდე ღიააო...

28 მარტსა და 1 აპრილს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მორიგი მატჩები (კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან) აქვს მიმდინარე შესარჩევ ციკლში და თუ სირაძემ ახლავე ვერ მოძებნა გუნდი, **ექტორ კუპერი** მას ალბათ არ გამოიძახებს.

დავით თავართქილაძე

## მუჯირი საუკეთესო იყო...

„ბაქის" ოფიციალურ ვებგვერდზე, გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად, ბოლო ტურის მატჩის („ბაქი"-"ყარაბახი") საუკეთესო ფეხბურთელად **ამირან მუჯირი** დასახელდა. ჩვენმა თანამემამულემ ხმების 25,5 პროცენტი მიიღო და მეორე ადგილზე გასულ **ერნად სკულიჩს** ერთი პროცენტით აჯობა. სხვათა შორის, ამ მატჩში გატანილი გოლი მე-11 აღმოჩნდა მუჯირისთვის, რითიც ბომბარდირთა დავაში ხაზარელ **ივან ცვეტკოვს** დაეწია, არადა, ამირანი ნახევარმცველია, ცვეტკოვი კი - გამოკვეთილი ფორვარდი.

„ყარაბახთან" მატჩში ყოფილა ერთი ეპიზოდი, რომელსაც ალტაცებაში მოუყვანია მაყურებელი - მუჯირმა ერთმანეთის მიყოლებით ხუთი მეურვე ჩამოიცილა და დიდებული პასით მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა **პერესი**, მაგრამ... ანგარიში ისევ თავად გახსნა - 26 მეტრიდან დაარტყა, ბურთი მეკარის წინ აიჭრა და ბადეში აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ამირანმა ტრავმა მიიღო. დღეს ის სამედიცინო შემოწმებას გაივლის...

ნიკოლოზ ნეფარიძე

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 6 | 1 | 37-12 | 48 |
| 2. დინამო | 21 | 15 | 2 | 4 | 46-15 | 47 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 12 | 3 | 5 | 26-14 | 39 |
| 4. ოლიმპი | 20 | 9 | 9 | 2 | 23-11 | 36 |
| 5. სიონი | 20 | 7 | 8 | 5 | 22-17 | 29 |
| 6. ლოკომოტივი | 20 | 8 | 3 | 9 | 24-21 | 27 |
| 7. მესხეთი | 20 | 5 | 8 | 8 | 15-25 | 22 |
| 8. მგლები | 20 | 5 | 4 | 11 | 17-27 | 19 |
| 9. გაგრა | 21 | 4 | 4 | 13 | 14-35 | 16 |
| 10. სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18-35 | 13 |
| 11. ბორჯომი | 21 | 2 | 6 | 13 | 16-46 | 12 |

| შინ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 30-7 | 28 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-7 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 15-6 | 21 |
| 4. ოლიმპი | 10 | 5 | 5 | 0 | 12-2 | 20 |
| 5. ლოკომოტივი | 10 | 5 | 0 | 5 | 12-8 | 15 |
| 6. გაგრა | 11 | 4 | 3 | 4 | 11-13 | 15 |
| 7. მგლები | 10 | 4 | 1 | 5 | 10-9 | 13 |
| 8. სიონი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-10 | 13 |
| 9. მესხეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-10 | 13 |
| 10. ბორჯომი | 11 | 1 | 4 | 6 | 8-20 | 7 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 3 | 6 | 10-18 | 6 |

| სტუმრად | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 3 | 0 | 19-5 | 27 |
| 2. დინამო | 11 | 6 | 1 | 4 | 16-8 | 19 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 5 | 3 | 2 | 11-8 | 18 |
| 4. ოლიმპი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-9 | 16 |
| 5. სიონი | 10 | 4 | 4 | 2 | 10-7 | 16 |
| 6. ლოკომოტივი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 7. მესხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 5-15 | 9 |
| 8. სპარტაკი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-17 | 7 |
| 9. მგლები | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |
| 10. ბორჯომი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-26 | 5 |
| 11. გაგრა | 10 | 0 | 1 | 9 | 3-22 | 1 |



| ბომბარდირები | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 11 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 9 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 8 |

დღეს

11.03. თბილისი
მ. მესხი. 15:00

ლოკომოტივი
მესხეთი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი;
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
დისკვალიფიკაცია: ფოფხაძე (ლოკომოტივი), ზვ. ჩხეტიანი (მესხეთი)

11.03. რუსთავი.
ფოლადი. 15:00

ოლიმპი
ზესტაფონი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: ზ. ფიფია, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია
დისკვალიფიკაცია: გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (ზესტაფონი)

11.03. ზუგდიდი
ცენტრალური. 15:00

მგლები
სიონი

არბიტრი: მ. ურუშაძე;
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ბ.ჭიჭინაძე;
მეოთხე მსაჯი: ა. ნონიკაშვილი
დისკვალიფიკაცია: ჯოჯუა, ა. ბაჯელიძე, ხუხია (სამივე მგლები)

მომდევნო ტური

**14 მარტი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-გაგრა

**15 მარტი, კვირა**

დინამო-სპარტაკი
სიონი-ზესტაფონი
მესხეთი-ოლიმპი
მგლები-ბორჯომი

*ლოკომოტივი ისვენებს*



2008 წლის 21 ნოემბერი. ბოლნისი. სიონი-მგლების მატჩი დიდი სკანდალით დასრულდა

## საკმარისი მოტივაციით

ოცდამესამე ტური გუშინდელი ორი მატჩით დაიწყო და, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე შეხვედრა ლიდერთა გამარჯვებით დასრულდა. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" და „დინამომ" საჩემპიონო რბოლა კვლავაც გააგრძელეს, ხოლო „ბორჯომისა" და „გაგრას" სატურნირო მდგომარეობა კვლავაც არასახარბიელო დარჩა.

ტურის დანარჩენი სამი შეხვედრა დღეს უნდა ჩატარდეს და სამივეს უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა აქვს. თუმცა ერთი მატჩი მაინც განსაკუთრებულია და ტურის ცენტრალურ დაპირისპირებადაც უნდა მივიჩნიოთ. ხვდებით, ალბათ, რომ „ოლიმპი"-„ზესტაფონის" შეხვედრას ვგულისხმობთ: მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ამ ორი გუნდის პაექრობამ გარკვეული სიცხადეც უნდა შეიტანოს. რა თქმა უნდა, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ კონკურენტების უშუალო დაპირისპირებას მაინც თავისი პენი აქვს. „ოლიმპი" სამი ქულით ჩამორჩება მეტოქეს და გამარჯვების შემთხვევაში ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო მეტ ინტრიგას შეიძენს; საყაიმო ანგარიშით, ალბათ, უკმაყოფილო არც ერთი გუნდი დარჩება; აი, სტუმართა გამარჯვების მერე კი, ორ გუნდს შორის სხვაობა ექვსი ქულა გახდება...

..."ოლიმპის" წაუგებელი სერია (სათასო მატჩების ჩათვლით), ჩვიდმეტ მატჩს ითვლის და **ვარლამ კილასონიას** გუნდიც, ალბათ, მაქსიმალურად შეეცდება ამ მაჩვენებლის გახანგრძლივებას. მით უმეტეს, რომ ძლიერ და პრინციპულ მეტოქესთან ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზებს - დისკვალიფიკაციის მოხდის მერე გუნდს უბრუნდებიან **გიორგი ონიანი და გიორგი მეგრელაძე**. სხვათა შორის, მასპინძლებს „ზესტაფონის" შემდეგ სამი რთული მატჩი ელოდებათ: „მესხეთთან", „დინამოსთან" და „ვიტ ჯორჯიასთან". თუმცა ვერც „ზესტაფონის" მწვრთნელ-ფეხბურთელები იქნებიან კმაყოფილი კალენდრით: შაბათს, თბილისში არცთუ იოლი მატჩი მოუგეს „ლოკომოტივს", დღეს „ოლიმპს" ხვდებიან და ოთხ დღეში უკვე ბოლნისში „სიონთან" მოუწევთ დაპირისპირება. ნუ დაგვავიწყდება დღევანდელი მეტოქეების ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაც: დრო იყო, რუსთავს უმაღლეს ლიგაში „გორდა" წარმოადგენდა, ზესტაფონს კი - „მარგვეთი". ამას გარდა, რამდენიმე სეზონის განმავლობაში ორივე ქალაქს ერთი და იმავე სახელწოდების გუნდიც („მეტალურგი") ჰყავდა. აი, რაც შეეხება „ოლიმპს" და „ზესტაფონს", ამ წყვილში მცირე უპირატესობა იმერული კლუბის მხარეს: ორი გამარჯვება, სამი ფრე და ერთი მარცხი. მეოცე ჩემპიონატში დღევანდელი მეტოქეების პირველი დაპირისპირება ნულოვანი ფრით დასრულდა; ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ოლიმპს" მაშინ **ხვიჩა ქასრაშვილი** წვრთნიდა, „ზესტაფონს" კი - **თემურ მახარაძე**. ის შეხვედრა რუსთავში ჩატარდა და საბოლოო შედეგიც, ასე თუ ისე, კანონზომიერი გახლდათ. აი, ზესტაფონში გამართული მატჩი კი, ბევრისთვის მოულოდნელად, „ოლიმპის" გამარჯვებით დამთავრდა - მატჩის ერთადერთი გოლი რუსთაველთა კლუბის გოლიადორმა მცველმა (!) **თენგიზ ჩიკვილაძემ** გაიტანა. მოულოდნელადო, იმიტომ ვამბობთ, რომ იმ მომენტისათვის თემურ მახარაძის „ზესტაფონი" ამ წყვილში ფავორიტად მიიჩნეოდა; თუმცა, „ოლიმპსაც" უკვე დაწყებული ჰქონდა ის წაუგებელი სერია და ახალი თავკაცის, **ვარლამ კილასონიას** ხელმძღვანელობით გუნდმა მოახერხა ზესტაფონიდან სამი ქულის წამოღება. ამ შეხვედრიდან ერთი კვირის მერე თემურ მახარაძემ „სიონთან" გაამარჯვებინა „ზესტაფონს" და მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა. მის ნაცვლად კი არანაკლებ ცნობილი სპეციალისტი, **გია გეგუჩაძე** დაინიშნა. სხვათა შორის, გეგუჩაძისთვის რუსთავი უცხო ქალაქი ნამდვილად არ არის - საქართველოში ერთ-ერთ წარმატებულ სპეციალისტად მიჩნეული ახალგაზრდა მწვრთნელი სხვადასხვა დროს ორჯერ ხელმძღვანელობდა ადგილობრივ „მეტალურგს". მოკლედ, იმის გარდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის პაექრობა გველოდება, არანაკლებ ინტერესს იწვევს ასევე ორი გამორჩეული და ახალგაზრდა მწვრთნელის დაპირისპირებაც...

სატურნირო თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, „მგლები" - „სიონის" შეხვედრაში, ერთი შეხედვით, მასპინძლები მეტად მოტივირებულნი უნდა იყვნენ. სამწუხაროდ, „საშინელი" კალენდრისა თუ სხვა ობიექტური მიზეზის გამო **ბესიკ შეროზიას** გუნდმა მეორე ეტაპი წარუმატებლად დაიწყო. თავად განსაჯეთ - ოთხ შეხვედრაში „მგლებმა" სამი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა. თუმცა მეტოქეებიც გავიხსენოთ: „ზესტაფონი", „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" მედლებისთვის იბრძვიან, უშუალო კონკურენტს „მესხეთს" კი სტუმრად ფრედ ეთამაშა. სხვათა შორის, „მგლების" თამაშის ხარისხზე ყველას დადებითი აზრი აქვს; უფრო მეტიც - ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველ ოთხ გუნდს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე თანამედროვე და სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ „მგლები" უჩვენებს. ეს კი, უპირველესად, მთავარი მწვრთნელის ბესიკ შეროზიას დამსახურებაა. აი, **ოთარ კორღალიძის** გუნდს კი ჩემპიონატის სტარტიდან მუდამ ერთი და იმავე ეპითეტით მოვიხსენიებთ. ჰო, არასტაბილურობა „სიონის" უმთავრეს „საფირმო ნიშნად" იქცა: ძლიერ მეტოქესთან მაღალ დონეზე ჩატარებულ შეხვედრას, მერე, ბევრად სუსტთან აშკარად ჩავარდნილი მატჩი უნდა მოჰყვეს. არადა, ბევრი დაგვეთანხმება, რომ შემადგენლობით „სიონი" არც ერთ გუნდს არ ჩამოუვარდება...

„მგლები" - „სიონის" დღევანდელ დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ და ამ გუნდების წინა ორი მატჩიც უნდა ვახსენოთ. პირველ შეხვედრაში, „სიონმა" მატჩის მიწურულს შეძლო ერთადერთი გოლის გატანა და სამი ქულით ხელდამშვენებულიც წამოვიდა ზუგდიდიდან. აი, ბოლნისში კი უხვგოლიანი ფრე ვიხილეთ - 2:2; თუმცა ეს მატჩი სერიოზული სკანდალით დასრულდა! სიტუაცია ჯერ მატჩის დაწყებამდე დაიძაბა, რადგანაც მასპინძლებს მიაჩნდათ, რომ „მგლების" ორ უკრაინელ ახალწვეულს (**ვასილი გრიგოროვიჩი, ალექსანდრ ომელიანოვი**) შეხვედრაში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ. მერე, უკვე მატჩის დროსაც რამდენჯერმე გამწვავდა სიტუაცია, მაგრამ ბოლოს უკვე ყველაფერ ზღვარს გადააჭარბა: ორივე გუნდის ფეხბურთელებმა („მგლების" მეორე მწვრთნელიც რომ ჩაერია) ერთმანეთში მამა-პაპური ჩხუბი გააჩაღეს. ეს ამბავი საფეხბურთო გადაცემა „გოლმაც" გააშუქა და უფრო მეტიც: მატჩის რეპორტაჟი ტელევიზიით გადაიცემოდა! მოკლედ, დღეს არცთუ „მშვიდი" თამაში გველოდება; მით უმეტეს, რომ ჩვენი ინფომაციით, „მგლებისა" და „სიონის" საკონტროლო შეხვედრაც (იანვარში რომ ჩატარდა) ჩხუბის გამო ჩაიშალა...

დაბოლოს, მესამე წყვილზეც: ახალგაზრდულმა „ლოკომოტივმა" გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „მესხეთს" უნდა უმასპინძლოს. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა „ლოკომოტივის" გამარჯვებით (2:0) დამთავრდა, მეორე მატჩში უკვე ახალციხელებმა აიღეს რევანში (3:1). მოკლედ, ძალთა თანაფარდობაა; თუმცა სატურნირო მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, სტუმრები ბევრად უფრო მოტივირებული იქნებიან. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მეტოქეს უბრძოლველად რაიმე დაუთმონ...

გია ტუხაშვილი

ინტერვიუ

ნიკა ჩხეიძე

# ვიცი, რომ ჩვენს ბიზნესმენებს უყვართ ფეხბურთი...

## პეტარ შეგრტის ნაცვლად ტექნიკურ დირექტორად ნიკა ჩხეიძე იმუშავებს


ეროვნული ბიბლიოთეკა
ნიკა ჩხეიძე

**თითქმის** ოთხი წელია, საქართველოს ნაკრების ყოფილ მეკარესა და ერთ დროს 21-წლამდელთა მწვრთნელ ნიკა ჩხეიძეს ფეხბურთთან საქმე არ ჰქონია. ის ბიზნესში წავიდა, მაგრამ აი, საფეხბურთო ტაიმ-აუტი დასრულდა და ჩხეიძე ფეხბურთს დაუბრუნდა, ოღონდ, ახალ ამპლუაში - ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად. ამ პოსტზე მან პეტარ შეგრტი შეცვალა. გუშინ ნიკა ჩხეიძე „გაგრა"-"დინამოს" მატჩს დაესწრო, ნამატჩევს კი „ლელოს" ინტერვიუ მისცა...

**- როგორ მოხდა ამ თანამდებობაზე თქვენი დანიშვნა?**

- თებერვლის ბოლოს მივიღე წინადადება. ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია, ამასთან, საქმე, რომელიც შემომთავაზეს, საინტერესოა და ბევრი არ მიფიქრია. ვესაუბრე ფედერაციის ხელმძღვანელებს და მუშაობას შევუდექი.

**- ამ პოსტზე მანამდე პეტარ შეგრტი მუშაობდა. მასთან არ გილაპარაკიათ?**

- არა, არ გვილაპარაკია... შეგრტს არც ვიცნობ.

**- გასაგებია, რასაც მოიცავს ტექნიკური დირექტორის ფუნქცია, მაგრამ იქნებ დაგვიკონკრეტოთ...**

- ეროვნული და ყველა ასაკობრივი ნაკრებისთვის ტექნიკური საკითხების მოგვარება მევალება - მოსამზადებელი შეკრება, მგზავრობის ორგანიზება... პლუს ამას, მასობრივი ფეხბურთი, მწვრთნელთა განათლება... ესეც ჩემს სფეროში შემოდის. და კიდევ - ფეხბურთის ფედერაციაში რამდენიმე დეპარტამენტი ფუნქციონირებს და მათ შორის კოორდინაციაც ჩემი საქმეა.

**- ახლო მომავალში ჩვენს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს ორ-ორი მატჩი აქვთ ჩასატარებელი. ახალი ტექნიკური დირექტორი უკვე დაკავებულია თავისი საქმით?**

- ეროვნულ ნაკრებს რაც შეეხება, კვიპროსთან სტუმრად და ჩერნოგორიასთან საშინაო მატჩებისთვის მოსამზადებლად ყველა საკითხი უკვე მოგვარებული იყო. ამჟამად 21-წლამდელთა ნაკრების საქმეებით ვარ დაკავებული. კახა ცხადაძის გუნდი კვიპროსს გასვლაზე და ბელარუსს თბილისში ეთამაშება... კახა ჩემი მეგობარია და მით უფრო ძალიან მინდა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში წარმატებული კარიერა ჰქონდეს. მე რაც მევალება, ყველაფერს გავაკეთებ... ჩემს ცოდნა-გამოცდილებასა და უცხოურ კონტაქტებს ნაკრებ გუნდებს მოვახმარ.

**- ექტორ კუპერი უკვე გაიცანით?**

- ის ჯერ კიდევ შარშან, მაინცში, ირლანდიასთან თამაშის წინ გავიცანი. ყველამ იცის, რა დონის მწვრთნელია. ამას გარდა, ჩინებული პიროვნებაცაა - თბილი, პირდაპირი, გულიანი... ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე გერმანიაში შეხვედრისას... თუმცა კუპერთან საქმიანი საუბარი ჯერ არ მქონია.

**- სიტყვამ მოიტანა და, აქვე გკითხავთ - ეროვნულ ნაკრებში მის მუშაობაზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?**

- მთელი გულით და სულით მუშაობს. გარდა იმისა, რომ ნაკრებს ამზადებს, რაც მისი უშუალო მოვალეობაა, დამატებით ატარებს სამშაბათის ვარჯიშებსაც. სურს, რომ რაც შეიძლება მეტი მოთამაშე აზიაროს თანამედროვე ფეხბურთს, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი ჰყავდეს ნაკრების კანდიდატთა სიაში. ამით ის კონკურენციასაც ზრდის და მოთამაშეებსაც უმაღლებს კლასს, აჩვევს სანაკრებო ატმოსფეროს... ეს ხომ ისევ და ისევ ნაკრებსა და კლუბებს, მთლიანად ქართულ ფეხბურთს გამოადგება. მისასალმებელია, რომ ეროვნულ ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატიდანაც იწვევს ფეხბურთელებს...

**- ეს ყველაფერი გასაგებია და მგონი, ამ მხრივ კუპერისადმი პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ნაკრებს მის ხელში ოფიციალური მატჩი ჯერ არ მოუგია...**

- შედეგიც იქნება და წარმატებებიც. უბრალოდ, ამას დრო სჭირდება. ასე იოლი არ არის გუნდის აწყობა-ჩამოყალიბება. ამას გარდა, ყველაფერთან ერთად იღბალიცაა საჭირო. დამიჯერეთ, არ არის ეს უმნიშვნელო ფაქტორი. არ გახსოვთ, რა ხდებოდა ბულგარეთთან მატჩში? ფორტუნას ჩვენებისთვის ზურგი რომ არ ექცია, ბულგარეთს მოვუგებდით, ირლანდიაში კი არ წავაგებდით. როცა ბევრს შრომობ, იღბალიც გინდა, რომ ეს შრომა დაგიფასდეს.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში ადრე მწვრთნელად გიმუშავიათ. რას იტყვით 21-წლამდელთა დღევანდელ თაობაზე?**

- ამ ასაკში არაერთი კარგი ფეხბურთელია. კახასა და მის შტაბს მართლაც დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. მჯერა, ისინი კარგად გაართმევენ თავს ამ ურთულეს, მძიმე საქმეს და ახალგაზრდულ ნაკრებს ძლიერ გუნდად ჩამოაყალიბებენ.

**- „გაგრა"-"დინამოს" მატჩს დაესწარით, საერთოდაც, ჩვენი პირველობის თამაშებს თვალს ადევნებთ და, ორიოდ სიტყვით, იქნებ ეროვნულ ჩემპიონატზეც გაგვაცნოთ თქვენი მოსაზრება...**

- ამ სფეროშიც ბევრია სამუშაო. ეს კარგად იციან ფეხბურთის ფედერაციაშიც და პროფლიგაშიც. ეს არის საქმე, რომელსაც კომპლექსურად უნდა მივუდგეთ. ფეხბურთის ფედერაციაც სწორედ აქეთკენ მიდის. ლიცენზირების მოთხოვნათა გამკაცრება, სატელევიზიო პროექტი „კოლხიდასთან" ერთად, საგურამოს ბაზა... თუმცა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა ვერაფერს გახდება, თუ ქართულ ფეხბურთში ინვესტიციები არ ჩაიდო. არადა, ქართველ ბიზნესმენებს უყვართ ფეხბურთი, ვიყავი ბიზნესში და ვიცი, რასაც ვამბობ...

**- ისე, რაკი ბიზნესი ახსენეთ, აქვე გკითხავთ - საინტერესოა, როგორ მოჩანს ქართული ფეხბურთი დიდი ბიზნესის სამყაროდან?**

- სხვათა შორის, „თოლია", სადაც ვმუშაობდი, ხშირად ყოფილა ბავშვთა ფეხბურთის პარტნიორი, ასევე, შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩის... ასე რომ, ფეხბურთისგან მთლად შორსაც არ ვყოფილვარ, ხშირი შეხება მქონდა ფედერაციასთანაც, ტურნირების ორგანიზებაზეც ვმუშაობდი... რაც შეეხება ბიზნესსა და ფეხბურთს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობას, საამისოდ, საჭიროა ჩვენი ფეხბურთი მომგებიანი გახდეს, ბიზნესისთვის ნოყიერი გარემო უნდა შეიქმნას. ამისთვისაც დროა საჭირო და მჯერა, ამასაც მალე მოვესწრებით.

ლეგიონერი მწვრთნელი

ინტერვიუ გიორგი დარასელიასთან

# კუპერს ერთი ციკლი არ ეყოფა

## რაც მეტი ვიქნებით, მით მეტად გამოვადგებით ქართულ ფეხბურთს...



ბარე ათი წელია, გიორგი დარასელია ისრაელშია, საფეხბურთო კარიერა დაასრულა, მაგრამ ისევ ფეხბურთში დარჩა - სამწვრთნელო საქმეს შეუდგა. მეხუთე წელია, რაც დარასელია ჰაიფას „მაკაბიში" მთავარი მწვრთნელის ელიშა ლევის პირველი თანაშემწეა. დღესდღეობით „მაკაბი", ასე ვთქვათ, ორი წრის ჩემპიონია. დარასელიას გუნდის მთავარი კონკურენტი ნეთანიის „მაკაბია", რომელსაც ლოთარ მათეუსი წვრთნის. გიორგის გუშინ ისრაელში დავუკავშირდით და იქაურ ამბებზე გავესაუბრეთ...

- ამ სეზონში 22 მატჩი ჩავატარეთ, აქედან - 12 მოვიგეთ, 6 ფრედ ვითამაშეთ და 4-ში დავმარცხდით. ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, მთავარ კონკურენტად ნეთანიის „მაკაბი" მიმაჩნია, რომელსაც ლოთარ მათეუსი წვრთნის. ლიდერები ვართ, მაგრამ მთავარი ბრძოლები მესამე წრეში გველის.

**- ლოთარ მათეუსთან ახლო კონტაქტი ხომ არ გაქვთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ვმეგობრობთ, მაგრამ ვიცნობ, როგორც კოლეგას. სხვათა შორის, მატჩების გარეშეც ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს, ერთი კვირის წინათაც ვისაუბრეთ... უბრალო და უშუალო ადამიანია, მაგრამ ამავე დროს პირდაპირიცაა. ფეხბურთი ჩინებულად ესმის. იცის, რომ ქართველი ვარ და ჩვენს ფეხბურთზეც ველაპარაკები ხოლმე.

**- შეძლებთ ოქროს მედლების მოპოვებას?**

- ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მიზანი სწორედ ესაა და ბოლომდეც ვიბრძოლებთ, დიდი შანსი გვაქვს, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი ძნელიცაა და ნაადრევიც.

**- მაღალი მიზნისთვის ბრძოლას ფინანსებმაც უნდა შეუწყოს ხელი. ამ მხრივ როგორ მიდის თქვენი კლუბის საქმეები?**

- ნორმალურად. სხვებზე ცუდად ნამდვილად არ ვართ. 4-5 წლის წინათ აქაურ კლუბებში ფინანსებმა შედარებით იკლო, მაგრამ ბოლო 2 წელიწადია, ამ მხრივ ისევ ზემოთ მივდივართ და ნახავთ, ებრაულ კლუბებს ეს მალე დაეტყობათ კიდეც.

**- საჩემპიონო ბრძოლაში კალენდარსაც აქვს მნიშვნელობა. ეს რამდენად გიწყობთ ხელს? ბოლო წრეში კონკურენტს სად ეთამაშებით?**

- მეორე და მეოთხეადგილოსანთან მასპინძლები ვიქნებით, მესამეადგილოსანს კი სტუმრად ვეთამაშებით. მოკლედ, კალენდარს არ ვემდურით...

**- საერთოდ, ისრაელის მთავარ ლიგაზე რას გვეტყოდით?**

- რამდენიმე წლის წინათ აქ უკეთესი, უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელები თამაშობდნენ და მათთან მუშაობა არ ჭირდა. მაგრამ ბოლო წლებში აქაური ლიგა საგრძნობლად გაახალგაზრდავდა. შესაბამისად, მწვრთნელებს მეტი სამუშაო გვაქვს.

**- უკვე კარგა ხანია მწვრთნელად მუშაობთ. ბევრს ისწავლიდით...**

- მეხუთე წელია, მწვრთნელი ვარ. სამ კვირაში გამოცდებს ჩავაბარებ და A კატეგორიის ლიცენზიას ავიღებ. სამწვრთნელო საქმეში ბევრი რამ ვისწავლე და ბევრიც ჯერ კიდევ სასწავლი მაქვს. ამას არც ვთაკილობ... თვალყურს ვადევნებ შოთა არველაძის, თემურ ქეცბაიასა და კახა ცხადაძის საქმიანობას... ძალიან გამახარა ჩემპიონთა ლიგაში თემურის გუნდის სენსაციურმა წარმატებამ. ქეცბაია დიდი მწვრთნელი დადგება. ჩემი თაობის ყველა მწვრთნელს გამარჯვებებს ვუსურვებ. ასეც უნდა იყოს - რაც მეტი ვიქნებით, მით მეტად გამოვადგებით ქართულ ფეხბურთს.

**- მთავარ მწვრთნელად როდის გიხილავთ?**

- გასულ ზაფხულსაც მქონდა შანსი, ორი-სამი წინადადება მქონდა, მაგრამ უარი ვთქვი. მიმაჩნია, რომ საამისოდ ჯერ არ ვარ მზად და თან საჩქაროც არაფერი მაქვს. ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელისგანაც ბევრს ვსწავლობ.

**- ეს ის ლევი ხომ არ არის, ფეხბურთელობისას თქვენი მწვრთნელი რომ იყო...**

- დიახ, სწორედ ისაა. როგორც კი კარიერა დავასრულე, გვერდში დამიყენა. ისე, რომ იცოდეთ, აქ მწვრთნელები ასისტენტებს ასე იოლად არ ირჩევენ. ლევიმ ნდობა გამომიცხადა და ვფიქრობ, მეც გავუმართლე. როცა მას გაუჭირდა, პირველი მე დავუდექი გვერდში.

**- ისრაელის მთავარ ლიგაში ქართველი ფეხბურთელი აღარ თამაშობს. რა არის ამის მიზეზი?**

- რა გითხრათ... კარგი ფეხბურთელი აქ დღესაც ყველას სჭირდება.

**- ვიცი, ორ ფეხბურთელს ზრდით. შვილებს ვგულისხმობ...**

- გიორგი უკვე 18 წლისაა და რიგით მეორე ლიგაში, კფარ საბას „ჰაპოელში" თამაშობს. წელს ბევრად უკეთ გამოიყურება. ადრე მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდა, მერე მწვრთნელმა მარჯვენა მცველად გადაიყვანა და აშკარად მოუხდა. იმედი მაქვს, კიდევ მოუმატებს და მომდევნო სეზონში უკვე უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. რაც შეეხება ჯიჯის, ის ჯერ 10 წლისაა და ბავშვთა ორ, სხვადასხვა ასაკის გუნდში თამაშობს. გაგიკვირდებათ და, ერთ გუნდში მეკარეა, მეორეში კი ნახევარმცველი...

**- საქართველოს ნაკრების თამაშებს თუ ადევნებთ თვალს?**

- როცა დრო მაქვს, აუცილებლად ვუყურებ. ბულგარეთთან თამაში ვნახე. მომეწონა ჩვენი გუნდი. ძალიან შემეცოდნენ ბიჭები, გოლი რომ ვერ გაიტანეს, არადა, ერთი რომ გაგვეტანა, კიდევ ორს გავიტანდით... ბოლოს ირლანდიასთან გასვლითი თამაშიც ვნახე... სამწუხაროდ, ისევ წავაგეთ, თუმცა არ ვიმსახურებდით.

**- ექტორ კუპერზე რა აზრის ხართ?**

- რა დონის მწვრთნელია, ყველამ კარგად იცის და ამაზე აღარ ვილაპარაკებ. აშკარად ეტყობა, რომ მონდომებულია. გუნდსაც ვამჩნევ პროგრესს... წარმომიდგენია, კუპერს რა მოცულობის სამუშაო ექნება. იმისთვის, რომ ჩვენი ნაკრები ძლიერ გუნდად აქციოს, დრო სჭირდება. ამას ერთი შესარჩევი ციკლი ნამდვილად არ ეყოფა.

**- მაინც რა დროა საჭირო?**

- თუ აცლიან, მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე ბევრად უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება. კარგი გუნდის გაკეთება იოლი არ არის. ამას წლები სჭირდება... მივესალმები, რომ საქართველოს ჩემპიონატიდანაც იწვევს ფეხბურთელებს. ისრაელის ნაკრებში სულ 3-4 ლეგიონერია. ჩვენი პირველობის დონეც უნდა ამაღლდეს. ვიცი, ქართულ ლიგაში სულ ახალგაზრდები თამაშობენ. ისინი დაიხვეწებიან და უკეთესი დონის ჩემპიონატი გვექნება. ქართულ ფეხბურთს აქედანაც მხურვალედ ვქომაგობ.

გვერდი მოამზადა

**დავით ცაბაძე**

## ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

1982 წელს დავით ყიფიანმა ფეხბურთს თავი დაანება. თბილისის „დინამოში“ ამ მართლაც სახალხო მოთამაშის შეცვლა ძალზე აქტუალური საკითხი იყო. ყიფიანი გახლდათ ლიდერი დიდ გუნდში, არავის ჰქონდა ილუზია, რომ ზუსტად ასეთი დიდი „10 ნომერი“ მყის გამოჩნდებოდა „დინამოში“, მაგრამ...

მაგრამ გამოჩნდა ისეთი ფეხბურთელი, რომელიც მართლაც ნიჭიერი იყო და რომელსაც მართლა შეეძლო, გამხდარიყო „დინამოს“ ლიდერი, ისეთი „10 ნომერი“, რომელიც „დინამოს“ ახალი დირიჟორი იქნებოდა, რომელიც თითქმის სრულფასოვნად შეცვლიდა ყიფიანს. მაშინ ამაზე კამათს მწუხრისას იწყებდნენ და გამთენიისას ამთავრებდნენ - საქმე ხომ ეპოქალური ფეხბურთელის, ყიფიანის შემცვლელს ეხებოდა...

...და ასპარეზზე გამოვიდა გრიგოლ ცაავა - ცაცია, ტექნიკური გამთამაშებელი ძლიერი დარტყმით. „დინამოს“ დუბლშემადგენლობის მატჩებზე საგანგებოდ დადიოდნენ ცაავას სანახავად, ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ის ყმაწვილი, ყიფიანის მერე რომ უნდა ჩაეცვა 10-ნომრიანი მაისურა.

სოხუმიდან თბილისში ჩამოსულმა ცაავამ ყველა დაარწმუნა, რომ ნიჭიერი იყო, მაგრამ ყიფიანის შემცვლელი ვერ გახდა. ალბათ, ისიცაა, რომ მთლიანად ცაავას თაობამ ვერ შეცვალა 1981 წლის ტრიუმფის შემოქმედი „დინამო“...

დავით თავართქილაძე

# რატომ ვერ შეცვალა ცაავამ ყიფიანი...

სოხუმის „ნორჩ დინამოელში“ ვთამაშობდი, როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრებში გამომიძახეს. 1976 წელს გამართულ ამ ტურნირზე ურიგოდ არ გამოვსულვართ, მესამე ადგილი დავიკავეთ. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თენგიზ კუბლაშვილი** გახლდათ, მეორე მწვრთნელი კი - **გივი მუმლაძე**. სპარტაკიადის დასრულების შემდეგ მათ მითხრეს, თბილისში გადმოდი და ფეხბურთის თამაში 35-ე სკოლაში გააგრძელეო. დავუჯერე მათ და თბილისში ჩამოვედი. მაშინ 35-ე სკოლა მხოლოდ საფეხბურთო იყო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც დავდიოდი. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა და სამ წელიწადში სანატრელი დღეც დადგა...

„დინამოს“ სტადიონზე ოთხთა ტურნირი გაიმართა. მასში 35-ე სკოლა, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებები და საქართველოს ვეტერანთა ნაკრები მონაწილეობდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე, ამ მატჩებს **ნოდარ ახალკაციც** ადევნებდა თვალს. ტურნირის დასრულების შემდეგ შემატყობინეს - თბილისის „დინამოში“ ხარ მიწვეულიო. მაშინ სულ რაღაც 16 წლისა გახლდით...

„დინამოში“ მისვლის პირველი დღე ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა - 1979 წლის 5 იანვარს 17 წელი შემისრულდა. პირველი გუნდი იმ დროისთვის ტუნისში იყო წასული. წინა სეზონში „დინამო“ ხომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და აფრიკაში, ფაქტობრივად, დასასვენებლად ჩავიდა. მეორე გუნდით კი ლესელიძეში წავედით შეკრებაზე. უმცროსი **მიხეილ მესხი, ვაჟა ჟვანია, ტარიელ დურდიაძე, დიმიტრი მეშკოვი, გოჩა ჯოხაძე, ნუკრი კაკილაშვილი**... საკმაოდ სერიოზული კონტინგენტი იყო, მათთან ვარჯიში და თამაში მსიამოვნებდა. ლესელიძეში საკონტროლო მატჩებში ვითამაშე და გოლებიც გავიტანე. „დინამოს“ მეორე გუნდს მაშინ **გივი ნოდია** და **სერგო კუტივაძე** ხელმძღვანელობდნენ. თბილისში რომ დავბრუნდით, „დინამოს“ საერთო კრება ჩატარდა და შევიტყვე, რომ ჩემით კმაყოფილები იყვნენ. მოკლედ, „დინამოში“ დამტოვეს - ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი გახარებული ვიქნებოდი.

„დინამოს“ დუბლებში პირველი ოფიციალური მატჩი იმავე წელს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დონეცკის „შახტიორის“ წინააღმდეგ ვითამაშე. 4:1 მოვიგეთ, 2 საგოლე პასი მივაწოდე **ვახტანგ კოპალეიშვილს** და საერთოდაც, კარგად ვითამაშე. იმავე სეზონში მოვასწარი დებიუტი „დინამოს“ პირველ გუნდშიც - ჩემპიონატის ბოლო ტურში ცსკა-ს ვხვდებოდით და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ სათადარიგოებში ვიქნებოდი. წარმოიდგინეთ, რას ვიგრძნობდი, როცა შევედი „დინამოს“ გასახდელში და იქ დამხვდნენ **ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია**... მატჩის დასრულებას 20 წუთი რომ უკლდა, ახალკაცმა შეცვლაზე შემიშვა და მითხრა - მარცხენა გარემარბად იქნები, როგორც შენ იცი, ისე ითამაშეო. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა ასეთი დავალება იმიტომაც მომცა, რომ არ უნდოდა ზედმეტად დაეტვირთა დებიუტანტი. პირველი მატჩი ნორმალური გამომივიდა, თამაში კი 3:1 მოვიგეთ.

მომდევნო, 1980 წლის სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა ჩემს კარიერაში - დუბლშემადგენლობათა გათამაშებაში 24 გოლით ბომბარდირი გავხდი.

მართლაც კარგი გუნდი გვყავდა და ჩვენს მატჩებს არცთუ ცოტა გულშემატკივარი ესწრებოდა. გოლების უმეტესობა სათამაშო ეპიზოდებიდან გავიტანე, საჯარიმო დარტყმებით კი - ბევრად ნაკლები. რაც შეეხება თავით თამაშს, „დინამოში“ სულ ორი თავური გავიტანე - ერთი დუბლებში და ერთიც პირველ გუნდში.



დგანან, მარცხნიდან: ვიტალი დარასელია, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი რამაზ შენგელია. სხედან ვაჟა ჟვანია, გრიგოლ ცაავა

დუბლებშიც ისეთივე სიმკაცრე იყო, როგორიც პირველ გუნდში. როცა სტუმრად გვქონდა მატჩი, სასტუმროში სულ გვამოწმებდნენ - 23 საათზე უკვე ლოგინში უნდა ვყოფილიყავით. იყო განტვირთვებიც - როცა გვეტყოდნენ, ხვალ დილის 9 საათზე ვტოვებთ სასტუმროსო, ეს იმას ნიშნავდა, რომ საღამოს არავინ შეგვამოწმებდა და...

1980 წელს პირველად ვითამაშე მთავარი „დინამოს“ სასტარტოში. „შახტიორთან“ მატჩის წინ დუბლების განაცხადში არ შემიყვანეს და გამიკვირდა, უცბად ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. მერე კი გივი ნოდია მოვიდა და მითხრა - პირველ გუნდს კრება აქვს და უნდა მოხვიდეო. ახალკაცმა სასტარტოში გამამწესა, ბურთი თამაშში მე და ყიფიანმა შევიყვანეთ - ეს მართლაც განსაკუთრებული ემოცია იყო.

ყიფიანს რომ ვუყურებდი, ძალიან მინდოდა, ისეთივე ფეხბურთელი ვყოფილიყავი. ის შინაგანადაც ძალიან ძლიერი პიროვნება იყო - ერთხელ, ავტოგრაფებს არიგებდა, მე შორიახლოს ვიდექი და ამ ყველაფერს თვალს არ ვაშორებდი, მერე მივედი მასთან და ვუთხარი - დავიდიჩ, მეც მინდა, ასეთი პოპულარული გავხდე, მალე მეც დავარიგებ ავტოგრაფებს-მეთქი. მან კი მითხრა - კარგია, ასე რომ ფიქრობო. ის მართლაც მეხმარებოდა, მამხნევებდა და ხელს მიწყობდა, მკარნახობდა, რა დროს რა უნდა გამეკეთებინა. დავიდიჩ! - უფრო ხშირად ასე იმიტომ მივმართავდი, რომ ჩემზე უფროსი იყო და მინდოდა, პატივისცემით მოვპყრობოდი...

1981 წლის ზაფხულში ყიფიანმა მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლას სულაც არ აპირებდა. დარსა თუ ავდარში გადიოდა სავარჯიშოდ, ძალიან მონდომებული გახლდათ, რაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს სტიმულს გვაძლევდა, მისი შემართება მართლაც სამაგალითო იყო... თუმცა სრულად მაინც ვერ აღიდგინა ის კონდიცია, რაც ტრავმამდე ჰქონდა და ფეხბურთს თავი დაანება.

1982 წლის სეზონში 32 მატჩი ვითამაშე და 9 გოლი გავიტანე. რა თქმა უნდა, ეს კარგი მაჩვენებელი იყო, შენგელიამ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-100 გოლი გაიტანა, და სხვათა შორის, ჩემი პასის შემდეგ, რაც მეამაყება. აი, ყიფიანის შეცვლას რაც შეეხება...

ყველაფერს საკუთარ თავს ვაბრალებ. უფრო მონდომებული უნდა ვყოფილიყავი, უფრო ყურადღებიანი, უფრო მკაცრად უნდა დამეცვა რეჟიმი... ჩემგან ყველა ელოდებოდა, რომ ყიფიანის სრულფასოვნად შეცვლას შევძლებდი, ეტყობა, ჩემში ამჩნევდნენ საამისო მონაცემებს, მაგრამ... მოლოდინი ვერ გავამართლე. სხვათა შორის, როცა 1983 წლის ბოლოს ყიფიანი „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი გახდა, ისიც დიდ ნდობას მიცხადებდა, თუმცა...

„დინამოდან“ დიდებული თაობა წავიდა და ასპარეზი ჩვენ დაგვრჩა. გვეგონა, ყველაფერი კარგად წაგვივიდოდა, მაგრამ ჯეროვნად ვერ ვაანალიზებდით სიტუაციას, ვერ ვაცნობიერებდით იმ ტვირთის სიმძიმეს, რაც დაგვაწვა.

ცხადია, არაერთი კარგი ეპიზოდი დამრჩა გასახსენებელი ჩემი კარიერიდან. 1984 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში, მოსკოვის „სპარტაკს“ მანეჟში ვეთამაშეთ და 1:4 წავაგეთ. პირველი ტაიმის ბოლოს, როცა ანგარიში 0:2 იყო, **რინატ დასაევს** ძალიან მაგარი გოლი გავუტანე - შორიდან დავარტყი, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა და მერე შევარდა კარში. შესვენებისას, გასახდელში რომ გავდიოდით, დასაევმა მხარზე ხელი მომითათუნა, ყველაფერი ეს უსიტყვოდ გააკეთა, ამით ყველაფერი მითხრა. დასაევს მეორე გოლი მაშინ გავუტანე, როცა 1986 წელს „დინამოს“ მწვრთნელად ნოდარ ახალკაცი დაბრუნდა და „სპარტაკს“ თბილისში 2:1 მოვუგეთ, საგოლე პასი კი **რევაზ ჩელებაძემ** მომცა, ქუსლით...

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშისას შესარჩევში გდრ-ის გუნდს 3:1 რომ მოვუგეთ, ორი გოლი მესხმა გაიტანა, ერთიც - მე. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში **რალფ მინგემაც** ითამაშა...

● თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

## მზადება საერთაშორისო ფესტივალისთვის

თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ მაისში ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება დაგეგმა. შეგახსენებთ, რომ ამ ორგანიზაციამ შარშან ნოემბერში უკვე გამართა საბავშვო ფესტივალი, თუმცა ის საერთაშორისო არ ყოფილა.

ამ საქმეში თბილისის ფედერაციის მთავარი პარტნიორები საქართველოს უპირველესი საფეხბურთო უწყება და ქალაქის მერია იქნებიან, თუმცა ეს ვერ იქნება საკმარისი და მიმდინარეობს მუშაობა სპონსორების მოზიდვაზეც. უკვე გამოჩნდა კიდეც რამდენიმე კომპანია, რომელიც ამ პროექტისთვის გარკვეულ თანხას გაიღებს.

თბილისის ფედერაცია ფესტივალს 9-10 წლის ბავშვებისთვის მოაწყობს და უცხოელებს საქართველოს დედაქალაქთან დამეგობრებული ქალაქებიდან მოიწვევს. ერთკვირიანი ფესტივალის დასკვნითი სტადია 23 მაისს იქნება. ამ ღონისძიებისთვის შოუს გამოცდილი რეჟისორი **ლაშა ონიანი** მოაწყობს. ჩემპიონთა ლიგა, მსოფლიოს ჩემპიონატი - ონიანს საფეხბურთო შოუები ასეთ სერიოზულ ტურნირებზეც დაუდგამს...

დავით თავართქილაძე

● ქალთა ფეხბურთი

## საქართველოში პირველად...

ქალთა ფეხბურთს მხარდაჭერა ესაჭიროება და სწორედ ამ მიზნით „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ ფილიალმა სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტისა და ფეხბურთის ფედერაციის თანადგომით თბილისში, გუშინწინ, საქართველოში ქალთა ფეხბურთის პირველი სემინარი ჩაატარა. სემინარზე შეიკრიბა ყველა, ვისაც სურვილი აქვს მისთვის საინტერესო კუთხით შეიტანოს წვლილი ქართული ფეხბურთის განვითარებაში.

*„მონაწილეებს დაურიგდათ ანკეტები, გამოიკვეთა, ვის რა მიმართულებით შეუძლია დახმარება. საქმე მხოლოდ ფეხბურთის თამაშში არ არის, სათანადო მომზადების შემდეგ ზოგი რეკლამაზე და პროპაგანდაზე იმუშავებს, ზოგი მწვრთნელად, ინსტრუქტორად, ორგანიზატორად, მენეჯერად და ა.შ. ფაქტობრივად შეიქმნა საბაზო ქსელი, რომელიც კოორდინირებულად იმუშავებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოელ კოლეგებთან“*, - თქვა სემინარის ხელმძღვანელმა **ბადრი მაჭავარიანმა**. სასწავლო პროცესში 54 მსმენელი ჩაერთო, მათ შორის, ახალგორიდანაც.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსი **პაატა ჩხეიძე**, „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ კოორდინატორი ამიერკავკასიასა და მოლდოვაში **ვალერი ჩოლარია**, კოორდინატორი საქართველოში **ბადრი ქარქაშაძე**, საქართველოს ქალთა ფეხბურთის პრეზიდენტი **ნინო სორდია**, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა**.

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. განმეორებითი მატჩები



ჟოზე მოურინიო ინგლისში მოსაგებად დაბრუნდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

სერ ალექს ფერგიუსონი

# ჟოზე: მხოლოდ ერთი მარცხი სერ ალექსთან

## რომაელთა პრობლემები და აუცილებლად მოსაგები მატჩი ბარსელონასთვის

**რომა-არსენალი (0:1)**

ემანუელ ადებაიორი "რომასთან" განმეორებით მატჩში ვერ ითამაშებს. ეს ინფორმაცია "მეთოფეების" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** გაავრცელა. ადებაიორი ერთი თვეა, ისვენებს. ის "ტოტენჰემთან" უგოლოდ დასრულებულ შეხვედრაში დაშავდა. ტრავმის გამო, ემანუელს დრო თავზე საყრელად აქვს. ამიტომ ინტერვიუებისათვის იცლის და ამბობს - თუ სეზონის ბოლოს დიდ ფულს გადამიხდიან, ლონდონიდან წავალო. ადებაიორმა გასული ზაფხული გაიხსენა, როდესაც მის შეძენას "ბარსელონა" და "მილანი" ცდილობდნენ.

დავუბრუნდეთ დღევანდელ მატჩს. ვენგერს იმედი აქვს, რომ მწყობრში იქნება მეორე კოტდივუარელი ლეგიონერი **კოლო ტურე**. ამ ბიჭს გასულ უქმეებზე "ბარნლისთან" სათასო მატჩში არ უთამაშია. ის მუხლს იტკიებდა. მწვრთნელმა ტურე სადღეისოდ შემოინახა. "მეთოფეებმა" "ბარნლის" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს (ისინი მომდევნო რაუნდში "ჰალ სიტის" შეხვდებიან). ვენგერმა ბარნლელებს გადახალისებული შემადგენლობა დაუპირისპირა. მან ძირითადი მეკარე **მანუელ ალმუნია** დაასვენა. ალმუნიას ადგილი პოლონელ **ლუკაშ ფაბიანსკის** ერგო.

როგორც აღვნიშნეთ, "არსენალს" ადებაიორი არ ეყოლება. სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს სხვა თავდამსხმელებმა - **ედუარდომ** და **თეო უოლკოტმა**. "ბარნლისთან" მატჩში ედუარდომ გოლი შეაგდო, უოლკოტმა კი მინდორზე მხოლოდ 20 წუთი გაატარა. 19 წლის ფორვარდმა ნოემბრის შემდეგ პირველად ითამაშა. თეომ აღიარა, რომ ძირითადში სათამაშოდ მზად არ არის. სამაგიეროდ, გუნდს მეორე ტაიმში დაეხმარება. აპრილის დასაწყისში მინდორს დაუბრუნდება **სესკ ფაბრეგასიც**. მოძლიერებული ლონდონელები ოთხეულში მოსახვედრად იბრძოლებენ. მათ "ასტონ ვილასაგან" სულ რაღაც სამი ქულა ჰყოფთ.

რომაელთა ბანაკში პრობლემებია. "ჯალოროსის" ერთბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს. მათ ძირითადის რამდენიმე მოთამაშე ვერ დაეხმარება, მათ შორის – **სისინიო, მაქს ტონეტო, მარკო კასეტი, მირკო ვუჩინიჩი, ალბერტო აკვილანი** და **კრისტიან პანუჩი**. მცირე ტრავმები აწუხებთ **სიმონე პეროტას, დანიელე დე როსისა** და კაპიტან **ფრანჩესკო ტოტის**.

სავარაუდო შემადგენლობები

**რომა**: დონი, მოტა, ლორია, მექსე, რიისე, ტადეი, დე როსი, ბრიგი, ტოტი, პეროტა, ბაპტიშტა.

**არსენალი**: ალმუნია, კლიში, გალასი, კოლო ტურე, სანია, ნასრი, დიაბი, დენილსონი, ებუე, ვან პერსი, ბენდტნერი.

**მსაჯი**: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ბარსელონა-ლიონი (1:1)**

„ბარსელონასა" და „ლიონს" ეროვნულ ჩემპიონატებში პრობლემები შეექმნათ. ბოლო ტურებში მათ ბევრი ქულა გაანიავეს, რის გამოც მდევრები წამოეწივნენ. ორი კვირის წინ, როდესაც ამ გუნდების პირველი მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა, "ბარსელონა" ღრმა კრიზისში იყო ჩავარდნილი. კრიზისის შედეგად, მადრიდის "რეალმა" კატალონიელებთან 12-ქულიანი ჩამორჩენა 4 ქულამდე დაიყვანა. "ბარსამ" ძალ-ღონე მოიკრიბა და გასულ უქმეებზე ბილბაოს "ატლეტიკს" ორი უპასუხო გოლით მოუგო. "რეალმა" მადრიდულ დერბიში "ატლეტიკო" ვერ დაამარცხა, რის გამოც სხვაობა პირველ და მეორე ადგილზე მყოფ გუნდებს შორის ექვს ქულამდე გაიზარდა. ბასკებთან გამარჯვების მიუხედავად, **პეპ გვარდიოლა** და მისი შეგირდები მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფებიან. გულშემატკივარი მათ ესპანეთის საჩემპიონო ტიტულის დაკარგვას არ აპატიებს. საეჭვოა, ბარსელონელებს თუნდაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა შერჩეთ.

შაბათს "ლიონმა" "ლილთან" 0:2 წააგო. საფრანგეთის ჩემპიონები უახლოეს მდევარს ერთი ქულითღა უსწრებენ, არადა, ორი კვირის წინ სხვაობა ექვსი ქულა გახლდათ. თითქოს ქულების განიავება საკმარისი არ იყო, "ლიონს" საუკეთესო ბომბარდირი **ქარიმ ბენზემა** დაუშავდა. ფრანგებმა ბენზემა ბარსელონაში მაინც წაიყვანეს. მისი თამაშის საკითხი დღეს უნდა გადაწყვეტილიყო. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ "ლიონი" ბენზემას გარეშეც ძლიერი მეტოქეა. გვარდიოლამ ისიც კი აღიარა, ამ სეზონში ყველაზე მეტად "ლიონთან" თამაში გაგვიჭირდაო.

ბენზემა დიდი დანაკლისია გუნდისათვის, რომელსაც ოთხი მატჩია (იგულისხმება ყველა ტურნირის ბოლო ოთხი მატჩი), არ მოუგია. ლიონელთა დაცვას რაღაც სჭირს. ბოლო სამი თამაშია, ფრანგული კლუბი ერთ შეხვედრაში საშუალოდ ორ გოლს უშვებს. "ბარსელონა" შეეცდება, მეტოქის სისუსტით ისარგებლოს. მკითხველს შევახსენებთ, რომ კატალონიელებს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ყველაზე შედეგიანი გუნდი ჰყავთ. მათ ანგარიშზე 19 გოლია. ამ გუნდების ბოლო ხუთი შეხვედრიდან სამი "ბარსამ" მოიგო, ხოლო ორი ფრედ დასრულდა.

დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ საკადრო პრობლემები აწუხებს "ბარსელონასაც". დაშავებულია კაპიტანი **კარლეს პუიოლი**. მან "ბილბაოსთან" მატჩისას კოჭი იღრძო და სამკვირიანი შვებულება გამოიწერა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა**: ვალდესი, დანიელ ალვეში, პიკე, მარკესი, სილვინიო, იაია ტურე, ინიესტა, ჩაბი ალონსო, მესი, ეტოო, ანრი.

**ლიონი**: ლორისი, კლერი, კრისი, ბოდმერი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, ჟუნინიო, ედერსონი, დელაგდო, ბენზემა (ან გოვუ).

**მსაჯი**: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**პორტო-ატლეტიკო (2:2)**

თუ "ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გაალწევს, დროებით მწვრთნელ **აბელ რესინოს** ხანგრძლივ კონტრაქტს გაუფორმებენ. ეს ინფორმაცია გუშინდელმა "მარკამ" მოგვაწოდა. სენიორ რესინო მადრიდული კლუბის ლეგენდარული მეკარეა. გუნდის დამრიგებლის პოსტზე მისი მოღვაწეობა წარმატებულად დაიწყო. რესინოს სადებიუტო შეხვედრაში "ატლეტიკომ" "რეკრეატივოს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა და შვიდმატჩიან მოუგებელ სერიას დაუსვა წერტილი. ეს თებერვლის დასაწყისში მოხდა. "რეკრეატივოსთან" გამარჯვებას მოჰყვა ფრე "ხეტაფესთან", წაგება "სევილიასთან" და კიდევ ერთი საშინაო ფრე "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალში.

შემდეგ "როხიბლანკომ" ორი დიადი მატჩი ჩაატარა. ბოლოსწინა ტურში "ატლეტიკომ" "ბარსელონასთან" დრამატული მატჩი მოიგო, 4:3, ხოლო გასულ უქმეებზე კინაღამ "რეალსაც" სძლია, 1:1. "როხიბლანკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** უმალ მწვრთნელის ახალი კონტრაქტი ახსენა. რესინოს ხელშეკრულება ხუთ თვეზეა გათვლილი. მან გუნდს 30 ივნისამდე უნდა უხელმძღვანელოს. "მარკას" სტატიამდე რესინოს ხელშეკრულების გაგრძელებაზე სიტყვაც არავის დაუძრავს. ესპანელი მიმომხილველები "როხიბლანკოს" მწვრთნელობას **კიკე სანჩეს ფლორესსა** და **ერნესტო ბალბერდეს** უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ თუ "ატლეტიკო" "პორტუს" გამოაგდებს, აბელ რესინო დღევანდელ თანამდებობას შეინარჩუნებს. ზემოხსენებულ სპეციალისტებს კი სხვაგან მოუწევთ ბედის ცდა.

დავუბრუნდეთ დღევანდელ მატჩს. "ატლეტიკოს" საკადრო პრობლემები არ აწუხებს. გუნდის თავდასხმას **დიეგო ფორლანი** და **სერხიო აგუერო** გაუძღვებიან. ისინი მეტოქის კარში მინიმუმ ერთი ბურთის გატანას შეეცდებიან. ბოლო ორი წელია, "პორტუ" ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალიდან ეთიშება. პორტუგალიელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ნავსი გატეხონ. ორი კვირის წინ, მადრიდული მატჩისას, "პორტუს" ორივე გოლი არგენტინელმა თავდამსხმელმა **ლისანდრო ლოპესმა** გაიტანა. მან შვიდ მატჩში ექვს გოლს მოუყარა თავი. ლოპესი წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის თანაბომბარდირია. "პორტუს" კიდევ ერთი მრისხანე თავდამსხმელი ჰყავს - **ჟივანილდო ვიეირა**, რომელსაც ჰალკის სახელით იცნობენ. ის ოპტიმალურ ფორმაში ჩადგა და მეტოქე გუნდების მცველებს დიდ თავსატეხს უჩენს.

პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "პორტუმ" "ლეიქსოეშს" 4:1 მოუგო. გუნდის თავკაცმა **ჟეზუალდო ფერეირამ** განაცხადა, რომ მისი შეგირდები მადრიდელთა დასახვედრად მზად არიან. მან დღევანდელ შეხვედრას სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი უწოდა. მასპინძლებს კოლუმბიელი ნახევარმცველი **ფრედი გუარინი** გამოუჯანმრთელდათ. დაშავებულია ურუგვაელი მცველი **ხორხე ფუჩილე**. მისი ასპარეზობა საეჭვოა.

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ**: ელტონი, საპურანო, როლანდო, ბრუნო ალვეში, სისოხო, ლუჩო გონსალესი, ფერნანდო, რაულ მეირელეში, ლისანდრო ლოპესი, ჰალკი, კრისტიან როდრიგესი.

**ატლეტიკო**: ლეო ფრანკო, ა. ლოპესი, უიფალუში, პაბლო, პერეა, სიმაო, რაულ გარსია, ასუნსაო, მაქსი როდრიგესი, აგუერო, ფორლანი.

**მსაჯი**: პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

**მანჩესტერ იუნ.-ინტერი (0:0)**

ორი გრანდის განმეორებითი მატჩი უგოლოდ ვეღარ დასრულდება. მომდევნო ეტაპზე ის გუნდი გავა, რომელიც მეტოქის დამწუხრებას მოახერხებს. **ჟოზე მოურინიო** ამბობს, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. მიმომხილველებს პორტუგალიელი მწვრთნელის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ. მათი აზრით, მოურინიოს აუცილებლად უნდა შურდეს **სერ ალექს ფერგიუსონის**, რომლის განკარგულებაში უმაღლესი დონის თავდამსხმელთა მთელი თანავარსკვლავედია.

ორი კვირის წინანდელ მატჩში "მანჩესტერი" სოლიდურ სათამაშო უპირატესობას ფლობდა. "ეშმაკებმა" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. გასულ უქმეებზე ინგლისის ასოციაციის თასის მატჩში "ეშმაკებმა" "ფულჰემს" ასიამოვნეს, 4:0. სერ ალექსმა **კრისტიანო რონალდო** და **დიმიტარ ბერბატოვი** სადღეისოდ შემოინახა. **კარლოს ტევესმა** ამით ისარგებლა და დუბლი გამოაცხო.

არგენტინელი თავდამსხმელი ნებისმიერ ევროპულ გრანდს დაამშვენებდა, მაგრამ ის "იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამის მიუხედავად, მიმდინარე სეზონში 12 გოლს მოუყარა თავი. "ინტერთან" განმეორებითი მატჩისას, ტევესს სავარაუდოდ ისევ სკამზე მოუწევს გადაჯდომა. ეშმაკების თავდასხმას ბერბატოვისა და უეინ რუნის დუეტი გაუძღვება. მათ უკან, ფლანგზე, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, კრისტიანო რონალდო ითამაშებს.

თავდასხმაში ყველაფერი რიგზეა, სამაგიეროდ, დაცვის ხაზშია პრობლემები. **რიო ფერდინანდისა** და **ჯონ ოშის** ასპარეზობა საეჭვოა. სერ ალექსის ცნობით, რომ ფერდინანდს კოჭი აქვს გასიებული. ექიმები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მან "ინტერის" წინააღმდეგ ითამაშოს.

მოურინიოს ფერგიუსონის განბილება სურს. მასაც სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ძირითადის ორი მცველი - **მარკო მატერაცი** და **ნიკოლას ბურდისო** ავადაა. ისინი ბოლო ტურში, "ჯენოასთან" მატჩისას დაშავდნენ. **კრისტიან კივუმ** ბარძაყის ტრავმა ვერ მოიშუშა. მოურინიოს შესუსტებული დაცვის გამოყვანა მოუწევს.

მაგრამ ის მაინც გამარჯვებას აპირებს. "ოლდ ტრეფორდი" მისთვის ბედნიერი სტადიონია. მოურინიომ გულშემატკივარს სწორედ ამ არენაზე გააცნო თავი. ეს 2004 წლის გაზაფხულზე მოხდა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ მოურინიოს "პორტუ" და ფერგიუსონის "მანჩესტერ იუნაიტედი". მატჩი პორტუგალიაში მასპინძლებმა მოიგეს, 2:1. განმეორებითი შეხვედრის ბოლო წამებამდე "იუნაიტედი" მინიმალური ანგარიშით იმარჯვებდა. მას მომდევნო ეტაპის საგზური ფაქტობრივად ჯიბეში ედო, მაგრამ "პორტუმ" გაათანაბრა და "ეშმაკები" ტურნირიდან გამოთიშა. იმ სეზონში "პორტუმ" ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა.

"პორტუს", "ჩელსისა" და ახლა უკვე "ინტერის" მთავარი მწვრთნელის რანგში, მოურინიო სერ ალექსს 13-ჯერ შეხვდა და მხოლოდ ერთხელ წააგო. ჟოზეს სულაც არ აღელვებს ის, რომ სადღეისოდ "იუნაიტედს" ჩემპიონთა ლიგაში 20-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, ხოლო საკუთარ არენაზე 18 მატჩია, არ დამარცხებულა. "ინტერს" **ვალტერ სამუელი** უბრუნდება. ძირითადში ვიხილავთ **ადრიანოსაც**, რომელმაც "ჯენოასთან" მატჩი თადარიგში გაატარა.

სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნ**: ვან დერ სარი, გარი ნევილი, ვიდიჩი, რიო ფერდინანდი (ან ჯონი ევანსი), ევრა, ქერიკი, სქოულზი, რუნი, პარკი, რონალდო, ბერბატოვი.

**ინტერი**: ჟულიო სეზარი, მაიკონი, სამუელი, კორდობა, სანტონი, ძანეტი, კამბიასო, მუნტარი, სტანკოვიჩი, იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო.

**მსაჯი**: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**შალვა ბიბილაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# მასტერკლასი კრისტიანო რონალდოს

## ბარტერი უსაინ ბოლტთან და მოსალოდნელი მადრიდული ტრანსფერი

„მანჩესტერ იუნაიტედის" მეტოქეებს გულისხეთქვის კიდევ ერთი საფუძველი მიეცათ. „ეშმაკების" ისედაც შეუჩერებელი გარემარბი **კრისტიანო რონალდო** ზაფხულზე მასტერკლასს მიიღებს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანისგან - პორტუგალიელთან თანამშრომლობას დათანხმდა ოლიმპიური და მსოფლიოს რეკორდების მფლობელი, იამაიკელი **უსაინ ბოლტი**. სპორტის გულშემატკივრებს შესანიშნავად მოეხსენებათ, რომ უსაინმა პეკინში ჩატარებულ ოლიმპიადაზე 100 და 200 მეტრზე გარბენებში გამარჯვების გარდა, იამაიკის ნაკრებს 4X100 მეტრზე ესტაფეტა მოაგებინა. ბოლტი ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი გახლავთ. თავად ლეგენდად ქცეულმა სპორტსმენმა ოლიმპიადის შემდეგ კრისტიანოს მაისურა და ავტოგრაფი სთხოვა. ბუნებრივია, ასეთ მოკრძალებულ სურვილზე ფეხბურთელს უარი არ უთქვამს, თუმცა პორტუგალიელს თავის მხრივ ერთი სათხოვარი აღმოაჩნდა: სირბილის ტექნიკის დასამუშავებლად მისთვის ერთი გაკვეთილი ჩაეტარებინა. გაზაფხულის მიწურულს უსაინ ბოლტი ლონდონში ჩასვლასა და იქ რამდენიმე კვირით დარჩენას აპირებს, მაგრამ გარდა მასტერკლასისა, მას ბრიტანეთის დედაქალაქში თავისი საქმეც აქვს. საქმე ის არის, რომ მისი ირლანდიელი აგენტი **რიკი სიმსი** სწორედ ლონდონთან ახლოს, სამხრეთ აღმოსავლეთით, ტედინგტონში ცხოვრობს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გამოჩენილი სპრინტერი ფეხბურთელთან იმუშავებს. ამერიკელი **ბენ ჯონსონი** გასული საუკუნის 90-იან წლებში **დიეგო მარადონას** ავარჯიშებდა, საუკუნის მიწურულს კი ლიბიის დიქტატორ **მოამარ ალ კადაფის** ვაჟ **ალ საადი კადაფის** წვრთნიდა, რომელიც ერთი პერიოდი ეგვიპტურ „ალ აჰლიში" თამაშობდა.



კრისტიანო რონალდოს უსაინ ბოლტი დაეხმარება

**რაულ გონსალეს ბლანკომ** ბრიტანულ „ტაიმსთან" ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა თავის ხანგრძლივ და წარმატებულ კარიერაზე, გაიხსენა წარსული, გამოთქვა მომავლის რწმენა და ისე, ყოველი შემთხვევისთვის, კრისტიანო რონალდოც ახსენა. ბუნებრივია, როცა ფეხბურთის ლეგენდა პორტუგალიელ კოლეგაზე აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობს, ყოველთვის საინტერესოა. გთავაზობთ ციტატას რაულის ინტერვიუდან: *„თუკი შემეკითხებოდნენ, ესპანეთის გარდა რომელ ქვეყანაში ვისურვებდი ასპარეზობას კარიერის განმავლობაში, დაუფიქრებლად ვუპასუხებდი: ინგლისში! თუმცა „რეალში" თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და კარიერის დასრულებამდე რაიმეს შეცვლას არ ვაპირებ. რამდენიმე წლის წინ ჩემს აგენტებს „ჩელსიდან" დაუკავშირდნენ. მაშინ თავად არ მოვისურვე მშობლიური ქალაქიდან აბარგება, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგა ძალიან მიყვარს. ფეხბურთი ინგლისში ძალზე დინამიკური და ემოციურია. ესპანელ ფეხბურთელთა გადინების გამო ის ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო გახდა.*

*ვფიქრობ, თუკი რონალდო „რეალში" მართლა გადმოვიდოდა, მას აქ უაღრესად თბილად დახვდებოდნენ. ის ფეხბურთელები, რომელთაც მის გვერდით უთამაშიათ, ამბობენ, რომ ის ძალზე შრომისმოყვარე და სასიამოვნო ადამიანია. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია მას დაარღვიოს „რეალში" არსებული ჰარმონია. ბოლო წლებში ჩვენთან უამრავმა „გალაქტიკომ" ითამაშა - რონალდომ, ზიდანმა, ბექჰემმა, ფიგუმ. ყველა მათგანი იდეალურად ჯდებოდა „რეალის" ანსამბლში. მათ თავი სხვა თანაგუნდელებზე მაღლა არ დაუყენებიათ. პირადად კრისტიანოსთან ურთიერთობა არასდროს მქონია, მაგრამ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც მას იცნობენ".*

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, სერ **ალექს ფერგიუსონმა** სკაუტებს ორი პერსპექტიული ფეხბურთელის თვალყურისდევნება დაავალა. ლაპარაკია ბრაზილიური „ინტერნასიონალისა" და 20-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **ვალტერსა** და „უდინეზეს" 20 წლის ჩილელ ფორვარდ **ალექსის სანჩესზე**. გაზეთების ცნობით, „ეშმაკები" ვალტერის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან, რაც შეეხება სერია A-ში მოასპარეზე ფეხბურთელს, მის შესაძენად 3,8-4 მილიონი ევრო იქნება საჭირო.

არსენალი

# უოლკოტი მადლობელია

## ვან პერსი თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას დაეუფლა

**თეო უოლკოტმა** სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ ნოემბერში მიღებულმა მხრის ტრავმამ მის იმედებს ცივი წყალი გადაავლო. ფეხბურთელი მინდორზე დასაბრუნებლად უკვე მზად რომ გახლავთ, ამის შესახებ უკვე გაცნობეთ. ინგლისის ნაკრების გარემარბი „ბარნლისთან" სათასო შეხვედრაში უკვე იჯდა სათადარიგოთა შორის. უოლკოტი მადლობელია ყველა იმ ადამიანის, რომელთაც მას მთელი ამ თვეების განმავლობაში ყურადღება არ მოაკლეს. ფეხბურთელი ჟურნალისტებთან საუბრისას სწორედ ამ თემას ეხება. გთავაზობთ ციტატას:

*„არსენალის" მთელი სამედიცინო შტაბი უბრალოდ ბრწყინვალე ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ვგულისხმობ ტონი კოლბერტს, ნილ რეინოლდსს, კოლინ ლევინს, - ასევე მასაჟისტებს: ისინი ჩემთვის ყველაფერს აკეთებდნენ. ნილი, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. მასთან ბოლო თვეების განმავლობაში დამეგობრებაც მოვასწარი. ვალში ვარ იმ დახარჯული ენერგიისთვის, რაც მან ჩემთვის გაიღო. არამხოლოდ ნილი, მთელი მისი ჯგუფი მოწოდების სიმაღლეზე იყო. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩვენი მთავარი ექიმი გარი ოდრისკოლი. ადრე ის ირლანდიის მორაგბეთა ნაკრებთან მუშაობდა. მას ასეთი ტრავმები არაერთხელ განუკურნავს. გარი მეუბნებოდა, რომ ჩვენი ბრძოლა იყო მიმართული ბედისწერის მოსათვინიერებლად. ოდრისკოლი შესანიშნავი ექიმი იყო რაგბიში და ასეთადვე დარჩა ფეხბურთშიც. ბოლო პერიოდში, როცა საქმე ნელ-ნელა უკეთესობისკენ წავიდა, „ბარნლისთან" და „რომასთან" მატჩებს განვიხილავდი, როგორც მინდორზე დაბრუნების სავარაუდო თარიღებს. ტრავმამდე მართლა კარგად ვთამაშობდი. მნიშვნელოვანი იყო მხარდაჭერა, რაც არსენ ვენგერისაგან ვიგრძენი. დროა, მისი ნდობა გავამართლო. იქამდე საჭიროა, ფორმაში შევიდე, თუმცა ეს ელვისებურად ვერ მოხდება. ერთადერთი, რასაც შეგპირდებით, ისაა, რომ ასპროცენტიანი თავდადებით ვიმუშავებ".*



თეო უოლკოტი

ამასობაში, **რობინ ვან პერსიმ** ზედიზედ მეოთხედ მოახერხა „არსენალის" თვის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მოგება. შეგახსენებთ, რომ ტრადიციულად, გამოკითხვას „მეთოფეთა" ოფიციალური საიტი ატარებს. ჰოლანდიელ თავდამსხმელს მონდომება დაუფასდა. მან გულშემატკივართა ხმების თითქმის მესამედი მიიღო. გთავაზობთ გამოკითხვის შედეგების ცხრილს.

| | |
|---|---|
| 1. რობინ ვან პერსი | 30,7 % |
| 2. მანუელ ალმუნია | 18,1. % |
| 3. სამირ ნასრი | 14,2 % |

ამბები

### ჯო კოული 3 თვეში დაბრუნდება

„ჩელსის" 27 წლის ნახევარმცველი ჯო კოული დიდი ხანია, [illegible] ფეხბურთელი ამ დღეებში ჟურნალისტებს შეხვდა და დაწვრილებით ესაუბრა მისი ამჟამინდელი ცხოვრების შესახებ. ჯოს თქმით, მუხლის ჯვარედინი მყესების აღდგენის პროცესი ექიმების მიერ „დადგენილ" გრაფიკზე სწრაფად მიდის, რაც მას იმის იმედს აძლევს, რომ გუნდთან ერთად თავიდანვე გაივლის ახალი სეზონისთვის დაგეგმილ მოსამზადებელ შეკრებას. ლაპარაკი იმაზე, რომ ფეხბურთელი მიმდინარე სეზონშივე დაბრუნდეს, ზედმეტია. თავდაპირველად მკურნალი ექიმები შიშობდნენ, რომ კოული სექტემბრამდე ვერ შეძლებდა სრულფასოვან ვარჯიშს. *„პროცესი იმედისმომცემად მიმდინარეობს. ჩვენი სამედიცინო შტაბის წევრები კმაყოფილები არიან ჩემი მდგომარეობით. ფიზიკური დატვირთვები, რა თქმა უნდა, ძალიან დამაკლდა და ძველებურ ტონუსში აღარ ვარ, მაგრამ ამას მოევლება. ერთი პერიოდი მქონდა კიდეც ოცნება, ჩემპიონთა ლიგის ან ინგლისის თასის ფინალისთვის მინდორზე დავბრუნებულიყავი, მაგრამ ექიმებმა კატეგორიულად მთხოვეს, ეს სისულელე თავიდან ამომეგდო და რეალობისთვის თვალი გამესწორებინა. ასე რომ, ერთადერთი მიზანიღა დამრჩა - მოსამზადებელი პერიოდისთვის მწყობრში უნდა ჩავდგე".*

### ჰალკი, პორტუგალიის თვის ფეხბურთელი

„პორტუს" 22 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჰალკი, იგივე ჟილვან ვიეირა დე სოუზა** პორტუგალიაში თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. გამოკითხვა პორტუგალიის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ ჩაატარა. მან სულ მცირედით აჯობა სუპერლიგის სეზონის საუკეთესო მეკარეს, ლეიქსოეშელ **ბეტუსა** და მის მომავალ თანაგუნდელს, ამჟამად „ამადორაში" მოასპარეზე ფორვარდ **სილვესტერ ვარელას**. აღსანიშნავია, რომ ათეულში „ბენფიკას" ერთი წარმომადგენელიც კი ვერ მოხვდა, „სპორტინგს" კი მხოლოდ ჩერნოგორიელი **სიმონ ვუკჩევიჩი** წარმოადგენს. გთავაზობთ საუკეთესო ფეხბურთელების ათეულს: *1. ჰალკი (პორტუ), 2. ბეტუ (ლეიქსოეში), 3. ვარელა (ამადორა), 4. ნუნუ ასიში (გიმარაეში), 5. სიმონ ვუკჩევიჩი (სპორტინგი), 6. რუბენ მიკაელი (ნასიონალი), 7. რენტერია (ბრაგა), 8. ბრუნო ალვეში (პორტუ), 9. ჟოაო პერეირა (ბრაგა), 10. ვანდინიო (ბრაგა).*

### სახელოვანმა მექსიკელმა კარიერა დაასრულა

მექსიკური ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა, თითქმის საკულტო ფიგურად ქცეულმა მცველმა **კლაუდიო სუარესმა** კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. 40 წლის ფეხბურთელი პენსიაზე გასვლას ჯერ არ აპირებდა, მაგრამ ამერიკული „ჩივასის" ხელმძღვანელებთან ახალ კონტრაქტზე ვერ მოილაპარაკა და გადაწყვეტილებაც ასე სპონტანურად მიიღო. „იმპერატორმა" თავისი ბრწყინვალე კარიერა 1988 წელს, მექსიკურ „პუმასში" დაიწყო, სადაც 1996 წლამდე თამაშობდა; ასპარეზობდა „გვადალახარასა" (1996–1999) და „ტიგრესში" (1999–2005), ხოლო სამი წლის წინ MLS-ს მიაშურა. მექსიკის ჩემპიონატში მის ანგარიშზე 478 თამაშში გატანილი 45 გოლია, ხოლო შტატებში 59 მატჩში თავი ცხრაჯერ გამოიჩინა. კლაუდიო საკლუბო კარიერაზე მეტად სანაკრებოთი გახლავთ სახელგანთქმული. მის ანგარიშზე მექსიკის ნაკრებში ჩატარებული სარეკორდოდ ბევრი, 178 თამაშია. ეროვნულ გუნდში მან 6 გოლის გატანა მოასწრო.

### გრააფსხაპი ვუნდერკინდს კარგავს

ჰოლანდიური ერედივიზიონის ლიგის აუტსაიდერი „დე გრააფსხაპი" მომავალი სეზონისთვის **ლუკ დე იონგს** აუცილებლად დაკარგავს. 18 წლის ახოვანი (188 სმ) ცენტრალური თავდამსხმელი ბევრად უფრო ამბიციური ჰოლანდიური კლუბების თვალთახედვის არეშია მოქცეული. *„ამჟამად მე და ჩემი აგენტი მოლაპარაკებას ვაწარმოებთ „ტვენტესთან", „ჰერენვენსა" და „უტრეხტთან",* - გულწრფელად განაცხადა თავად ფეხბურთელმა. - *ხსენებულ სამეულში ჩემი ფავორიტი ნამდვილად მყავს, მაგრამ მნიშვნელოვანია ასევე მათ მიერ შემოთავაზებული კონტრაქტის პირობები და არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით. გადაწყვეტილებას სეზონის ბოლომდე ნამდვილად არ მივიღებ".* დაუდასტურებელი ინფორმაციით, დე იონგის გადაბირებას „აიაქსი" და „ეინდჰოვენიც" გეგმავენ. ამსტერდამულ გრანდში უკვე ირიცხება ირიცხება ლუკის უფროსი ძმა **სიმ დე იონგი**.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

# გეკადრებათ, სინიორა დ'ამიკო?!

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ექიმები ფეხბურთელებს თურმე ყოველდღე ულებენ შარდის ანალიზს, რიო ფერდინანდმა კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ექსტრავაგანტულობის მეფეა. ესპანეთში პრესა „ბარსელონას“ მხარდამჭერ ვებგვერდებს ხსნის, საფრანგეთის მარადმწვანე ჩემპიონ „ლიონს“ კი საკმაოდ გაუჭირდა. სამაგიეროდ, იტალიაში ისევ ენაკვიმატობის ზეიმია, ამჯერად ყურადღების ცენტრში „სქაი იტალიას“ მშვენიერი მოდერატორი ილარია დ'ამიკო მოექცა, რომელმაც ფილიპო ინძაგის ძალიან საინტერესო კითხვა დაუსვა...

თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...

## სერია A
### სუპერპიპოს ფეხები

ის ფეხბურთის **ბობ დილანია - ფილიპო ინძაგი** ან უსასტიკესად სძულთ, ანაც უსასტიკესად უყვართ. „სუპერპიპოსთვის“ შუალედი არ არსებობს! ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ინძაგი საგოლე მანქანაა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი, რასაც, როცა მოედანზეა, მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის ამტკიცებს. ამ უქმეებზე პიპომ „ატალანტას“ სამი გოლი გაუტანა („მილანმა“ 3:0 მოიგო) და ახლა კარიერაში უკვე 298 გოლი აქვს 619 მატჩში (საკლუბო და სანაკრებო დონეზე). არადა, **ხორხე ვალდანო** ცამდე მართალი იყო, როცა ინძაგიზე თქვა, ფეხბურთელზე რომ არაფერი ვთქვათ, სკამსაც კი ვერ მოატყუებსო. ასეა, ინძაგის ლამაზი დრიბლინგები არ ეხერხება, მაგრამ ინძაგის „N“ რაოდენობის გოლები გააქვს. თუმცა ვის რაში სჭირდება დრიბლინგი, როცა 35 წლის (!) თავდამსხმელს უპრობლემოდ შეუძლია ჰეთ-თრიკების შესრულება? მთავარია, რომ ბურთი კარის ხაზს კვეთს და გოლი პიპოს ეთვლება. როგორ და რანაირად, ეს მისი საიდუმლოა. გადაირევი კაცი, მაინცდამაინც იმ ადგილზე რომ ალმოჩნდება ხოლმე, სადაც უნდა იყოს. არც ძლიერი დარტყმა აქვს, არც ტექნიკა, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, სული რომ შეუბერო, წაიქცევა, მაგრამ ალლო აქვს ისეთი, მის ყველა ნაკლს ათმაგად რომ ფარავს!

**ილარია დ'ამიკო** მაგარი ქალია, „სქაი იტალიაზე“ ყოველკვირეული საფეხბურთო ტოქშოუს მოდერატორი გახლავთ და ლამის მთელი იტალია ეტრფის. ჰოდა, სინიორა დ'ამიკომ „მილანი“-„ატალანტას“ მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ პიპოს ასეთი კითხვით მიმართა: *„კი მაგრამ, აგვიხსენით, რა გაქვთ ასეთი ფეხებს შორის? უკაცრავად, მე ვიგულისხმე ფეხებში...“*

ფლორენციაში ჩასვლამდე, „პალერმოს“ პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** ისევ თავისებურად გაუბერა: *„ფიორენტინას“ ბოლო დროს მსაჯები ისევ ძალიან ეხმარებიან. როგორც ჩანს, ამ გუნდს იქ, ზემოთ, ძალიან ავტორიტეტული პატრონი ჰყავს. მე მორწმუნე კაცი ვარ და წმინდა როზალიას ვთხოვ, რომ „პალერმო“ „ფიორენტინასთან“ მატჩში არ დამიჩაგრონ, მაგრამ არა მგონია, ეს ლოცვა საკმარისი იყოს!“*

წმინდა როზალიამ, რომელმაც მე-17 საუკუნეში პალერმო შავი ჭირისგან იხსნა და ამიტომაცაა ის ყველა პალერმოელისთვის წმინდასალოცავი, როგორც ჩანს, ძამპარინის თხოვნა შეისმინა ან, შესაძლოა, ნამუსზე აგდებამ იმოქმედა - ფაქტია, რომ „პალერმომ“ „ფიორენტინას“ 2:0 მოუგო.

„ლაციოსთან“ 0:2-ზე წაგებული მატჩის შესაბამისად, „ნაპოლის“ 11 იანვრის შემდეგ ისევ არ მოუგია და 341 წუთია, ნეაპოლელებს გოლი არ გაუტანიათ. მთავარ მწვრთნელ **ედი რეჯასთვის** კრიზისი დროებითია. აი, მისი კომენტარები: *„ახლა ძალიან გვიჭირს. ეს ისეთი მომენტია, როცა არ გვიმართლებს. ძალიან მძიმე მომენტია... ამ მომენტში ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა...“* ორთვიანი „მომენტის“ შემდეგ, ნეაპოლში მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე სერიოზულად დაფიქრდნენ.

## პრემიერლიგა
### ბუ ოლი

ასოციაციის თასის მეოთხედფინალი ყველა ფავორიტმა წარმატებით დაძლია, გარდა „არსენალისა“. მაგრამ ლონდონელები ნამდვილად არ გავარდნილან - უბრალოდ, მეოთხედფინალში ახლაღა გავიდნენ, მოუგეს რა „ბარნლის“ საპასუხო მატჩში - 3:0. ოჰ, ეს ინგლისური კალენდარი...




გამოვიდა ახალი ნომერი

რაკი პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი შედგა („სანდერლენდმა“ და „ტოტენჰემმა“ ქულები გაიყვეს, 1:1), განსახილველად უფრო გვერდითი ხმები გამოდგება. მაგალითად, აი, ეს: „პსსსსსსსსჰჰჰჰ“. სწორედ ასეთი ხმა ისმის, როდესაც **კრისტიანო რონალდო** და მისი თანაკლუბელები შარდის ანალიზის ჩასაბარებლად ემზადებიან. ყოველ დღე!

როგორც გაირკვა, „იუნაიტედის“ სამედიცინო შტაბი გაცილებით მკაცრია, ვიდრე ნებისმიერი დოპინგკონტროლიორი. თვითონ განსაჯეთ, ექიმები „მანჩესტერის“ ფეხბურთელებს ყოველი ვარჯიშის შემდეგ ანალიზს ულებენ! ოფიციალური განცხადებით, ამ ხერხით თითოეული მოთამაშის ფიტნეს-მდგომარეობა მოწმდება. თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **სერ ალექს ფერგიუსონი** ასე იმასაც იგებს, თუ რით არიან დაკავებულები მისი შეგირდები თავისუფალ დროს. ხომ იცით, სერ ალექსი რაც ზემოთაა, ათი იმდენი ქვემოთაა...

ამ უქმეებზე საფეხბურთო ინგლისში მთავარი თემა ოთხშაბათის მატჩებში დაფიქსირებული უამრავი ჯალათური უხეშობები იყო. ეს განსაკუთრებით „ვიგანისა“ და „ვესტ ჰემის“ თამაშზე ითქმის, სადაც **კარლტონ კოული, ლუკას ნეილი, ლი კეტერმოული** და **სკოტ პარკერი** მოწინააღმდეგე მოთამაშეებს ჯოჯოხეთურად ჩეხავდნენ. თვით ყველაზე კონსერვატიული „დეილი მეილიც“ კი წერდა, ეს ველურობა იყოო.

„ნიუს ოფ ზე უორლდი“ კი უფრო შორს წავიდა: *„თუ ფეხბურთელები არ დაწყნარდებიან და ასეთ ამაზრზენ შემთხვევებს კიდევ ვიხილავთ, მაშინ საქმეში პოლიცია უნდა ჩაერთოს და მოთამაშეები გაასამართლოს!“* - წერდა ხსენებული გამოცემის მესვეტე **ენდი დანი**. Good Morning, England!!! ეს დებატები, წესით, მინიმუმ 30 წლის წინ უნდა დაწყებულიყო. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

როდესაც **რიო ფერდინანდმა რებეკა ელისონზე** იქორწინა (აგვისტოში), მას ქორწილში ძალიან საპატიო სტუმარი ჰყავდა: ბუ, სახელად „ოლი“. ახლა წყვილი ჯვარს იწერს და გადაწყვეტილია, რომ ცერემონიის დროს ოლი წყვილთან ბეჭდებით უნდა მიფრინდეს. ბუ ამ საქმეში უკვე კარგად ავარჯიშეს და როგორც ჩვენი ინგლისელი კოლეგები წერენ, ექვსჯერ სცადა დანიშნულების ადგილამდე მიფრენა და დაკისრებულ ამოცანას ექვსჯერვე იმედი იქონიონ, გაართვა თავი. მოკლედ, რიოს და კომპანიას ისღა დარჩენიათ, იმედოვნონ, რომ „ოლი“ ფარულად „მანჩესტერ სიტის“ ფანი არ აღმოჩნდეს და ბეჭდებთან ერთად არ გაფრინდეს...

## პრიმერა დივიზიონი
### ზიდანი ისევ რეალში?

პრიმერადივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლაში „მალიორკა“ „ბეტისთან“ 0:3-ს აგებდა და შეხვედრის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, ანდალუსიელები ძალიან დამშვიდებულები აგრძელებდნენ თამაშს და სათადაროგოთა სკამზე მჯდომ **დავიდ ოდონკორსაც** საკმაოდ უხაროდა თანაგუნდელების წარმატება - მიუხედავად იმისა, რომ სულ სკამს ახეხინებენ. უხაროდა კლუბის ბოს **მანუელ რუის დე ლოპერასაც**, რომელმაც ამ თამაშს საავადმყოფოდან მიადევნა თვალი (გულის არითმია). მაგრამ ბოლო ათი წუთი მალიორკელთათვის მაგიური გამოდგა, მათ სამი გოლი გაიტანეს! აქედან, ორი „ლევერკუზენელმა“... უკაცრავად, „მალიორკელმა“ **გონსალო კასტრომ** გაიტანა.

„ბეტისის“ თავკაცი **პაკო ჩაპარო** კი ბოლო ათ წუთში გაშვებულმა სამმა გოლმა ისე განარისხა, რომ ჟურნალისტებთან ასისტენტი გაუშვა, თვითონ კი სტადიონი უსიტყვოდ დატოვა. დე ლოპერას კი კლინიკაში დარჩენის დრო გაუხანგრძლივეს. არადა, ორ დღეში უნდა გამოეწერათ...



იმის გამო, რომ „ბარსელონამ“ ბოლო დროს ძალიან მოუკლო და მოულოდნელად, თამაშების მოგებას ველარ ახერხებდა, „რეალთან“ უპირატესობა კი შემცირდა, სპორტულმა გამოცემა „სპორტმა“ კატალონიელთათვის დახმარების გაწევა გადაწყვიტა და ვებ-გვერდ „ფეისბუქზე“ დააარსა გვერდი, სადაც გაზეთის მკითხველებს „ბარსელონასთვის“ სიყვარულის ახსნა შეეძლოთ. შესაძლოა, ამ მეთოდმა გაჭრა, რადგან კატალონიელებმა „ბილბაოსთან“ სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს (2:0). მდევარმა „რეალმა“ კი „ატლეტიკოსთან“ ფრე ითამაშა და ზედიზედ ათი მოგების შემდეგ პირველად დაკარგა ქულები.

კარგი ამბავი „რეალის“ ქომაგებისთვის: **ზინედინ ზიდანმა** განაცხადა, რომ მადრიდში სიამოვნებით დაბრუნდება! ოლონდ, ზიზუს თავისი პირობები აქვს: 1. ამისათვის „რეალის“ პრეზიდენტი ისევ **ფლორენტინო პერესი** უნდა გახდეს. 2. *„მე მრჩევლის თანამდებობა მომწონს!* - უთხრა ზიდანმა „ეკიპს“, - *„ფეხბურთში დაბრუნება ძალიან მინდა, მაგრამ არა ფუნქციონერის ან მწვრთნელის რანგში. ის, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთელი ვიყავი, ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ უმაღლესი დონის მწვრთნელი ვიქნები!“*

## ბუნდესლიგა
### მეძელე სანოგო

„ჰერტასთვის“ „კოტბუსი“ ძალიან უხერხული მეტოქეა. თვითონ განსაჯეთ, 2003 წლის შემდეგ ბერლინელებს ამ უქმეებამდე „ენერგისთან“ მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ მოპოვებული. ამიტომაც იყო, „ჰერტას“ კონკურენტები იმ იმედით რომ იყვნენ, „კოტბუსი“ ბერლინს ამჯერადაც გაამწარებსო. შაბათის მატჩი ისე დაიწყო, რომ ტენდენცია მართლაც ამ გზით მიდიოდა: **დრობნის** შეცდომას „კოტბუსის“ გოლი მოჰყვა, მერე კი **იულამ** ცარიელ კარს 6 მეტრიდან ააცილა. „ენერგი“ კარგად თამაშობდა, მაგრამ მერე **ვორონინმა** დაიწყო და აღარ გაჩერდა: უკრაინელმა სამი გოლით დაასაჩუქრა ლაუზიტცელები. ანდრეიმ კარიერაში მეორე ჰეთ-თრიკი შეასრულა. „ჰერტას“ საჩემპიონო შანსებზე განგებ არაფერს ვამბობთ...

„ჰოფენჰაიმს“ და „ვერდერს“ ზოგადად ბევრი გოლი გააქვთ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, ერთმანეთს ვერც ერთი ვერ გაუტანეს. იანვარში ბრემენიდან „ჰოფეში“ გადასულმა **ბუბაკარ სანოგომ** კი ბურთი კარის ძელს სამჯერ მოარტყა - სამივეჯერ მარცხენას, რაც ბუნდესლიგისთვის რეკორდია. „ვერდერს“ მეხუთე ადგილამდე ახლა უკვე 13 ქულა აშორებს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მუსიკოსებმა“ ჩემპიონთა ლიგა ან უეფას თასი უნდა დაივიწყონ. საკითხავი ისაა, შეინარჩუნებს კი ევროტურნირებს მიღმა დარჩენილი გუნდი ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან **ნალდო, კლაუდიო პისარო ან დიეგო?**

## ლიგა 1
### ლიონის ერა მთავრდება?

„ლიონში“ არასახარბიელო ვითარებაა. „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩის წინ, ვარჯიშზე მთავარმა მწვრთნელმა **კლოდ პუელმა** მცველ **რევეილერს** შეუტია და გასახდელში ნაადრევად გაუშვა. *„თავი ვინ გგონია? აქედან დამეკარგე!“* - უყვიროდა მწვრთნელი შეგირდს. მიზეზი კი ის იყო, რომ ფეხბურთელმა ორმხრივი თამაშის დროს გუნდი ისე გამოიცვალა, რომ სპეციალისტისთვის არაფერი უკითხავს.

სხვათა შორის, „ლიონს“ არც სპორტული თვალსაზრისით ულხინს. ჯერ იყო და, თასის მერვედფინალიდან გავარდნენ („ლილთან“ წააგეს), ახლა კი ჩემპიონატშიც დამარცხდნენ (რიგით მეოთხე წაგება) და ისევ „ლილთან“. მართალია, „ლიონი“ კვლავინდებურად პირველ ადგილზეა, მაგრამ პსჟ-ს ახლა უკვე მხოლოდ 1 ქულითღა უსწრებს.

„სტ. ეტიენს“ და ამ გუნდის მეტოქეს უეფას თასზე, ბრემენის „ვერდერს“ წელს ბევრი საერთო აქვთ: ორივე გუნდის ფერები წვანე და თეთრია, ორივე ძალიან კარგად გამოიყურება ქვეყნის თასზე, ჩემპიონატში კი პირიქით. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფრანგული კლუბის მდგომარეობა გაცილებით დრამატულია, ვიდრე „ვერდერისა“. **ალან პერინის** გუნდი ელიტაში დარჩენისთვის თავგანწირვით იბრძვის. წესით, „სტ. ეტიენი“ მთლიანად ეროვნულ პირველობაზე უნდა იყოს კონცენტრირებული, მაგრამ ეს გუნდი ევროტურნირზე თამაშს 30 წელი ელოდა და ამიტომაცაა, „უეფას თასზეც“ თავგანწირვით რომ იბრძვის.

რიგით 83-ე სამხრეთ-დასავლურ დერბიში „ტულუზამ“ „ბორდოს“ 3:0 მოუგო. ეს იყო შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს ლიგის საუკეთესო თავდასხმა (ბორდო) და საუკეთესო დაცვა (ტულუზა) ხვდებოდნენ. მასპინძლებმა დაცვის სიძლიერე ამ შეხვედრაშიც გამოავლინეს, ჟირონდელებმა კი წინა ხაზში ვერაფერი გააწყვეს. გამოსარჩევია **პიერ-ანდრე ჟინა**, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა და რომლის ანგარიშზე უკვე 16 გოლია (სხვათა შორის, თექვსმეტივე მარჯვენა ფეხით აქვს გატანილი). „ტულუზა“ 22 ნოემბრის შემდეგ დაუმარცხებელია, ახლა მეოთხე ადგილზე იმყოფება და მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ლიონს“. „ბორდოს“ კი ძალიან ცუდად აქვს საქმე. მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანიც** ამბობს, არაფერი აღარ გამოგვდისო. ასეა, „ბორდოს“ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მიეცა გოლის გატანის შანსი და ისიც... 93-ე წუთზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ფილიპო ინძაგი

# პირველი გოლი ანჩელოტის ეძღვნებოდა...

გასულ უიქენდზე, „მილანმა“ წარუმატებელი სვლა შეწყვიტა და როგორც იქნა, გაიმარჯვა. „როსონერიმ“ საკუთარ კედლებში „ატალანტა“ დაამარცხა, თანაც გამანადგურებელი ანგარიშით, 3:0. ამ ლოკალურ წარმატებაში, ლომის წილი მიუძღვის ფილიპო ინძაგის, ვინაც ბერგამოულ კლუბს ჰეთთრიკი შეუსრულა და ამ სეზონში მართლაც საუკეთესო თამაში ჩაატარა. პიპო გუშინ მასმედიის ყურადღების ცენტრში გახლდათ მოქცეული, მასთან ინტერვიუ რამდენიმე გამოცემამ დაბეჭდა.



**- ანჩელოტი არცთუ ხშირად გათამაშებთ სასტარტო შემადგენლობაში, თქვენ კი პირველი გოლის აღნიშვნისას სწორედ მასთან მიირბინეთ და გადაეხვიეთ. რას უნდა მივაწეროთ ეს?...**

- დიახ, ასე იყო და ეს არ უნდა გაგიკვირდეთ. ანჩელოტისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და ჩვენ შორის გაუგებრობა არასდროს ყოფილა. როდესაც „მილანის“ დარ კლუბში თამაშობ, უნდა გესმოდეს, რომ მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში ვერ იქნები. კარგად მესმის კარლეტოსი, რომელსაც უდიდესი არჩევანი აქვს. მის განკარგულებაში ხომ უამრავი მსოფლიო კლასის ფეხბურთელია. უნდა ნახოთ, რა მონდომებით ვარჯიშობს თითოეული მათგანი, თამაში ყველას უნდა და ეს ბუნებრივია.

**- ბევრი ვარაუდობს, რომ ანჩელოტი სეზონის ბოლოს „მილანს“ დატოვებს. თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ?**

- ამ ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, თუმცა მე ვერაფერს გეტყვით. ჩემს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, კარლეტოს არსადაც არ გავუშვებდი და „როსონერიში“ კიდევ დიდხანს დავტოვებდი. ჩემს პოზიციაზე გოლის აღნიშვნაც ნათლად მეტყველებს, მივირბინე მწვრთნელთან, გადავეხვიე და ამით მხარდაჭერა გამოვუცხადე. „მილანი“ ერთი დიდი ოჯახია და ამ ოჯახის ერთ-ერთი მთავარი წევრი სწორედ ანჩელოტია. იგი შესანიშნავი დიპლომატია და გუნდში ასეთივე ატმოსფერო აქვს შექმნილი.

**- კი, მაგრამ გუნდი ვერ აჩვენებს ისეთ ფეხბურთს, როგორსაც მისგან ითხოვენ. რაც მთავარია, არ არის შედეგი. ნუთუ პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?**

- უარყოფით შედეგში დამნაშავე მხოლოდ მწვრთნელი არაა. პასუხისმგებლობა თითოეულ ფეხბურთელზე უნდა გადანაწილდეს, რადგან თამაშს გუნდი აგებს და არა რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელი თუ მწვრთნელი. თანამედროვე ფეხბურთი ისეა მოწყობილი, რომ მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ კაცს, მწვრთნელს ეკისრება, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. დარწმუნებული ვარ, ანჩელოტი მოძებნის ძალას, რომ გუნდი ახალ სიმაღლეზე აიყვანოს. ერთად წინ კიდევ ბევრი ტურნირი და თასი გველის, ეს ღრმად მწამს.

**- თუმცა ამ სეზონში კვლავ უტიტულოდ რჩებით, რა დაემართა გუნდს, რომელსაც სეზონის წინ ძალიან ამბიციური გეგმები ჰქონდა?**

- ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ეს ჩვენ გვინდა. გეგმები მართლაც ამბიციური გვქონდა, თუმცა დღეს ერთობ მძიმე მდგომარეობაში ვართ. უეფას თასიდან გამოვარდნამ გული ძალიან დაგვწყვიტა, რადგან ამ ტურნირის მოგებით, კლუბის მუზეუმს ახალი თასით გავამდიდრებდით. სეზონის წინ ბევრს ვსაუბრობდით, რომ ევროპის რიგით მეორე საკლუბო ტურნირი უნდა მოგვეგო, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. არ გაგვიმართლა, საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ძალიან ცუდ დროს გადავეყარეთ.

**- სკუდეტოს მოგების იმედი კიდევ გაქვთ?**

- „ინტერი“ წინ არის გაჭრილი და ძნელად წარმოსადგენია, რომ 12-ქულიანი ფორა ალმოვფხვრათ. ამაზე ფიქრი საჭირო არაა, ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. თუ სასწაული მოხდა და პირველობისთვის ბრძოლაში კვლავ ჩავერიეთ, ხომ კარგი, თუ არა და, სხვა მიზანიც გვაქვს და იმას მაინც უნდა მივაღწიოთ.

**- ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას გულისხმობთ?**

- რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგა ამ სეზონში ძალიან გვაკლია. ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ და ჩვენი სიტყვა ვთქვათ. დღეს „მილანს“ ძალიან ბევრი აკრიტიკებს, ისინი თვლიან, რომ ამ გუნდმა თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა და ამიერიდან, წარუმატებლობისთვისაა განწირული. ძალიან მინდა, ყველას დავუმტკიცოთ, რომ დიდი გამარჯვებების მოპოვება კვლავაც შეგვიძლია.

**- ორიოდე სიტყვით „ატალანტასთან“ შეხვედრა გავიხსენეთ, ჰეთთრიკი ბოლოს როდის შეასრულეთ?**

- სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ. ჰეთთრიკის შესრულება ერთობ რთული საქმეა და კარიერაში სულ რამდენჯერმე გიწევს. ასე რომ, ჩემთვის ეს დღე განსაკუთრებული იყო. ყველაზე უფრო ის მახარებს, რომ გუნდს რთულ დროს გამოვადექი და წარუმატებელი სერიის შეწყვეტაში დავეხმარე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თანაგუნდელების გარეშე ვერაფერს გავხდებოდი, თითოეული მათგანი, უბრალოდ, ბრწყინვალე იყო. ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში.

**- გოლები მართლაც დიდებული გადაცემების შემდეგ გაიტანეთ...**

- დიახ, ჯერ იანკულოვსკიმ მომცა შესანიშნავი პასი, შემდეგ პატომ, ბოლოს კი ძამბროტამ. სამივე შემთხვევაში, გოლის გატანის გარდა, აღარაფერი დამრჩენოდა და ამისთვის ჩემი პარტნიორების უზომოდ მადლიერი ვარ. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვის გააქვს გოლი, მთავარია, გუნდმა გამართული ფეხბურთი აჩვენა და შედეგს მიაღწია. მე თუ მკითხავთ, პატო ჩემზე არანაკლებ გაისარჯა და გამარჯვებაში დიდი წვლილიც შეიტანა. ბრაზილიელის მხარდამხარ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და კიდევ მოუმატებს.

**- პატო ერთ-ერთი რგოლია იმ თანავარსკვლავედის, რომლებმაც „მილანში“ მოიყარეს თავი. ელოდით, რომ თებერვალში გუნდი უკვე ფაქტობრივად მოტივაციის გარეშე იქნებოდა დარჩენილი?**

- უმოტივაციოდ ნამდვილად არ ვართ, თუმცა კითხვის შინაარსი ჩემთვის გასაგებია. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ უეფას და გნებავთ, იტალიის თასიდან ასე ნაადრევად გამოვეთიშებოდით. სკუდეტოსთვის ბრძოლასაც ფაქტობრივად ჩამოცილებულნი ვართ, რაც ასევე მოულოდნელი რეალობაა ჩვენთვის. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ სამივე ტურნირზე ბოლომდე ვიბრძოლებდით და ბუნებრივია, თასების მოგების იმედიც გვქონდა. თუმცა, ყურების ჩამოყრა არ ღირს, უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და არსებული ხარვეზები აღმოვფხვრათ. რთულ მდგომარეობაში არაერთხელ ვყოფილვართ, თუმცა გამოსავალი ყოველთვის გვიპოვია.

**- ბექჰემი სეზონის ბოლომდე „მილანში“ რჩება, კმაყოფილი ხართ მის მხარდამხარ ასპარეზობით?**

- დევიდი შესანიშნავი ადამიანია და მასთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირს. ყველას გაგვიხარდა, როდესაც მისი დარჩენის ამბავი გავიგეთ. ძალიან მინდა, რომ კლუბმა მასთან ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულება გააფორმოს. ინგლისელმა ძალიან გაგვაძლიერა და ნახევარდაცვაში არსებული სიცარიელე ამოავსო. ამდენი ტრავმირებულის ფონზე, მისი გუნდში ყოფნა, უბრალოდ, მისწრებაა. დევიდი უნივერსალია, მარჯვნივ და ცენტრში თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში. „ატალანტასთან“ კი მეტწილად მარცხენა ფლანგზე იყო და არც მისთვის უჩვეულო პოზიციაზე შეურცხვენია თავი.

**- მისი მარცხენა ფლანგზე გამწესება მართლაც მოულოდნელი იყო, ისევე როგორც იანკულოვსკის შემტევ ნახევარმცველად გამოყენება. ასეთი ფორმაციის „მილანი“ ვარჯიშებზე მუშავდებოდა?**

- მარეკ იანკულოვსკიმ წინა ხაზზე თავი დიდებულად წარმოაჩინა, რაც უკვე ნიშნავს, იმას, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა. პირველი გოლისას, ზუსტი პასი სწორედ ჩეხმა მომცა. გარდა ამისა, მესამე გოლის კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და საერთოდაც, ჩინებულად გაისარჯა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მარეკის პოტენციალი აქამდეე არ იყო რეალიზებული. ანჩელოტი ინოვატორია და ასეთ სვლებს ხშირად მიმართავს. სწორედ მან მოუძებნა ახალი ამპლუა ანდრეა პირლოს, ვინაც იქამდე „ბრეშაში“ გამთამაშებლად ირჯებოდა. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება.

**- იქნებ დადგეს დრო და ანჩელოტიმ სხვა ამპლუა თქვენც მოგიძებნოთ. რას იზამთ ამ შემთხვევაში?**

- როგორც მწვრთნელი გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი, თუმცა ძალიან მეეჭვება, რომელიმე სხვა ამპლუაში ვივარგო. ტექნიკური არსენალით არ გამოვირჩევი, არც ფილიგრანული პასი მაქვს და არც მოედნის უზადო ხედვა. მეტოქის შეტევების ჩაშლაც არ მეხერხება და კარში, მით უმეტეს, ვერ ჩავდგები. გამოდის, რომ თავდამსხმელობისთვის ვყოფილვარ განწირული. ეს კარგად ესმის კარლეტოს. ასე რომ არ იყოს, აქამდე უკვე გამომცდიდა სხვა პოზიციაზე.

**- მწვრთნელობაზე არასდროს გიფიქრიათ?**

- მიფიქრია, თუმცა არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემგან კარგი სპეციალისტი დადგება. მწვრთნელობა ურთულესი პროფესიაა, რომელსაც დიდი ნერვები და მოთმინების უნარი სჭირდება. ფეხბურთის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია და ალბათ, კარიერის დასრულების შემდეგ სპორტის ნომერ პირველ სახეობაში დავრჩები. რა ფორმით და რა როლში, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია.

ლაშა ნიკლაური

შესაძლო ტრანსფერი

# ტოტენჰემი ლენონს ყიდისო...

მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ტოტენჰემს“ სერიოზული ბრძოლა მოუწევს **აარონ ლენონის** შესანარჩუნებლად. მიზეზი მარტივია: 21 წლის ფეხმარდი მარჯვენა ნახევარმცველით „ლივერპულია“ დაინტერესებული. მოგეხსენებათ, „მამლებში“ ამპლუით ორი მარჯვენა გარემარბი ირიცხება, ლენონის გარდა ამავე პოზიციაზე თამაშობს ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი კანდიდატი **დევიდ ბენტლი**. მერსისაიდელებს სწორედ ამითი სურდათ სარგებლობა და ლონდონელებს ფეხბურთელის სატრანსფერო თანხის დასახელება სთხოვეს. ხსენებულ ინტერესზე პრესაში თითქმის არაფერი დაწერილა, რადგან მხარეებმა შეძლეს და მოლაპარაკებათა პროცესის შესახებ ინფორმაცია გაასაიდუმლოეს. **რაფაელ ბენიტესი** ლენონის შეძენით იანვარში მაშინ დაინტერესდა, როცა მხარეები, პარალელურად, **რობი კინის** ლონდონში დაბრუნებაზე მსჯელობდნენ. თუმცა **ჰარი რედნაპმა** გარიგებაზე კატეგორიული უარი თქვა. ლენონის კონტრაქტი „ტოტენჰემთან“ 2012 წელს იწურება.



აარონ ლენონი

გარიგების ალბათობა ერთი ორად გაიზრდება, თუკი ზაფხულისთვის **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** „ლივერპულს“ ქუვეითელ ინვესტორებს მიჰყიდიან. ბუნებრივია, ახალი მესაკუთრე ყველაფერს ილონებს, რათა მთავარი მწვრთნელის სატრანსფერო ამბიციები მაქსიმალურად დააკმაყოფილოს.

შალვა ბიბილაშვილი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ინტერვიუ

დავიდ ვილია

# დაძაბულობა არც მე მარგებს, არც რაულს

## პირადი ამბიცია მოვთოკოთ, მთავარი სელექციონის ინტერესებია


ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვალენსიას" უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა ისევ უმწვავეს პრობლემად რჩება. დრო გადის, მაგრამ „ღამურების" საშველი არ ჩანს. ეკონომიკური გასაჭირი გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება. ამაში მაშინვე დარწმუნდებით, როგორც კი გათამაშების ცხრილის დინამიკას გაეცნობით. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ვალენსიას" ამ მორევიდან თავის დაღწევა ძალიან უჭირს. სამწუხაროა, რომ ამ ყველაფერს კლუბის წამყვანი ფორვარდის დავიდ ვილიას ტრავმაც დაერთო. ვილიას ავადმყოფობის დროს გუნდმა არაერთი ქულა დაკარგა. სხვათა შორის, „ღამურები" უეფას თასის გათამაშებასაც გამოეთიშნენ. ფიფას ოფიციალური საიტის ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში დავიდ ვილიამ უეფას თასზე ასპარეზობის დასრულების გამო დიდი მწუხარება გამოხატა.

**- უეფას თასიდან გამოვარდნის შემდეგ თქვენ და თქვენი თანაგუნდელები თავს როგორ გრძნობთ?**

- უეფას თასიდან გამოვარდნამ ძალიან დაგვწყვიტა გული. პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ ტურნირს დიდ იმედებს ვუკავშირებდით. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ ყველაფერი დასრულდა. ახლა ისღა დაგვრჩენია, ენერგია მოვიკრიბოთ და მთელი ძალით პრიმერა დივიზიონზე გადავერთოთ. გულწრფელად გითხრათ, ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება უკვე თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ვალდებული ვართ, ბოლომდე ვიბრძოლოთ და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. ამისათვის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრაა საჭირო. ჩემიონთა ლიგა გუნდისთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- მარტის ბოლოს ესპანეთის ნაკრებს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს. 2010 წლის მუნდიალზე წასვლა-არწასვლის საკითხი სავარაუდოდ თურქეთთან პაექრობაში გაირკვევა...**

- დიახ, თურქეთთან ორთაბრძოლა პრაქტიკულად ფლეი-ოფის ტოლფასია. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდევე ვიცოდით, რომ თურქეთი ყველაზე რთული მოწინაალმდეგე იქნებოდა. კონკურენტებს რამდენიმე ქულით ვუსწრებთ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. ესპანეთის ნაკრები ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მომდევნო ორ შეხვედრაში ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდოს. ამით ყველა კითხვას გავცემთ პასუხს და 2010 წლის მუნდიალის საგზურს გავინაღდებთ. ამ მიზანს რაც უფრო მალე მივაღწევთ, ყველასთვის უკეთესი იქნება.

**- თურქეთის ნაკრებიდან ყველაზე დიდ საფრთხეს რაში ხედავთ?**

- ჩვენ თურქების სუსტი და ძლიერი მხარეები საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, თუმცა პირველ რიგში ჩვენი სტილის დახვეწაზე უნდა ვიმუშაოთ. იმ სტილისა, რომელმაც ძალიან ბევრი წარმატება მოგვიტანა. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც გვაქვს და მათ აღმოფხვრას დიდი ენერგია უნდა მოვახმაროთ.

**- რომელ ხარვეზებზე მელაპარაკებით, როცა ესპანეთის ნაკრებს 2006 წლის შემდეგ არ წაუგია?**

- ჩემი აზრით, ფეხბურთში მოღვაწე ხალხის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის არის, რომ შეცდომას არ აღიარებენ ხოლმე. არადა, შეცდომას ყველა გუნდი უშვებს. დიახ, ესპანეთის ნაკრები ძალიან კარგად გამოიყურება, მაგრამ უკეთ თამაშიც შეგვიძლია.

**- სელექციონის თავკაცის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნიდან რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, მისი მოსვლით რა შეიძინეთ?**

- ესპანეთი ახლა ალბათ, უფრო მრავალფეროვანი გუნდია. ყველა მწვრთნელს მუშაობის საკუთარი სტილი აქვს. დელ ბოსკე განსხვავებულ ვარჯიშებს ატარებს, მაგრამ გლობალური თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. მთავარი ის არის, რომ სელექციონი ისევ იმ სტილით ხელმძღვანელობს, რომელიც ესპანეთს ყველა სხვა გუნდისგან განასხვავებს. მთავარი მწვრთნელის შეცვლა ნაკლებპრობლემური სწორედ ამიტომ აღმოჩნდა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენი ნაკრები სწორად, გამართულად და ლამაზად თამაშობს. სხვათა შორის, როცა ამას ვამბობ, მხოლოდ ევროპის ჩემპიონატს არ ვგულისხმობ. არაერთი უმძიმესი მატჩი მოვიგეთ. ჩვენი წაუგებელი სვლა უკვე დიდი ხანია გრძელდება. მოკლედ, სელექციონს მწვრთნელის შეცვლა თითქმის არ დასტყობია, არადა, სხვა გუნდებისთვის ეს ხშირად დიდი პრობლემაა ხოლმე.

**- თქვენ ბელგიელ ვესლი სონკთან და უეინ რუნისთან ერთად შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი ხართ. თქვენთვის ეს რამდენად მნიშვნელოვანია?**

- ეს არ არის ჩემი მთავარი მიზანი. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო, თუმცა ამას პირველ რიგში გუნდის ინტერესების დასაცავად გავაკეთებ და არა პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. აი, ეს არის ჩემი მიზანი. თუ პრესტიჟს ეძებ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა იასპარეზო. შესარჩევ ტურნირში წარმატება, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ საკვალიფიკაციო რაუნდი მაინც რუტინაა. ეს ხანგრძლივი ეტაპია, ეტაპი, რომელსაც ძალიან დიდი ბედნიერებისკენ მიჰყავხარ. ერთი სიტყვით, შესარჩევი ტურნირის ბომბარდირობა ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის. ჩემი და ჩემი მეგობრების გოლები სულ სხვა მიზანს ემსახურება, 2010 წლის მუნდიალის დასკვნითი ეტაპის საგზურის მოპოვებას.

**- აქვე ესპანეთის სამუნდიალო მიზნებზეც გვითხარით...**

- ალბათ, ძალიან უინტერესოდ ვსაუბრობ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაზე უნდა ვიფიქროთ. სამხრეთ აფრიკაში წასვლის უფლება ჯერ არ მოგვიპოვებია. უპირატესობის მიუხედავად, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. რეალისტი ვარ და ვაცნობიერებ, რომ ბილეთი ჯიბეში ჯერ არ მიდევს. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების არაჩვეულებრივი შანსი გვაქვს. ყველამ იცის, რომ ესპანეთი ნებისმიერ ტურნირში ფავორიტია. რა თქმა უნდა, მუნდიალზეც ასე იქნება. ღმერთმა ქნას, თავმდაბლობითა და შრომით ფინალამდე მივაღწიოთ. სელექციონი ევროპის ჩემპიონია და ახლა მისგან ძალიან ბევრს მოითხოვენ. იმაზე ბევრად მეტს, ვიდრე 2008 წლის ზაფხულამდე. ვალდებული ვართ, საზოგადოების იმედი გავამართლოთ. ამისთვის პირველ რიგში ესპანური სტილის ერთგულებაა საჭირო.

**- 2006 წლის მუნდიალის წარუმატებლობის ტყვეობიდან თავის დახსნა, ალბათ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია...**

- რა თქმა უნდა, გერმანიის მუნდიალმა ძალიან ცუდი მოგონებები შემოვინახა. ჩემი აზრით, ჯგუფურ ეტაპზე ყველაზე კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. მერვედფინალში საფრანგეთთან წავაგეთ, თუმცა ისინი ჩვენზე ძლიერები ნამდვილად არ ყოფილან. უბრალოდ, ფრანგებმა უფრო პრაგმატულად ითამაშეს და ამიტომ დავმარცხდით. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ძალიან დიდი მობილიზება და კონცენტრაციაა საჭირო. ფაქტობრივად, ყოველ სამ დღეში ერთი თამაშის გამართვა გიწევს. ამიტომ, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინო.

**- როგორც ჩანს, 2006 წლის მუნდიალზე დაშვებული შეცდომები კარგად გააანალიზეთ. რა გახდა ევროპის პირველობაზე გამარჯვების წინაპირობა?**

- ჩვენს ტრიუმფს მრავალი ფაქტი განაპირობებდა. გუნდური თამაში, უდიდესი ნება და გამარჯვებისადმი ლტოლვა, მწვრთნელის ფენომენური მუშაობა. ესპანეთმა გენიალურად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

**- ხშირად ამბობენ, რომ რაულს ნაკრების 7-ნომრიანი მაისურა წაართვით...**

- მე არავისთვის არაფერი წამირთმევია. ალბათ, მწვრთნელს ჩემი თამაში მოსწონს და ნაკრებში ამიტომ მიწვევს ხოლმე. სხვა რა გითხრათ? სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრ სპეკულაციას ვაწყდებით, სრული სერიოზულობით ვაცხადებ, ნაკრებთან დაკავშირებული დაძაბულობა არც მე მარგებს და არც რაულს. ყველას უმორჩილესად ვთხოვ, სპეკულაციებისაგან თავი შეიკავოს. ვიმეორებ, მე რაულისთვის არაფერი წამირთმევია. თანახმა ვარ, ჯანსაღ პაექრობაზე წერონ და ისაუბრონ. მზად ვარ რაულს გოლების გატანაში შევეჯიბრო. სელექციონის მაისურით 25 ბურთი მაქვს შეგდებული, რაულს კი 44. როგორც ხედავთ, მასთან გასათანაბრებლად ბევრი შრომა მმართებს (იცინის). ამას ნახევრად ხუმრობით ვამბობ, რადგან რაულთან პირადი ქიშპი გამორიცხულია. თითოეული გოლი ისევ და ისევ ესპანეთის ნაკრების ინტერესების დასაცავად უნდა გავიტანო.

**- ასეა თუ ისე, რაულთან დაკავშირებული დებატი კიდევ დიდხანს არ დასრულდება. რა გამოსავალს ხედავთ?**

- მე ეს დებატი არასოდეს მომწონდა. ორივე ერთნაირად ვზარალდებით. როცა ნაკრებში ერთად ვთამაშობდით, ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა. მე მასთან გასაყოფი არაფერი მაქვს, ამიტომ, ძალიან მშვიდად ვგრძნობ თავს. მთავარია, ნაკრებში მოვხვდე, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ზურგზე რომელი ნომერი მეწერება. ხომ იცით, ამაზეც დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი. ვილიამ რაულს მაისურა წაართვაო. სისულელეა და სხვა არაფერი. თუ ნაკრებში გამომიძახებენ, მაგრამ 7-ნომრიანი მაისურა არ შემხვდება, საერთოდ არ ვინერვიულებ.

ესპანეთის ნაკრები

# დააჩქარეთ გამოძიება!

## გუისას საქმე. დელ ბოსკე სიმშვიდეს ითხოვს

ესპანელმა ჟურნალისტებმა რამდენიმე კვირის წინ აგორებული სკანდალი გაიხსენეს და ამით უწყინარი **ვისენტე დელ ბოსკე** საკმაოდ გაანაწყენეს. სანამ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის განცხადებას გაგაცნობთ, თავად სკანდალის შინაარსს შეგახსენებთ. აჟიოტაჟი **დანი გუისასა** და მისი მეუღლის მიერ ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება. მოგეხსენებათ, სელექციონმა წინა შეხვედრა სევილიაში ინგლისის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ გამართა. გუისას მეუღლემ ტელეეთერში ამ შეკრებისას მომხდარი ფაქტი გაახმაურა. ფეხბურთელის ცოლმა დაუფარავად განაცხადა, შეკრებისას ჩემი ქმრის ნომერში ვცხოვრობდი, თანაც ისე, რომ ამის შესახებ არავინ იცოდაო. მან ისიც დასძინა, ყოველ ღამე ვნებიანი სექსი გვქონდა და თავს ალკოჰოლური სასმელების ჭარბი რაოდენობით ვირთობდითო.

ბუნებრივია, წინასამატჩო შეკრებაზე ასეთი ამჩატება გულშემატკივრებმა ძალიან ცუდად მიიღეს. მათ ჟურნალისტებიც არ ჩამორჩნენ და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დუღილის ტემპერატურა მიეღოთ. ასეც მოხდა, მაშინ გუისას კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს. მთავარ მწვრთნელს კი მისი ნაკრებიდან მოკვეთა მოსთხოვეს. სენიორ დელ ბოსკემ მაშინ ფეხბურთის სამეფო ფედერაციის მაღალჩინოსნებს მიმართა და გამოძიების ჩატარება სთხოვა. მას შემდეგ ეს სკანდალი მინელდა და გუშინდლამდე, ალბათ, აღარავის ახსოვდა. „დიარიო ასის" კორესპონდენტმა თურქეთთან მატჩამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე სელექციონის თავკაცს გუისა შეახსენა და ჰკითხა, თქვენ მიერ მოთხოვნილი გამოძიების დაჩქარებას რატომ არ ითხოვთო. დელ ბოსკე ჟურნალისტის ამ კითხვამ ძალიან გააღიზიანა და გააშმაგა:

*„რა გინდათ, რატომ ცდილობთ, რომ სანაკრებო შეხვედრის წინ სიტუაცია დაძაბოთ? მე გარკვევით ვთქვი, დანი გუისას საქმეზე ფედერაცია გამოძიებას ჩაატარებს და ყველაფერს გაარკვევს. გამოძიებას კი დრო სჭირდება. ნუ გგონიათ, რომ იოლი საქმეა. ფედერაცია ძალოვანი სტრუქტურა არ არის, მოწმეები ან ეჭვმიტანილები კანონის ძალით დაიბაროს დაკითხვაზე. ყველაფერს თავისი წესი აქვს. გარწმუნებთ, სიმართლე გაირკვევა და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებ".*

ერთი შეხედვით გამოძიების ჩატარება საჭირო სულაც არ არის, რადგან გუისას ცოლმა, ფაქტობრივად, აღიარებითი ჩვენება მისცა, თუმცა დელ ბოსკეს ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო შეხედულება აქვს: *„გუისას მეუღლემ ის განცხადება, ეგრეთ წოდებულ, ბულვარულ გადაცემაში გააკეთა. შესაძლოა, მისი სიტყვები დადგმული შოუს ნაწილი იყო. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ამ ერთი ადამიანის განცხადებით ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებთ. სასტუმროს თანამშრომლებს უნდა გავესაუბროთ და სრული სურათი დავხატოთ. სანამ ეს სამუშაო შესრულდება, ყველას ვთხოვ, სკანდალის აგორებისგან თავი შეიკავოს. წინ უმნიშვნელოვანესი დაპირისპირებები გველის და არ მინდა, რომ წნეხში მოვექცეთ.*



გუშინ „ატლეტიკოს" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ხავიერ აგირემ** დიდი ხნის დუმილი დაარღვია და მადრიდული კლუბიდან წამოსვლის შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართა. მექსიკელმა სპეციალისტმა ძირითადად მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე ისაუბრა:

*„გული მწყდება, რომ გადამჭრელი ნაბიჯები არ გადავდგი. ახლა ვხვდები, რომ მოვლენები დინებაზე მქონდა მიშვებული. გუნდში რაღაცები ხდებოდა, მაგრამ მე სწრაფ რეაგირებას არ ვახდენდი, თუმცა არავინ იფიქროს, რომ მუშაობა მეზარებოდა. პირიქით, ალბათ, პრიმერა დივიზიონში ყველაზე მეტს მე ვმუშაობდი. სამწუხაროდ, „ატლეტიკოს" არაფერი გამოსდიოდა, დიახ, აბსოლუტურად არაფერი და სრულიად ბუნებრივია, რომ სამსახურიდან გამათავისუფლეს. ჩვენ, მწვრთნელები შედეგის შვილები ვართ. თუ შედეგი არ იქნება, ვერ ვიარსებებთ. რა თქმა უნდა, გული დამწყდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კლუბის ხელმძღვანელობას ვერაფერს ვუსაყვედურებ".*

დარღვეული დუმილი

# აგირემ ცოდვა აღიარა

აგირეს ტყუილად არ უთქვამს, რომ ხელმძღვანელობას ის ამ შემთხვევაში არ საყვედურობს, თორემ, რამდენიმეწლიანი თანამშრომლობა ისე არ ჩაივლიდა, მწვრთნელს შეფების მიმართ ერთი პრეტენზია მაინც არ გასჩენოდა. აგირემ პრესკონფერენციაზე ყველაზე მტკივნეული ისტორია გაიხსენა:

*„როხიბლანკოს" მმართველებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ერთ ფაქტს ვერაფრით დავივიწყებ: ერთ მშვენიერ დილას სახლიდან გავედი და გაზეთი შევიძინე. თითქმის ყველას პირველ გვერდზე ეწერა, რომ „ატლეტიკომ" ფერნანდო ტორესის გაყიდვასთან დაკავშირებით „ლივერპულთან" საბოლოო შეთანხმებას მიაღწია. არ დაგიმალავთ, გაოგნებული დავრჩი. ბუნებრივია, ხელმძღვანელობას ვკითხე, კი მაგრამ მე რატომ არაფერი მითხარით-მეთქი. მათ ბოდიში მომიხადეს და მითხრეს, ტორესი აუცილებლად უნდა გაგვეყიდა, ინგლისელებმა ფანტასტიკური წინადადება შემოგვთავაზესო. იქვე ვიკითხე, არ შეიძლებოდა, საქმის კურსში ჩაგეყენებინეთ და ეს ამბავი დილით კიოსკთან არ გამეგო-მეთქი? ველარაფერი მიპასუხეს. არ დაგიმალავთ, ძალიან მეწყინა და ეს არც დამიმალავს. მიუხედავად გარკვეული გარემოებისა, „ატლეტიკოსთან" არაჩვეულებრივი მოგონებები მაკავშირებს. ღმერთს მადლობას მოვახსენებ, რომ ამ გუნდში მუშაობის საშუალება მომცა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ჭიდაობა

# ბერიაშვილი და მემკვიდრეები

საქართველოს სახელოვან ფალავანთა კოჰორტას ამშვენებს **ზარბეგ ბერიაშვილის** სახელი, რომელმაც თავისუფალ ჭიდაობაში 1969 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, სამჯერ მეორე ადგილი დაიკავა, ევროპის ჩემპიონატებზე სამჯერ, ხოლო საკავშირო პირველობებზე ხუთჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ხალხთა მე-3 სპარტაკიადის გამარჯვებული და მე-4 სპარტაკიადის მეორე პრიზიორია. ორი ოლიმპიადის მონაწილისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის ღვაწლს არ ივიწყებენ - უკვე რამდენიმე წელიწადია, მისი სახელობის ტურნირები იმართება ჭაბუკთა შორის. წლეულს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 270-ზე მეტმა მოზარდმა მოიყარა თავი გლდანის ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის ხალიჩაზე. მათ შორის სომხეთის წარმომადგენლებიც იყვნენ. დიდი ინტერესი იმან გამოიწვია, რომ აპრილში საქართველოს პირველობა გაიმართება და საევროპედ ნაკრების კანდიდატებიც შეირჩევა. იმ საკვალიფიკაციო ტურნირამდე მოზარდებს მკლავისა და მუხლის ძალის შემოწმება სურდათ, მათ შორის, ცხადია, სომხებსაც, რომელთა მთავარმა მწვრთნელმა, **ედუარდ ტუნიანმა** ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გვითხრა:

- თბილისში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოვდივართ ტურნირებზე, რადგან ძლიერი მოჭიდავეები გყავთ და ჩვენი ბიჭები მათგან ბევრ რამეს სწავლობენ; აქვე ვარჩევთ გუნდის იმ წევრებს, რომლებსაც ევროპის პირველობამდე სხვა ტურნირებზეც გამოვცდით. ვისარგებლებ შემთხვევით და გულთბილი მასპინძლობისთვის დიდ მადლობას გადავუხდი შეჯიბრების ორგანიზატორებს. ჭიდაობის ქართულ სკოლასთან ჩვენი მეგობრობა მომავალშიც გაგრძელდება.

**თამაზ ბენდიანიშვილი**, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი: - შარშან ევროპის პირველობაზე გუნდურში ყველას ვაჯობეთ, ამიტომ პოზიციების შესანარჩუნებლად აქედანვე ვემზადებით. მით უმეტეს, რომ უწინდელი გუნდიდან მხოლოდ ორი მოჭიდავე შემოგვრჩა - **ზურაბ იაკობაშვილი** და **ლევან ქელეხსაშვილი**, დანარჩენებს ასაკი მოემატათ და ნაკრებში ადგილები ვაკანტურია. მათ შესავსებად ზარბეგ ბერიაშვილის ტურნირი სწორედ ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს. თუმცა კანდიდატები უმთავრესად აპრილში საქართველოს პირველობაზე შეირჩევა. მერე გავმართავთ საწვრთნელ შეკრებებს, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ირანის საერთაშორისო ტურნირებზე ვიჭიდავებთ და ნაკრებსაც დავაკომპლექტებთ. იმედია, ქომაგებს არ გავაწბილებთ...

აქვე ზარბეგ ბერიაშვილის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ:

**42 კგ**

1. აშაკ ოვანესიანი - სომხეთი
2. ხვთისო იორამაშვილი - გორი
3. ვახტანგ მთიულიშვილი - ხაშური
3. ბექა ბუჯიაშვილი - გორი

**46 კგ**

1. ლევან ცალქალამანიძე - თბილისი
2. ბექა სურმანიძე - თბილისი
3. გოჩა ფარტენაძე - ქედა
3. შოთა ფარტენაძე - ქედა

**50 კგ**

1. გორ გრიგორიანი - სომხეთი
2. რაულ შაკულოღლი - ქარელი
3. ლაშა ტალახაძე - ხაშური
3. ზურაბ დავითაძე - ბათუმი

**54 კგ**

1. დავით ბუზიაშვილი - ხაშური
2. ომარ გურჯიძე - ქუთაისი
3. ოთარ გოგავა - ხონი
3. თორნიკე ხურციძე - ქუთაისი

**58 კგ**

1. ლევან ქელეხსაშვილი - ხაშური
2. ნორინ სიდონიანი - სომხეთი
3. გრიგორი გრიგორიანი - სომხეთი
3. გიორგი გოცირიძე - ამბროლაური

**63 კგ**

1. ზურაბ ერგონონაშვილი - საგარეჯო
2. ბექა გოგრიჭიანი - თბილისი
3. რობერტ დოჩიაშვილი - გორი
3. დავით აპოიანი - სომხეთი

**69 კგ**

1. კონსტანტინე ხაბალაშვილი - გორი
2. ბექა პეტრიაშვილი - საგარეჯო
3. ჯაბა ყველაშვილი - გორი
4. ნოდარ სუთიაშვილი - თბილისი

**76 კგ**

1. სანდრო ამინაშვილი - თბილისი
2. გიორგი თავზინაძე - ხონი
3. ნიკა ქესაშვილი - გორი
3. ნიკა ჩომახიძე - გორი

**85 კგ**

1. გიორგი მეშვილდიშვილი - ონი
2. ლევან გოგრიჭიანი - თბილისი
3. ბექა როჭიკაშვილი - საგარეჯო
3. თორნიკე კობახიძე - ონი

**100 კგ**

1. გენადი პეტრიაშვილი - გორი
2. არჩილ დავითაძე - ბათუმი
3. ლევან გოგრიჭიანი - თბილისი
3. ომარ გუსოშვილი - გორი

ვაჟა დანელია

პრეზენტაცია



# თასი სახელის უკვდავსაყოფად

**ზუკა სახელაშვილი** წლების განმავლობაში წყალბურთს თამაშობდა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო. 1999 წელს ტუაფსეში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მან შეჯიბრების საუკეთესო მეკარის პრიზიც კი დაიმსახურა.

ზუკა დღეს ჩვენ შორის აღარ არის, მაგრამ ახლობლები და მეგობრები მის სახელს არ ივიწყებენ. ორი წლის წინათ საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეში" სახელაშვილის სახელობის ტურნირი გაიმართა მინიწყალბურთში. საასპარეზოდ ექვსმა გუნდა მოიყარა თავი; შარშან მათი რაოდენობა ათამდე გაიზარდა. წლეულს კი ქართველებთან ერთად უცხოელებიც აპირებენ მონაწილეობას. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა თასი, რომელიც საგანგებოდ ამ შეჯიბრებისთვის დამზადდა. მისი ავტორია სახელოვანი ქართველი მოქანდაკე **ლევან ვარდოსანიძე**, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებული კონკურსების ორგზის გამარჯვებული. ბატონი ლევანის ნამუშევრები — „ბეისბოლისტი" და „ჩემპიონი" შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში სოკ-ის მუზეუმშია დაცული. ამჟამად დამზადებული თასი — წყალბურთელთა მეკარე — შესრულებულია ბრინჯაოში და მოვერცხლილია. გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" სწორედ ზუკა სახელაშვილის თასის წარდგენა გაიმართა. შეჯიბრების ორგანიზატორმა, ზუკას დამ — **თათა სახელაშვილმა** გვითხრა, რომ თასი წლეულს „ლაგუნა ვერეში" 30-31 მაისს გათამაშდება და ქართველებთან ერთად გერმანიის, აზერბაიჯანისა და უკრაინის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ. ტურნირს უმთავრესად ზუკას მეგობრები დააფინანსებენ.

**ალექსანდრე ბითაძე**, სეოკ-ის გენერალური მდივანი, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: — ზუკა სახელაშვილის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა მართლაც შესანიშნავ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. შარშან მეც ვმონაწილეობდი ტურნირში, როგორც ერთ-ერთი გუნდის წევრი.

ქართულ წყალბურთს ამჟამად არნახული მორალური და ფინანსური მხარდაჭერა აქვს როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, ისე სპორტის მესვეურებისგან. ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ წყალბურთის გასავითარებლად და საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად. საამისოდ ნებისმიერი ტურნირი გამოგვადგება, მათ შორის — შესანიშნავი პიროვნებისა და სპორტსმენის ზუკა სახელაშვილის თასის გათამაშება მინიწყალბურთში. გადაწყვეტილი გვაქვს, 2010 წლიდან საერთაშორისო შეჯიბრებების გამართვის ტრადიცია დიდ წყალბურთშიც აღვადგინოთ.

**დავით ნამგალაური**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე: — სახელმწიფომ წყალბურთი პრიორიტეტად მიიჩნია. ამ სახეობის ასაღორძინებლად ბევრი რამ კეთდება, კერძოდ, წლეულს რამდენიმე აუზს აღვადგენთ, მათს ინფრასტრუქტურასაც გავაუმჯობესებთ. ნაკრები გუნდი მნიშვნელოვან შეჯიბრებებში იასპარეზებს. ქვეყნის შიგნითაც მოვაწყობთ ტურნირებს. დიდი ღონისძიების შემადგენელი ნაწილი გახდება ზუკა სახელაშვილის თასის გათამაშება, რომელიც წლეულს მესამედ გაიმართება. ტურნირისთვის შესანიშნავი პრიზი დაუმზადებიათ. ასპარეზობის ორგანიზატორებს პროექტის განხორციელებაში სპორტის დეპარტამენტიც დაეხმარება.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ავტოსპორტი

ეროვნული ჩემპიონატი

# პროფესიონალებმა მოყვარულები განზე გასწიეს

8 მარტს, ეროვნული ავტოდრომი "რუსთავი" წყვილთა რბოლას მასპინძლობდა, რომელიც რიგით მეორე შეჯიბრება იყო "რომპეტროლის სეზონი 2009"-ის ეგიდით. სტარტზე ამჯერად პროფესიონალები დადგნენ. ავტოსპორტის გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ ამ სახეობაში ერთმანეთს მხოლოდ მოყვარული ავტომობილისტები ეჯიბრებოდნენ. მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებით, წყვილთა რბოლა ჩემპიონატის კალენდარში შევიდა. ქალთა დღესთან დაკავშირებით ავტოდრომის ტერიტორიაზე სტუმრობა იმ დღეს ქალბატონებისთვის უფასო იყო. რბოლა - დაძაბული და თანაბარორივად ლამაზი გამოდგა.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

კლასი 1600: 1. **მევლუდ მელაძე**, 2. **ოვანეს კოგოსოვი**, 3. **გიგა ლორთქიფანიძე**.

აბსოლუტკლასი: 1. **არჩილ ბიძინაშვილი**, 2. **გოგა არჯევანიძე – ქეთი ბოჭოიძის ეკიპაჟი**, 3. **ოთარ თავართქილაძე**.

29 მარტს წრიული რბოლის საზეიმო გახსნაა. მონაწილეთა უპრეცედენტო რაოდენობა დადგება სტარტზე.




ჩოგბურთი

# კალაშნიკოვამ გიზა ორჯერ მოინადირა

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (387) ორ დღეში ორი ტიტული მოიგო - ჩვენებურმა ქალაქ გიზაში საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი $) ჯერ წყვილთა თანრიგში იმარჯვა, შემდეგ - ერთეულებში. საჩოგბურთო სეზონში პირველად ქართველმა ტიტული მოიგო, თავად კალაშნიკოვამ კი ნადავლის კოლექცია ცხრამდე შეავსო, აქედან მხოლოდ ორია ერთეულთა თანრიგში მოპოვებული, რაც ჩოგბურთში გაცილებით ფასეულია. მე-6 ნომრად განთესილი კალაშნიკოვა ტურნირის ფინალში პირველ ნომრად განთესილ ესპანელს, **ევა ფერნანდეს-ბურხესს** (276) ხვდებოდა. ოქსანამ მხოლოდ ერთი სეტი დაუთმო ფავორიტს - 6:4, 4:6, 6:3.

როგორც შარშან, ეგვიპტეში მიჯრით სამი 10-ათასიანი ტურნირი იმართება. ოქსანამ შარშანაც იასპარეზა ნილოსის ნაპირებზე. ასე რომ, რამდენს მოიმატებს ჩვენებური რეიტინგში, დამოკიდებულია, გააუმჯობესებს თუ არა შარშანდელ შედეგს - გასულ წელს მან პირველ ტურნირში მეოთხედფინალში წააგო, ორ დანარჩენში კი - ნახევარფინალში. როგორც ხედავთ, სტარტი საუკეთესოა.

ოქსანა კალაშნიკოვა გიზის მეორე ტურნირში ჩაება, სადაც უფრო ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ამიტომაც ჩვენებური განთესილთა შორის აღარაა. მისი მეტოქე 20 წლის ჰოლანდიელი **ბიბიან სხუფსია** (416), რომელიც ოქსანამ რამდენიმე დღის წინათ წყვილებში დაამარცხა. გასული კვირის ტრიუმფატორი დუეტი (კალაშნიკოვა, **ფატიმა ელ ალამი**) ამჯერად მეორე ნომრადაა განთესილი წყვილთა ბადეში.

კანარის კუნძულებზე, ქალაქ ლას პალმასში საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში ორი ქართველია: **სოფიო ქვაცაბაია** (661) და **ეკა გორგოძე** (601). ქვაცაბაია პირველ წრეში ფრანგ **ნატალი პიკეონს** (513) ეთამაშება. გორგოძის მეტოქე საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული, შვეიცარიელი **სარა მუნდირია** (987). წყვილთა თანრიგში ჩვენებურები ერთად ითამაშებენ. მათი პირველი მოწინაალმდეგეები „უაილდ ქარდით" მიწვეული ესპანელები (**არაბელა ფერნანდეს-რაბინერი, ივონ კავალიე-რეიმერსი**) არიან.

ნიკოლოზ ნეფარიძე


ოქსანა კალაშნიკოვა

წყალბურთი

# კიევში ძალის გამოსაცდელად

მომავალ უქმეებზე კიევში წყალბურთელთა უკრაინის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები გაიმართება. საქართველოს ნაკრები, რომელსაც 7 შეხვედრიდან 4 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება აქვს, სევასტოპოლისა და ოდესის გუნდებს დაუპირისპირდება. მთავარი მწვრთნელის — **ვლადიმერ ისელიძის** ხელმძღვანელობით ჩვენები ხვალ უკრაინის დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრებიან: **ზურაბ ჭუმბურიძე, სანდრო ნამორაძე, ზურაბ რურუა, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ლევან ყაველაშვილი, ლუკა ტუკვაძე, სანდრო რუსიშვილი, სანდრო ქავთარაძე, გურამ კოტარია, გალაქტიონ ლაითაძე, ილია ბუტიკაშვილი, პავლე ჯაფარიძე**, მწვრთნელი — **ჯუმბერ წიკლაური.**

ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და უკრაინაში გასამართავ ორთაბრძოლებს ტექნიკა-ტაქტიკის დასახვეწად გამოიყენებენ.

ვაჟა დანელია

მძლეოსნობა

# დისკვალიფიკაცია

იტალიის ქალაქ ტურინში 30-ედ გაიმართა დახურული დარბაზებისთვის მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატი. თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის ათლეტებს შორის მხოლოდ ერთი ქართველი იყო - მორბენალი **დავით ილარიანი.** ვერაფრით გაგახარებთ - ჩვენმა ოლიმპიელმა 60 მეტრზე თარჯრბენის საკვალიფიკაციო რაუნდში მსაჯებისგან დისკვალიფიკაცია მიიღო. ილარიანი რიგით მეორე ჰიტში მონაწილეობდა 6 მძლეოსანთან ერთად. ევროპის ჩემპიონი ფრანგი **ლადი დუკური** გახდა 7,55 წამი შედეგით. ილარიანი მონაწილეთაგან ერთადერთია, ვისი შედეგიც გაუქმდა. დახურულ დარბაზებში 60 მეტრზე თარჯრბენში ჩვენებურის კარიერის საუკეთესო შედეგი 7,77 წამია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ გიორგი მარკოიშვილთან

# ვიდრე მოედანზე ვარ, ხმაურით უნდა ვითამაშო



კვირას თბილისის სპორტის სასახლეში პირზე ყველას ერთი გვარი და ციფრი ეკერა – მარკოიშვილი და 71. გიორგი მარკოიშვილმა "მაკაბისთან" მატჩში 71 ქულა ჩააგდო. თუ ეს უკვე იცოდით, ისიც გეცოდინებათ, რომ მან მეოთხე ათწუთეულში 40 ქულა მიითვალა...

რადგან რიცხვებზე ვლაპარაკობთ, აქვე მარკოიშვილის საშუალო მონაგარს გავეცნოთ და ინტერვიუზე გადავიდეთ. იგი მოედანზე საშუალოდ 28.1 წუთს ატარებს, 20.2 ქულას, 5.4 მოხსნას, 2.4 პასსა და 1.1 ჩაჭრას აგროვებს.

ახლა რეკორდსმენს მოვუსმინოთ, რომელიც "მაკაბისთან" მატჩზეც საუბრობს და გვახსენებს, რომ იანვარში კარიერის გაგრძელება-არგაგრძელებაზე დაფიქრდა.

**- "მაკაბისთან" მატჩის ბოლო პერიოდში მთელი გუნდი შენზე თამაშობდა. მეგონა, დავით ჩიქოვანის რეკორდის მოხსნას შეძლებდი...**

- ახლა უკვე ვიცი, რომ ჩიქოვანს 74 ქულა აქვს ჩაგდებული. თამაშისას კი ზოგმა თქვა, საქართველოს ჩემპიონატების რეკორდი 62 ქულააო... მოკლედ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ 75 ქულის მოგროვების შემთხვევაში აბსოლუტური რეკორდსმენი გავხდებოდი, თორემ როგორლაც იმ 3-4 ქულასაც ჩავაგდებდი.

**- როგორც ჩანს, ფორმაში ხარ. რეკორდს შემდგომ მატჩებში შეუტიე.**

- კარიერას ისე არ დავასრულებ, რომ ეს რეკორდი არ მოვხსნა. მომდევნო მატჩში "ნტდ-თბილისს" დავუპირისპირდებით და თუ 74 ქულას ჩავაგდებ, გარწმუნებ, აუცილებლად მოვიგებთ. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, არათუ რეკორდის დამყარება, ნტდ-ს ძლევაც ურთულესი იქნება.

**- ბოლო პერიოდში ჩაგდებულ 40 ქულაზე რას იტყვი?**

- სამი მეოთხედის შემდეგ 31 ქულა მქონდა. მწვრთნელმა მითხრა, შეგიძლია დავით იმნაძის რეკორდი მოხსნაო. ვიცოდი, რომ იმნაძეს 34 ქულა ჰქონდა ჩაგდებული. ჰოდა, მეც სასროლად შევიმართე. შედეგიანი შეტევები ერთმანეთს მიეწყო, სროლაც წამივიდა და... მართალია, რეკორდი ჩემს ანგარიშზე ჩაიწერა, მაგრამ ეს ჩემი თანაგუნდელების დამსახურებაცაა, რომლებმაც ყოველმხრივ ხელი შემიწყვეს. ...და პირიქით, გუნდელებს რეკორდების დამყარებაში მეც დავეხმარე – შიო ხეცურიანმა 18 პასი მიითვალა.

**- მატჩის მიმოხილვისას დავწერე: უფულო თსუ-მ 151 ქულა ჩააგდო, წარმოიდგინეთ, რას იზამდა, კალათბურთელებს ხელფასები რომ ჰქონდეთ-თქო...**

- იანვარში კრიტიკულ ზღვარზე ვიყავით – ჩვენი გუნდისადმი ინტერესი არავინ გამოიჩინა, გაირკვა, რომ რაც ამ სეზონში ვითამაშეთ, იმის საფასურს არავინ მოგვცემდა და არც სეზონის ბოლომდე გვექნებოდა ხელფასი. ასეთ სიტუაციაში ჩავარდნილი გუნდი ოთხმა ლიდერმა დატოვა და საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობა ვერ მივიღეთ. იყო თსუ-ს დაშლის დიდი ალბათობა, მაგრამ ბიჭებმა გადავწყვიტეთ, მშრალ ენთუზიაზმზე გვეთამაშა. ამის მიზეზი მარტივი იყო - კალათბურთის სიყვარული.

**- იანვარში კარიერის დასრულებაზე ხომ არ დაფიქრდი?**

- რა თქმა უნდა. თუ გუნდი დაიშლებოდა, კარიერის დასრულებაზე მეც დავფიქრდებოდი, რადგან არც ერთი კლუბიდან სერიოზული წინადადება არ მიმიღია. თუმცა, ისევ და ისევ სპორტის ამ სახეობის სიყვარულის გამო, თსუ-ში თამაში კალათბურთელთა უმეტესობამ უხელფასოდ გადაწყვიტა და, ვფიქრობ, ერთთვიანი უვარჯიშებლობის კვალობაზე ურიგოდ არ გამოვიყურებით. მეორე წრეში "ავიამშენიც" დავამარცხეთ. მოკლედ, თსუ რაც უნდა დასუსტდეს, მაინც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება, ფარ-ხმალს არ ჰყრის. მოედანზე თავდახრილები არასოდეს გამოვდივართ. ეს პირველ რიგში მწვრთნელების დამსახურებაა.

**- მიმდინარე სეზონში საკუთარი თამაშით კმაყოფილი უნდა იყო.**

- ჯერ შარშანდელ სეზონზე ვიტყვი. გასულ წელს ტრავმა მივიღე და თითქმის სამი თვე გამიცდა. მომჯობინების შემდეგ ფორმაში შესვლა გამიჭირდა. წლეულს, ღმერთის წყალობით, თავს კარგად ვგრძნობ, წვრილ-წვრილ ტრავმებს თუ არ ჩავთვლით, რაც სპორტის თანამდევია. ახლა ნორმალურ ფორმაში ვარ, ბურთის გარეშე ვერ ვძლებ და ვიდრე მოედანზე ვარ, მინდა "ხმამაღლა" ვითამაშო.

**- პლეი ოფში, ალბათ, საოცრებებს არავინ გთხოვთ...**

- უბადურება ისაა, რომ მომთხოვნი არავინ გვყავს. ვთამაშობთ ჩვენი სიამოვნებისთვის და მხოლოდ საკუთარ თავს ვთხოვთ. არავისზე ნაკლები გემოვნება არ გვაქვს და ყოველ შეხვედრაში მაქსიმუმისთვის ვიბრძვით. ძალებს არ დავიშურებთ, რომ პლეი ოფში რაც შეიძლება, წინ წავიდეთ. ცოტა კიდევ თუ დავლაგდით, გაცილებით საინტერესო გუნდი გვეყოლება. საბოლოოდ სადამდე ავალთ, მომავალი გვიჩვენებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ქართველი NBA-ში

# ზაზა გადამწყვეტ მომენტში

როგორც იქნა, მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა ზაზა ფაჩულია** მეოთხე პერიოდში შეუცვლელად ათამაშა. ეს დასავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ "ნიუ ორლეანთან" მატჩში მოხდა. ...და, რაც მთავარია, გამარჯვებულის ბედი სწორედ ბოლო რაუნდში გაირკვა, მატჩის ბედის "ატლანტას" სასარგებლოდ გადაწყვეტაში კი თავისი წვლილი ქართველმა ცენტრმაც შეიტანა.

მატჩის მოკლე მიმოხილვას გაეცანით და დარწმუნდებით, რომ ზაზა მართლაც საკვანძო ფიგურა იყო.

მესამე პერიოდის ბოლოს, როცა ზაზა ფაჩულია მოედანზე დაბრუნდა "ატლანტა" 5 ქულის სხვაობით იგებდა. ჯორჯიელები ბოლო რაუნდს 7-ქულიანი ფორით შეხვდნენ – 67:60.

მეოთხე პერიოდის დასაწყისში თანაბარი თამაში გაჩაღდა. მასპინძლებმა მეოთხედის საწყისი 8 წუთი 13:11 მოიგეს და სირენამდე 4 წუთით ადრე 9 ქულით დაწინაურდნენ. 13-დან 6 ქულა ზაზას უშუალო მონაწილეობით ჩავარდა – ქართველმა 4 ქულა და 1 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. დარჩენილ 4 წუთში "ატლანტამ" დაცვითი ზღუდე კიდევ უფრო აამაღლა და საბოლოოდ გამარჯვებასაც მიაღწია – 89:79.

საყურადღებოა, რომ ფაჩულიამ 7-დან 5 მოხსნა ბოლო პერიოდში მიითვალა. მის ქულათა მონაგარზე უკვე გესაუბრეთ...

ზემოთ ვთქვით, ზაზამ "ატლანტას" მოგებაში თავისი წვლილი შეიტანაო. გამარჯვების მთავარი შემოქმედი "ჰოქსის" კაპიტანი **ჯო ჯონსონი** იყო – 30 ქულა მიითვალა.

ამჟამად "ატლანტას" 64 მატჩიდან 36 აქვს მოგებული და აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 ადგილზეა. მას მხოლოდ 2 მოგებით ჩამორჩება "მაიამი".

ზაზას თანაგუნდელები მომდევნო შეხვედრას 11 მარტს ჩაატარებენ - "იუტა ჯაზს" უმასპინძლებენ.

**ატლანტა-ნიუ ორლეანი 79:89**

ზაზა ფაჩულია: 20 წუთი, 7 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 07:31 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 05:33 | ფოლი: 1 |
| 04:23 | ჩაჭრა: 1 (ჩენდლერს ჩაუჭრა) |
| 04:17 | საჯარიმოები: 2\2 (12:18) |
| 03:30 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 03:30 | საჯარიმოები: 2\1 (3ქ, 13:20) |
| 00:33 | პასი: 1 (ჯონსონი 2ქ, 20:26) |
| 00:25 | ფოლი: 2 |
| 00:25 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 01:25 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **IV პერიოდი** | |
| 09:48 | ორქულიანი: 5ქ (70:64) |
| 06:32 | ორქულიანი: 7ქ (76:71) |
| 05:51 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 05:27 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 04:03 | პასი: 2 (სმიტი 2ქ, 80:71) |
| 02:46 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 02:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:30 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 00:06 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი

ლეგიონერები

# ქართველების სამი ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშების მეორე ჯგუფურ ეტაპზე მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა 5 გუნდიდან საუკეთესო მაჩვენებელი ორს: „ექსს" და „ორლეანს" აქვს.

B ჯგუფში მოასპარეზე **ილია ზედგინიძის** „ექსმა" გასვლითი შეხვედრა გამართა „ლიმოჟთან" და მატჩი ფრედ - 9:9 დაასრულა. ზედგინიძე განაცხადში არ იყო. „ორლეანმა" და „ლიმოჟმა" ექვს-ექვსი ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ.

ამავე ჯგუფში **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორმა" შინ მიიღო „ბედარიდე" და 24:13 დაამარცხა. მალალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე მელიქიძემ შეცვალა.

**B ჯგუფი. ლიმოჟი-ექსი 9:9, კაორი-ბედარიდე 24:13.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლიმოჟი - 6 ქულა, 2. ექსი - 6, 3. კაორი - 4, 4. ბედარიდე - 0**

E ჯგუფში „პერიგოს" პირველი გამარჯვება **თედო ზიბზიბაძის** ლელომ მოუტანა „დიჟონთან" საშინაო შეხვედრაში - 21:18. თედომ ლელო 48-ე წუთზე მიითვალა, როცა ანგარიში 16:15 იყო მისი გუნდის სასარგებლოდ. ზიბზიბაძის მსგავსად თამაშში თავიდან ბოლომდე ითამაშა შერკინების ბურჯმა **ირაკლი ნინიძემ. იგორ ბარბაქაძე** და **ირაკლი გუნდიშვილი** განაცხადში არ იყვნენ.

**E ჯგუფი. პერიგო-დიჟონი 21:18, ვანი-ნალჟონი 33:17.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ვანი - 9 ქულა, 2. დიჟონი - 6, 3. პერიგო - 5, 4. ლანჟონი - 0.**

F ჯგუფში სტუმრად „ობენასთან" ურთულეს ბრძოლაში გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით - 18:17 **დავით დადუნაშვილის, მერაბ კვირიკაშვილის, რეზო გიგაურისა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასიმ". გიგაური თამაშში მე-11 წუთიდან ჩაერთო და 54-ე წუთზე ლელო გაიტანა. 54-ე წუთიდან გამოჩნდა მინდორზე დადუნაშვილი. სუთიაშვილი განაცხადში არ იყო. კვირიკაშვილმა დუბაიში საქართველოს შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა.

სტუმრად დამარცხდა „ლანამეზანთან" **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანი" - 9:13. აბუსერიძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

**F ჯგუფი. ლანამეზანი-ორლეანი 13:9, ობენა-მასი 17:18.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლანამეზანი - 8 ქულა, 2. ორლეანი - 6, 3. მასი - 4, 4. ობენა - 2.**

ფედერალ 1 დივიზიონში დარჩენისათვის მებრძოლთა შორის ყველაზე რთული მდგომარეობა „დომონს" აქვს.

A ჯგუფს სათავეში **დავით ბოლაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი" უდგას. ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ მოუგო „ვილერბანს" - 15:9. ნიკოლაენკო 48-ე წუთზე შეცვალეს. ბოლაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

**A ჯგუფი. ლილი-ვილერბანი 15:9, კარკუირანი-მონლუსონი 30:19.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლილი - 37 ქულა, 2. მონლუსონი - 32, 3. ვილერბანი - 22, 4. კარკუირანი - 22.**

E ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი დამარცხდა. **ზურაბ მჭედლიშვილის, გიორგი ნემსაძისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „დომონი" სტუმრად დამარცხდა „ლურდესთან" - 13:26. ნემსაძემ, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 44-ე წუთზე მეტოქეს ლელო გაუტანა. თავიდან ბოლომდე ითამაშა მჭედლიშვილმაც. მარგველაშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო.

მინიმალური ანგარიშით - 12:13 წააგო სტუმრად „ჟენევიესთან" **დიმიტრი ბასილაიას** „მორლაამ". ბასილაია განაცხადში არ იყო.

**E ჯგუფი. ლურდე-დომონი 26:13, ჟენევიე-მორლაა 13:12.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლურდე - 41 ქულა, 2. მორლაა - 31, 3. დომონი - 25, 4. ჟენევიე - 11.**

F ჯგუფის ლიდერი **დავით გასვიანის** „ლე ბუგეა". ჩვენებურის ეს გუნდი შინ „ნუარს" შეხვდა და 20:17 დაამარცხა. გასვიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს.

**F ჯგუფი. ლე ბუგე-ნუარი 20:17, ბორეპერი-ლონსი 26:12**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლე ბუგე - 36 ქულა, 2. ნუარი -30, 3. ლონსი - 24, 4. ბორეპერი - 24.**

ბესიკ ჯანგავაძე

ჭადრაკი

გრან პრი

# ქართული საჩუქარი სომხებს



მაია ჩიბურდანიძე

სტამბოლის სუპერტურნირზე მეოთხე ტურმა სიურპრიზებით ჩაიარა. სამწუხაროდ, ქართველებისთვის ეს დღე სასიამოვნოდ ვერაფრით დარჩება - **მაია ჩიბურდანიძემ** თეთრი ფერით წააგო, თანაც ისეთ მეტოქესთან, რომელთანაც, ვგონებ, კარიერაში არასდროს დამარცხებულა - სომეხი **ელინა დანიელიანი** მაღალი კლასის ოსტატად კი ითვლება, მაგრამ არა იმ დონის, რომ მაიას დაჯაბნა შეძლოს და ისიც - შავებით. მაშ, რაში იყო საქმეო, იკითხავს მკითხველი. მოგახსენებთ: ამჯერად მაიას ისეთი შეცდომა მოუვიდა, რის გამოც დღენიადაგ თავს აქნევენ დანანებით მოყვარული და დაბალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეები - ფიგურა „დასვა", ანუ მარტივი ტაქტიკური სვლა გამორჩა და ფიგურა წააგო. ასეთი უყურადღებობა რამ გამოიწვია, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ დანიელიანს რომ მაიასგან ბრწყინვალე საჩუქარი ერგო, ფაქტია. სომეხმა დიდოსტატმაც შესანიშნავად შეირგო ძღვენი და აწი ბევრიც რომ ვერ მიამატოს საკუთარ მარაგს, იმითაც კმაყოფილი იქნება, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, თანაც ქართველს, აჯობა. მაიას გამოცდილება არ აკლია და ალბათ ამ მარცხს არ დაემონება და მომავალ ტურებში აინაზღაურებს დანაკლისს.

სიურპრიზები ვახსენეთ და გარდა ჩვენთვის უსიამოვნო მომენტისა, ერთი-ორი სხვაც ვიხილეთ, - ეკვადორელი **მარტა ფიერო** ნამდვილ რისხვად გვევლინება და აუტსაიდერობიდან ლიდერად და ფავორიტად იქცა. მან ამჯერადაც გაიმარჯვა, თანაც - შავი ფერით და ოთხიდან სამნახევარი ქულა აქვს. მართალია, მისი მორიგი მსხვერპლი თურქი **ქემრე ილდიზი** იყო, მაგრამ მოგების გარანტია სულაც არ გააჩნდა. მარტას თამაშმა ყველაზე დიდი ინტრიგა შეიტანა ტურნირში და დიდ ინტერესს ისიც იწვევს, შეძლებს თუ არა ბოლომდე ალებული ტემპის შენარჩუნებას.

მოულოდნელობათა კატეგორიაში აუცილებლად შესატანი შევდი **პია კრამლინგის** ცუდი თამაში. კრამლინგმა გუშინ მეორედ წააგო და აუტსაიდერებში მყარად დამკვიდრდა. მისი დაჯაბნა ამჯერად **იფან ჰოუმ** შეძლო, თანაც შავებით. ახალგაზრდები რომ უტევენ ძველი თაობის დიდოსტატებს, ფაქტია, მაგრამ ასეთივე უპირატესობით თუ გაიარეს მთელი ტურნირი, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ჭადრაკში ახალი ეტაპი, ან ეპოქა დაიწყო. ვნახოთ, როგორ შეეგუებიან „ძველები" მოვლენათა ასეთ განვითარებას.

შედეგიანად კიდევ ერთი პარტია დასრულდა - **მარი სებაგმა** შავებით მოუგო **ზეინაბ მამედიაროვას**. არც ეს არის გასაკვირი - სებაგი აზერბაიჯანელს გვარიანად აღემატება კლასით, მაგრამ თვალში საცემი ის ფაქტიც არის, რომ გუშინ ყველა გამარჯვებულმა შავი ფერით მიაღწია საწადელს. ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა: **ჰამპი კონერუმ** თეთრებით ვერ მოუგო ჩინელ **იანკ შენს**, ხოლო მეორე ზავი **ანტუანეტა სტეფანოვას** და **ჭაო სიუს** დაპირისპირებაში დაიდო.

ერთი სიტყვით, მოსაწყენად გუშინ არ ეცალა ჭადრაკის მოყვარულს და იმედია, არც მომავალ ტურებში მოიწყენს; ქართველებს კი მოსაწონიც უნდა გვქონდეს ამავე დროს, - ჩიბურდანიძე რომ იოლად არ შეეგუება აუტსაიდერობას, ყველასთვის ცნობილია...

**სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ:** 1-2. იფან ჰოუ, მარტა ფიერო - 3,5; 3-4. ჰამპი კონერუ, სიუ ჭაო - 3; 5. ელინა დანიელიანი - 2,5; 6-7. ანტუანეტა სტეფანოვა, მარი სებაგი - 2; 8-9. მაია ჩიბურდანიძე, იანკ შენი - 1,5; 10. პია კრამლინგი - 1; 11. ქემრე ილდიზი - 0,5; 12. ზეინაბ მამედიაროვა - 0.

**მეხუთე ტურში ასეთი წყვილებია:** ფიერო - კონერუ; იფან ჰოუ - ილდიზი; ჭაო სიუ - კრამლინგი; სებაგი - სტეფანოვა; დანიელიანი - მამედიაროვა; შენ იანკი - ჩიბურდანიძე.

ზვიად შათირიშვილი

ევროპის ჩემპიონატი

# ძაგნიძე პირველ დაფას არ ცილდება

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატში მესამე ტურიც გაილია და ჩვენდა სასიხარულოდ, სასიამოვნო ინფორმაციები ბლომად გვაქვს. მთავარი ის გახლავთ, რომ ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი ქართველი **ნანა ძაგნიძეა**, რომელმაც სამივე შეხვედრაში იმარჯვა. გუშინ მისი მეტოქე გამოცდილი პოლონელი დიდოსტატი **იოლანტა ზავადსკა** იყო. თეთრებით ჩვენებური უტევდა და იმედიც გვქონდა, რომ თამაშს სასურველი ფინიშით დააგვირგვინებდა. ასეც მოხდა და ძაგნიძე რეიტინგის დარად აგრძელებს წინსვლას. აღსანიშნავი ისიც გახლავთ, რომ ნანა მეორე ტურიდან პირველ დაფაზე ზის და მეოთხეშიც პირველ დაფაზე მოუწევს თამაში, ამჯერად შავებით. მისი მეტოქე ცნობილი რუმინელი დიდოსტატი **ქრისტინა ფოიშორია**. ქრისტინას რეიტინგი 2412-ია, ის 114 ქულით ჩამორჩება ქართველის მაჩვენებელს, მაგრამ თავიდანვე განწირული რუმინელი ვერ იქნება. იმედია, უმწეო მდგომარეობაში მას ძაგნიძე პარტიის მსვლელობის დროს, ნელ - ნელა ჩააგდებს.

ნანას მხარი ვერ აუბეს **მაია ლომინეიშვილმა** და **სალომე მელიამ**, თუმცა არ წაუგიათ - ყაიმით დაასრულეს თავიანთი პარტიები. ორივეს რუსი მეტოქე ჰყავდა. როგორც გუშინ ვწერდით, თერთმეტი ქართველიდან რვას რუსი მოწინააღმდეგე არგუნა წილისყრამ. ამ, ერთგვარ ქართულ-რუსულ დაპირისპირებაში ქართველმა ქალბატონებმა გამანადგურებელი მარცხი აგემეს ჩრდილოელებს: ხუთში ვიმარჯვეთ, ორში ზავი დავდეთ და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით. თავის აქტივში გამარჯვებები ჩაიწერეს: **ნინო ხურციძემ, სოფიო გვეტაძემ, სოფიკო ხუხაშვილმა, სოფიკო გურამიშვილმა** და **მერი არაბიძემ**; ლომინეიშვილმა და მელიამ ქულა გაიყვეს და მხოლოდ **ნაზი პაიკიძე** დამარცხდა და ისიც შავებით.

გუშინ ქართულ დელეგაციაში მეორე მარცხიც ვიგემეთ, ოღონდ ეს ნაგება პოლონელმა **იოანა დვორაკოვსკამ** გვაგემა - **მარიამ დანელიას** აჯობა ნაცადმა დიდოსტატმა.

ქალთა ტურნირს სამ-სამი ქულით ექვსი ქალბატონი ლიდერობს. 2,5 ქულა ბევრად მეტს, ოც მონაწილეს მოუგროვდა. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მათ შორის ხუთი ჩვენებურია: ხუხაშვილი, ლომინეიშვილი, მელია, გვეტაძე და ხურციძე. ორ-ორი ქულა აქვთ გურამიშვილს და არაბიძეს; ქულანახევარი მოუგროვდათ **ქეთი ნანალაშვილსა** და ნაზი პაიკიძეს; ერთი ქულა აქვს მარიამ დანელიას.

ჩერნოგორიის საკურორტო ქალაქ ბუდვაში კი ვაჟები ერკინებიან ევროპული ტიტულისათვის და ჩვენი ყურადღება, ძირითადად, ქართული კვარტეტისადმია მიპყრობილი. როგორც იცით, სამი ტურის შემდეგ სამი ქულით ერთ-ერთი ლიდერი **მერაბ გაგუნაშვილი** იყო, მაგრამ მეოთხე ტურში თეთრებით დასანანად წააგო გერმანელ **გეორგ მაიერთან**. როგორც ჩანს, ამ მარცხმა მერაბის ფსიქოლოგიაზე ცუდად იმოქმედა და გუშინაც დამარცხდა - შავებით რუს დიდოსტატს, **არტიომ ტიმოფეევს** ვერაფერი დაუპირისპირა. არტიომი ძალიან მაღალი რეიტინგის მქონეა - 2671 ქულა აქვს და განთესვით მეცამეტეა ჩემპიონატში.

თუკი მერაბი დაეჩაგვრინა მარცხს და მძიმედ ინელებს, მსგავსი არაფერი ეტყობა **ბაადურ ჯობავას**, - მეორე ტურში განცდილი მარცხის შემდეგ პარტიას პარტიაზე იგებს, ანუ ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა; სულ კი, უპირველეს ქართველ დიდოსტატს ოთხი ქულა დაუგროვდა და ლიდერთა ჯგუფს ხელის განვდენაზე მიუახლოვდა. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულა აღარცერთს დარჩა - რუსმა **ერნესტო ინარკიევმა** და გეორგ მაიერმა ერთმანეთში ქულა გაიყვეს, რითაც მხოლოდ ერთმა მონაწილემ, რუსმა **სანან სიუგიროვმა** ისარგებლა. მეექვსე ტურის წინ ჩემპიონატს სწორედ ეს სამეული უდგას სათავეში.

ლიდერებთან მიახლოება ჯერჯერობით უჭირთ **თორნიკე სანიკიძეს** და **მიხეილ მჭედლიშვილს**, მაგრამ არც მაჩანჩალები არიან - კვლავ ყაიმით ითამაშეს და სამ- სამი ქულით იწონებენ თავს. კვლავ გვსურს გამოვარჩიოთ სანიკიძის ყაიმი - მას თეთრებით კი უწევდა თამაში, მაგრამ მეტოქედ 2601 ქულიანი რეიტინგის პატრონ ჰოლანდიელ დიდოსტატს, **ირვინ ლამის** ხვდებოდა. ყაიმით ქართველმა უფრო ისარგებლა, ვიდრე - ნიდერლანდელმა... მჭედლიშვილს შავი ფერით მოუწია სერბ დიდოსტატ **მიოდრაგ სავიჩთან** დაპირისპირება. სერბის რეიტინგი ქართველისას ლამის 90 პუნქტით ჩამორჩება და ამ შემთხვევაში უფრო მეტ სარგებელს ბალკანელი ნახავდა...

ასეა თუ ისე, ცუდად მიგვდის საქმეო, ვერ ვიტყვით. წინ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და დავიტოვოთ იმედი, რომ დისტანციის გავლის შემდეგ სასიამოვნო განწყობა უფრო დაგვეუფლება.

ზვიად შათირიშვილი

საქალაქო სამსახური

როცა ვითარება საგანგებოა

# გაჭირვება მაჩვენე და სამსახურს გაჩვენებ

**ცხოვრებას ათასი გაჭირვება და ფათერაკი ახლავს. შველას მხოლოდ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანები როდი ითხოვენ. ამ სამსახურში უძრავი ქონების, შინაური ცხოველებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, გაურჩებული თუთიყუშის ოჯახში დასაბრუნებლადაც კი დაურეკავთ...**



თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური, ფაქტობრივად, ოთხი სამსახურის ერთობლიობაა თავისი სათავო ორგანიზაციით. ესენია: ხმელეთზე მაშველები, წყალზე მაშველები, მეხანძრეები და სამოქალაქო თავდაცვა. ამ ჩამონათვალისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ სპორტისა და სპორტსმენების გარეშე ამ სამსახურებს ძალიან გაუჭირდებათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ მაშველთა რიგებში ბევრი ყოფილი სპორტსმენია და სხვებისთვისაც ჩვეულია სპორტში ვარჯიში: ბოლოს და ბოლოს, ვინ გაასწრებს წყალში მოცურავეს და სიმაღლეში, მაგალითად, მაღალ კორპუსზე — მთამსვლელს? არადა, დედაქალაქში ათასნაირი ფათერაკი ხდება და მაშველებს ხშირად წარმოუდგენელ სიტუაციებში უწევთ ოსტატობის გამოჩენა. მარტო ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენაზე კი არ არის ლაპარაკი, — მათ იძახებენ გაჭირვებაში ჩავარდნილი კატის, ძაღლის, გარეუბანში — საქონლის გადასარჩენად. გაურჩებული თუთიყუშის ოჯახში დასაბრუნებლადაც დაურეკავთ საქალაქო სამსახურში, ხშირად ჩაკეტილი კარის გასაღებადაც, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ადამიანის გადასაყვანად და ა.შ.

თბილისის მაშველთა სამსახურის უფროსი **თემურ გიორგაძე** პირადი მაგალითით უჩვენებს ხელქვეითებს მუდამ სპორტულ ფორმაში ყოფნის აუცილებლობას. ახალგაზრდობაში თვითონ კარგი სპორტსმენი იყო, სამბოში რამდენიმე დიდი საერთაშორისო ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ მაშინდელი ოცნება — გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი (მოგეხსენებათ, სამბო ოლიმპიადების პროგრამაში არ არის წარმოდგენილი) ახლა, უკვე სპორტის ვეტერანის ასაკში აისრულა: 2006-2008 წლებში ზედიზედ სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მაისისთვის უკვე ვეტერან ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

მაშველთა რიგებში არიან მისი სამბისტი მონაფეები: ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები **მერაბ ფანცულაია** და **გიორგი გრძელიძე**, ევროპის ჩემპიონი **გივი ტატანაშვილი**, ასევე ყოფილი ფეხბურთელები: **ოთარ კუხიანაიშვილი, ლევან კასრაძე, გივი კვანტალიანი**... როგორღაც ისე მოხდა, რომ უფრო მეტი მოჭიდავე და ფეხბურთელია ამ სამსახურში, თუმცა, როგორც ვთქვი, სხვა სახეობების წარმომადგენლებიც არიან, სამაშველო სამსახურის გარდა. მათი მოცურავე თანამშრომლებიდან ზოგიერთი ახლაც ეწევა სამწვრთნელო მოღვაწეობას, ასევე მყვინთავები.

*„მაშველთა შერჩევის პრაქტიკა საკმაოდ მკაცრია და ბევრი ვერ აბარებს გამოცდებს. დღეში ხშირად 30-მდე მსურველი მოდის, იმდენი არიან, ზოგჯერ მიღებას ვერ ავუდივართ",* — მითხრა თემურ გიორგაძემ. სპორტსმენებს კი შესანიშნავი საერთო-ფიზიკური მომზადება აქვთ და სპეციალური კურსის გავლის შემდეგ უფრო იოლად ითვისებენ მაშველის პროფესიას. *„ერთი უნდა ნახოთ მე-16 სართულიდან ქვემოთ, თოკზე თავდაღმა მოსრიალე ჩვენი ბიჭები, — სამთო მაშველები.* — არცთუ შეფარული სიამაყით ამბობს სამსახურის უფროსი, — *საამისოდ საგანგებოდ ვვარჯიშობთ ბოტანიკურ ბაღში, იქაურ ციცაბოებზე."* კლდიდან დაბლა დაშვებაში თვით წყალზე მაშველებსაც ავარჯიშებენ.

თბილისი როგორ გაიზარდა ბოლო წლებში, ამას ყველანი საკუთარი თვალით ვხედავთ. სამწუხაროდ, შესაბამისად გაიზარდა უბედურ შემთხვევათა რიცხვი და 300-მდე მაშველი, უფროსების ჩათვლით, მორიგეობის მუდმივ რეჟიმშია, — მეხანძრეები თუ „ჩვეულებრივი" მაშველები.

დავინტერესდი, დაახლოებით რამდენ წუთში ახერხებენ ისინი შემთხვევის ადგილზე მისვლას. ცოტა არ იყოს, საკვირველი ციფრი დამისახელა თემურ გიორგაძემ, — საშუალოდ 7-8 წუთი. იშვიათად, საავტომობილო საცობების გამო მეტი ხნითაც ხდება შეფერხება, მაგრამ ძირითადად მოცემულ დროში ვახერხებთ გამოძახების ადგილზე მისვლასო. ამას განაპირობებს თვითონ სამსახურის სტრუქტურა — მაშველთა სამსახურები თბილისის ყველა რაიონშია, სულ 14 განყოფილებაა დედაქალაქის ფარგლებში.

მათი მუშაობის ამოსავალი წერტილი, რა თქმა უნდა, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა, მერე კი დანარჩენის — მატერიალური ფასეულობების და სხვ. *„უნდა თავად შეიგრძნოთ და გამოსცადოთ, თუ რას ნიშნავს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა",* — ცოტა ალგზნებით, ერთგვარი აზარტითაც მეუბნება თემურ გიორგაძე. ისედაც, ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგებია ამ საქმიანობის მთელი მადლი. თუნდაც ჯერომ სელინჯერის გმირი გავიხსენოთ, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო საქმედ კლდის პირას, ჭვავის ყანაში მოთამაშე ბავშვების დაცვა მიაჩნდა იმ კლდეზე გადავარდნის საშიშროებისგან.

*„წელიწადში შეიძლება 300-400 ადამიანი გადავარჩინოთ, — თავისი უაღრესად საჭირო, თუმცა ნაკლებად აფიშირებული სამსახურის შესახებ გვიამბობს მისი უფროსი, — ბევრი შემთხვევა წყალთან არის დაკავშირებული: კუს ტბასთან, თბილისის ზღვასთან... განსაკუთრებით ამ უკანასკნელთან, სადაც წელიწადში 200-მდე შემთხვევა ხდება. იქ წყალი ძალიან მატყუარა, მძიმე და ვერაგია და ზოგი უაზროდ რისკავს. ცენტრალურ უბანზე, რომელსაც მუდმივად ჩვენ ვიცავთ, უკვე სამი წელიწადია, უბედური შემთხვევა არ ყოფილა. მაგრამ ზოგჯერ ირჩევენ ბანაობისთვის აკრძალულ ადგილებს, ხშირად ნასვამებიც შედიან წყალში და უბედური შემთხვევები ხდება. თითქმის დამხრჩვალი ადამიანები გამოგვიყვანია და სააქაოს მოგვიბრუნებია გაზისგან ლამის ბოლომდე გაგუდული ოჯახებიც. მაგრამ როცა ყველაფერი დაგვიანებულია, მერე რაღას გახდები. არის ძალიან მძიმე ხანძრები და ასეთივე მძიმე შემთხვევები, მაგრამ ვცდილობთ, რომ ამა თუ იმ სიტუაციას მაქსიმალურად ნაკლები ზარალით გავუმკლავდეთ".*

რა დასამალია და, თბილისში ბოლო პერიოდში გახშირდა სუიციდის შემთხვევები, რაც ყველაზე ხშირად მტკვრის რომელიმე ხიდიდან მდინარეში გადახტომით გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ, თემურ გიორგაძის თქმით, მათ მიერ სიკვდილის ზღვარზე მყოფი, მაგრამ გადარჩენილი თვითმკვლელების რიცხვი, ამ შემთხვევათა 90 პროცენტს აღწევს, ყველაფერი გამოძახების სისწრაფეზეა დამოკიდებული. აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე შემთხვევაში იქ მყოფმა, ანუ შემთხვევის შემსწრე პოლიციელებმაც ივაჟკაცეს. ალბათ, ბევრს ახსოვს პოლიციელ გოცირიძის გმირობა, რომელიც 25 მეტრი სიმაღლიდან გადახტა მტკვარში, წყალში გადავარდნილი ქალი გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა. დროულად გამოძახების შემთხვევაში კი, სამაშველო სამსახური, როგორც მისი უფროსი აცხადებს, არ შერცხვება.

რაც შეეხება სამოქალაქო თავდაცვას, რომლის აუცილებლობა განსაკუთრებით რუსეთთან ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს მთელი სიმწვავით დადგა, თემურ გიორგაძის განცხადებით, უკვე გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი, ახალი ბრძანებულება „სამოქალაქო თავდაცვის რეგულირების გეგმა". იქ გაწერილია, თუ როგორ უნდა იმოქმედონ შესაბამისმა სამსახურებმა კრიზისულ ვითარებაში, წინასწარ როგორი პროფილაქტიკური სამუშაოები უნდა ჩაატარონ, საჭიროების დროს სად გახიზნონ ხალხი და ა.შ. გიორგაძის თქმით, მეცადინეობა და მომზადება აღნიშნული ბრძანებულების მიხედვით მიმდინარეობს.

რაც შეეხება სპორტს, თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის გუნდს დედაქალაქის 15-მდე ტურნირი აქვს მოგებული მინიფეხბურთში: მერიის თასი, კახი ასათიანის სახელობისა და ა.შ. იგი, ფაქტობრივად, მერიის სამსახურების ნაკრებს წარმოადგენს. თემურ გიორგაძე, რომელიც თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაშია (არა უფროსობის გამო), ამბობს, რომ უკვე წლეულს აღადგენენ წმინდა სახანძრო სპორტს, — საჭიროსა და სანახაობრივი თვალსაზრისით ძალიან საინტერესოს.

ასეთია მოკლედ ერთი საქალაქო სამსახურის ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც ადამიანებს მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ ხოლმე, როცა უჭირთ.

გიორგი ჩოჩიშვილი

უცხოური სპორტი

კალათბურთი




# კობი და მარტა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელია. რეგულარულ ჩემპიონატში მის გუნდის ერთ-ერთ გამოსასვლელ დღეს კობი ამერიკის ქალთა საფეხბურთო ლიგის გუნდ "ლოს ანჯელეს სოლის" ახალწვეულის, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის - **მარტას** პრეზენტაციას დაესწრო.

ცერემონიის ოფიციალური ნაწილის შემდეგ, კობის ბრაზილიელ ფეხბურთელთან თამაშის საშუალება მიეცა.

*"მე ფეხბურთის ნამდვილი ფანი ვარ, ხოლო ჩემი საყვარელი გუნდი - "ბარსელონაა"*, - აღიარა ბრაიანტმა. მარტას შესახებ კი NBA-ის სუპერვარსკვლავმა შემდეგი განაცხადა: *"ის ისეთი გატაცებით, ენერგიითა და სიყვარულით თამაშობს, რომ არ შეიძლება ამან აღფრთოვანება არ გამოწვიოს"*.

კითხვაზე, როგორი იქნებოდა მარტა NBA-ში, კობიმ უპასუხა: *"ახალი კობი ბრაიანტი გვეყოლებოდა"*.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რუდი კინაღამ დაინვალიდდა



რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტური უიღბლო გამოდგა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ესპანელი ლეგიონერის - **რუდი ფერნანდესისთვის**. მცველს კისერზე ფიქსატორი დაადეს და საკაცით მოედნიდან გაიყვანეს. ესპანელმა ტრავმა "ლეიკერსის" ფორვარდ ტრევორ არიზას უხეში თამაშის შემდეგ, პარკეტზე დაცემისას მიიღო. შეხვედრა "პორტლენდმა" 111:94 მოიგო.

ფერნანდესი ფარქვეშ გარღვევას ასრულებდა და როცა წინ აღარავინ ედგა, არიზამ უკნიდან ჰკრა ხელი და ესპანელი მოედნის მიღმა გადააგდო. რუდი უხერხულად დაეცა და პარკეტზე რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იწვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, რენტგენულ გამოკვლევას მოტეხილობა არ დაუფიქსირებია, მაგრამ მოთამაშე ერთი ღამით მაინც დატოვეს კლინიკაში.

არიზას უხეშობას ორივე გუნდის კალათბურთელებს შორის შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რის შედეგადაც რამდენიმე მოთამაშემ ტექნიკური ჯარიმა მიიღო, თავად არიზა კი მოედნიდან გააძევეს.

# არენასმა თამაში არ მოისურვა




ორი კვირით გადაიდო "სან ანტონიო სპურსის" ლიდერის **მანუ ჯინობილის** მოედანზე დაბრუნება. ამ ინფორმაციას გუნდის მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** ავრცელებს. არგენტინელმა ლეგიონერმა 16 თებერვალს მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ რეგულარულში აღარ უთამაშია.

*"მანუ კიდევ ერთ-ორი კვირას გამოტოვებს. მის ჯანმრთელობას ახლა უნდა გავუფრთხილდეთ, რათა პლეიოფში სრულ მზადყოფნაში იყოს"*, - ამბობს პოპოვიჩი.

ამასობაში ცნობილი ხდება, რომ "ვაშინგტონ უიზარდისის" ლიდერი **გილბერტ არენასი** რეგულარულ ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში მონაწილეობას არ მიიღებს. კალათბურთელმა განაცხადა, რომ არ ღირს რისკის გაწევა იმ დროს, როცა "უიზარდსმა" პლეიოფში თამაშის შანსი დაკარგა.

წლევანდელი სეზონის წინ, "ვაშინგტონმა" ექვსწლიანი და 111-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა არენასთან, თუმცა მას შემდეგ კალათბურთელი მოედანზე აღარ გასულა.

**ატლანტა-ნიუ ორლეანი 89:79**

20:28, 27:12, 20:20, 22:19

ა: ჯო ჯონსონი (30), მიურეი (14), ჯ. სმიტი (13+13 მოხსნა), ბიბი (10).

ნ-ო: პოლი (24+10 პასი+3 ჩაჭრა), რ. ბატლერი (18), დ. უესტი (16+20 მოხსნა), ჯ. რაიტი (12).

**დეტროიტი-ორლანდო 98:94**

21:21, 21:24, 31:26, 25:23

დ: ჰემილტონი (29+14 პასი), პრინსი (20), მაკდაესი (13+18 მოხსნა), სტაკი (10), კ. ბრაუნი (10).

ო: დ. ჰოვარდი (27+14 მოხსნა+4 დაფარება), ლუისი (21), კ. ლი (10).

**მაიამი-ჩიკაგო 130:127 (2ო)**

22:26, 32:26, 30:22, 20:30, 13:13, 13:10

მ: უეიდი (48+12 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ბიზლი (18+7 მოხსნა), ჩალმერსი (17+4 ჩაჭრა), მუნი (13), ჯ. ო'ნილი (11+3 დაფარება), ჰასლემი (10+8 მოხსნა).

ჩ: ბ. გორდონი (43), სალმონსი (29+8 მოხსნა), ლ. როუზი (23+9 მოხსნა), ნოა (11+15 მოხსნა), ბ. მილერი (9+10 მოხსნა).

**მინესოტა-ვაშინგტონი 99:110**

24:27, 20:22, 29:30, 26:31

მ: ტელფეირი (18), გომესი (18), ლავი (16+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), მ. მილერი (16+9 მოხსნა), ფოიე (15+6 პასი).

ვ: კ. ბატლერი (27+10 მოხსნა+6 პასი), ჯეიმისონი (26), სონგაილა (19), მაკგუაირი (10+7 მოხსნა).

**დენვერი-ჰიუსტონი 95:97**

27:18, 13:27, 22:29, 33:23

დ: ბილაპსი (28+7 მოხსნა), ენტონი (21+7 მოხსნა), სმიტი (15), ნენე (10+8 მოხსნა).

ჰ: არტესტი (22+4 ჩაჭრა), ბოუქსი (19), იაო მინი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), ლენდრი (12), სკოლა (4+15 მოხსნა).

**პორტლენდი-ლეიკერსი 111:94**

25:16, 36:22, 23:18, 27:38

პ: როი (27), აუთლო (22), ოლდრიჯი (16+13 მოხსნა), პრჟიბილა (12+18 მოხსნა), ფერნანდესი (11).

ლ: ბრაიანტი (26), პ. გასოლი (18+13 მოხსნა), ფარმარი (12).

## კვირის მოთამაშეები

"მაიამის" მცველი **დუეინ უეიდი** და "იუტა ჯაზის" გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა უეიდმა საშუალოდ მატჩში 35.8 ქულა (საუკეთესო მაჩვენებელი ლიგაში) დააგროვა. გარდა ამისა, დუეინი თავისი კონფერენციის ლიდერი გახდა პასებისა (11.3) და ჩაჭრების (3.2) რაოდენობით.

დასავლეთში საუკეთესო დერონ უილიამსმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა და "ჯაზმენთა" მოგებების სერია 11 შეხვედრამდე აიყვანა. დერონის საშუალო მონაგარი 25.3 ქულა და 11.3 შედეგიანი პასი იყო.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **რაიმონდ ფელტონი** ("შარლოტი"), **დირკ ნოვიცკი** ("დალასი"), **მო უილიამსი**, **ლებრონ ჯეიმსი** (ორივე - "კლივლენდი"), **ტონი პარკერი** ("სან ანტონიო"), **ჯარეტ ჯეკი** ("ინდიანა"), **დევინ ჰარისი** ("ნიუ ჯერსი"), **კობი ბრაიანტი** ("მაიამი") და **იაო მინი** ("ჰიუსტონი").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-კლივლენდი | 62 | 49 | 13 | 79.0 |
| 2. x-ბოსტონი | 64 | 49 | 15 | 76.6 |
| 3. ორლანდო | 63 | 46 | 17 | 73.0 |
| 4. ატლანტა | 64 | 36 | 28 | 56.2 |
| 5. მაიამი | 63 | 34 | 29 | 54.0 |
| 6. დეტროიტი | 62 | 32 | 30 | 51.6 |
| 7. ფილადელფია | 61 | 30 | 31 | 49.2 |
| 8. მილუოკი | 66 | 30 | 36 | 45.5 |
| 9. ჩიკაგო | 64 | 29 | 35 | 45.3 |
| 10. ნიუ ჯერსი | 63 | 28 | 35 | 44.4 |
| 11. შარლოტი | 63 | 28 | 35 | 44.4 |
| 12. ინდიანა | 65 | 28 | 37 | 43.1 |
| 13. ნიუ იორკი | 62 | 25 | 37 | 40.3 |
| 14. ტორონტო | 64 | 23 | 41 | 35.9 |
| 15. ვაშინგტონი | 64 | 15 | 49 | 23.4 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 63 | 50 | 13 | 79.4 |
| 2. სან ანტონიო | 62 | 42 | 20 | 67.7 |
| 3. ჰიუსტონი | 65 | 42 | 23 | 64.6 |
| 4. იუტა | 63 | 40 | 23 | 63.5 |
| 5. პორტლენდი | 63 | 40 | 23 | 63.5 |
| 6. ნიუ ორლეანი | 62 | 39 | 23 | 62.9 |
| 7. დენვერი | 65 | 40 | 25 | 61.5 |
| 8. დალასი | 63 | 38 | 25 | 60.3 |
| 9. ფინიქსი | 63 | 34 | 29 | 54.0 |
| 10. გ. სტეიტი | 63 | 21 | 42 | 33.3 |
| 11. მინესოტა | 63 | 18 | 45 | 28.6 |
| 12. ოკლაჰომა | 63 | 17 | 46 | 27.0 |
| 13. მემფისი | 62 | 16 | 46 | 25.8 |
| 14. კლიპერსი | 63 | 15 | 48 | 23.8 |
| 15. საკრამენტო | 63 | 14 | 49 | 22.2 |

| | |
|---|---|
| **ქულები** | |
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.1 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 26.0 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.3 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.0 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 23.1 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.9 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.8 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 22.5 |
| **მოხსნები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.0 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.9 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.9 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.6 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.6 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.6 |
| იაო მინი (ჰიუ) | 9.7 |
| პაუ გასოლი (ლეიკ) | 9.4 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.4 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 9.2 |
| **პასები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.1 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (კლივ) | 7.8 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 7.7 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.0 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 7.0 |
| **ჩაჭრები** | |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.2 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.9 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.9 |
| ტრევორ არიზა (ლეიკ) | 1.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 1.7 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 1.7 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 1.7 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |
| **დაფარებები** | |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.9 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.3 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.3 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორ) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

ბიატლონი




# ოლეს რუსები ემუქრებიან

ლეგენდარულმა ნორვეგიელმა ბიატლონისტმა **ოლე-ეინარ ბიორნდალენმა** რუსეთიდან მუქარის წერილები მიიღო. რუსი "გულშემატკივრები" ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან ბიატლონისტს მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპზე ჩასვლას არ ურჩევენ. სეზონის უკანასკნელი სტარტები რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში 23-25 მარტს გაიმართება.

მუქარის წერილები ოლეს-ეინარის მეუღლის - **ნატალი სანტერ-ბიორნდალენის** ელექტრონულ ფოსტაშიც გაჩნდა, რამაც ეს ქალბატონი ძალიან შეაშფოთა.

შეგახსენებთ, რომ რუსების აღშფოთება პიონჩანგის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართულმა ინდივიდუალურმა რბოლამ გამოიწვია. მაშინ სპეციალურმა კომისიამ ბიორნადლენს ოქროს მედალი ჩამოართვა, რადგან ნორვეგიელს მარშრუტი აერია და 10 მეტრი მოჭრა. ჩემპიონად რუსი **მაქსიმ ჩუდოვი** გამოცხადდა. მაგრამ ცოტა ხანში, სააპელაციო კომისიამ ნორვეგიელთა პროტესტი დააკმაყოფილა და ბიორნდალენს ოქროს მედალი დაუბრუნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

### ლივერპული-რეალი 4:0 (1:0)

ლივერპული: რეინა - არბელოა, შკრტელი, კარაგერი, ფაბიო აურელიო - ჩაბი ალონსო (60. ლუკასი), მასკერანო - კუიტი, ჯერარდი (73. სპირინგი), ბაბელი - ფერნანდო ტორესი (84. დოსენა).

რეალი: კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო (64. ვან დერ ვაარტი), ჰაინცე - ლ. დიარა - რობენი (46. მარსელო), გაგო (77. გუტი), სნეიდერი - რაული, იგუაინი.

გოლები: 1:0 ფერნანდო ტორესი (16), 2:0 ჯერარდი (28-პენ), 3:0 ჯერარდი (47), 4:0 დოსენა (88)

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

მაყურებელი: 45 276

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ლივერპული | |
| | პირველი ჯარიმა: რეალი | |
| | პირველი კუთხური: ლივერპული | |
| | პირველი გაფრთხილება: რეალი | |
| 16(12) | დარტყმა | 15(3) |
| 26 | ჯარიმა | 15 |
| 8 | კუთხური | 6 |
| 5 | თამაშგარე | 2 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

### იუვენტუსი-ჩელსი 2:2 (0:1)

იუვენტუსი: ბუფონი - გრიგერა, მელბერგი, კიელინი, მოლინარო - ტიაგო, მარკიზიო, ნედვედი (13. სალიჰამიჯიჩი) - დელ პიერო - იაკუინტა (61. ჯოვინკო), ტრეზეგე (79. ამაური).

ჩელსი: ჩეხი - ბოსინგვა, ტერი, ალექსი (89. რიკარდო კარვალიო), ე. კოული - ობი მიკელი - ბალაკი, ესიენი (66. ბელეტი), ლემპარდი - დროგბა, ანელკა.

გოლები: 1:0 იაკუინტა (19), 1:1 ესიენი (45+1), 2:1 დელ პიერო (74-პენ), 2:2 დროგბა (83)

გაძევება: კიელინი (70. იუვენტუსი)

მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

მაყურებელი: 25 442

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: იუვენტუსი | |
| | პირველი ჯარიმა: ჩელსი | |
| | პირველი კუთხური: იუვენტუსი | |
| | პირველი გაფრთხილება: იუვენტუსი | |
| 14(6) | დარტყმა | 12(6) |
| 22 | ჯარიმა | 25 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 1 | თამაშგარე | 3 |
| 4 | გაფრთხილება | 4 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

### პანათინაიკოსი-ვილიარეალი 1:2 (1:1)

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი - მ. ნილსონი, ვინტრა, სარიეგი, ვავრუინიაკი (86. რუკავინა) - ჟილბერო სილვა, სიმაო, კარაგუნისი - გაბრიელი (74. ხრისტოდულოპულოსი), სალპინგიდისი - მანციოსი.

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი - ანხელი (29. ხავი ვენტა), ფუენტესი, გოდინი, კაპდევილია - მარკოს სენა, ეგურენი - სანტი კასორლა, იბაგასა (75. ბრუნო) - როსი, ნიჰათი (46. ხ. ლორენტე).

გოლები: 0:1 იბაგასა (49), 1:1 მანციოსი (55), 1:2 ხ. ლორენტე (70)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

მაყურებელი: 50 000

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ვილიარეალი | |
| | პირველი ჯარიმა: პანათინაიკოსი | |
| | პირველი კუთხური: პანათინაიკოსი | |
| | პირველი გაფრთხილება: ვილიარეალი | |
| 11(4) | დარტყმა | 11(5) |
| 18 | ჯარიმა | 20 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 3 | თამაშგარე | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

### ბაიერნი-სპორტინგი 7:1 (5:0)

ბაიერნი: ბუტი - ლელი, ლუსიო (46. ბრენო), ვან ბუიტენი, ლამი - ვან ბომელი, ოტლი - შვაინშტაიგერი (71. მიულერი), ზე რობერტო (46. სოსა) - კლოზე, პოდოლსკი.

სპორტინგი: რუი პატრისიო - პედრო სილვა, ტონელი, ანდერსონ პოლგა, მიგელ ველოზო (46. იზმაილოვი) - ადრიენ სილვა (74. მარკო კანეირა) - პერეირინია (46. აბელი), ვუკჩევიჩი - ჟოაო მუტინიო - დერლეი, იანიკი.

გოლები: 1:0 პოდოლსკი (7), 2:0 პოდოლსკი (34), 3:0 ანდერსონ კოლგა (39-საკ. კარში), 3:1 ჟოაო მუტინიო (42), 4:1 შვაინშტაიგერი (43), 5:1 ვან ბომელი (74), 6:1 კლოზე (82), 7:1 მიულერი (90)

მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

მაყურებელი: 66 000

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ბაიერნი | |
| | პირველი ჯარიმა: სპორტინგი | |
| | პირველი კუთხური: სპორტინგი | |
| | პირველი გაფრთხილება: სპორტინგი | |
| 21(12) | დარტყმა | 14(6) |
| 11 | ჯარიმა | 13 |
| 8 | კუთხური | 0 |
| 0 | თამაშგარე | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |



## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| სანდეფიორდი-მოსი | 1:0 |

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ბირმინგემი | 1:1 |
| ბრისტოლი-ქოვენთრი | 2:0 |
| დონკასტერი-ქუინზ პარკი | 2:0 |
| ნორვიჩი-კარდიფი | 2:0 |
| პრესტონი-უენსდი | 1:1 |
| შეფილდი-ბლეკპული | 2:2 |
| საუთჰემპტონი-დერბი | 1:1 |
| სუონსი-პლიმუტი | 1:0 |
| უოტფორდი-ნოტინგემი | 2:1 |
| ვულვზი-იფსვიჩი | 0:0 |
| რედინგი-ჩარლტონი | 2:2 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-საუთენდი | 1:3 |
| კარლაილი-ლორიანი | 1:3 |
| კოლჩესტერი-სუინდონი | 3:2 |
| ჰერეფორდი-როვერსი | 0:3 |
| ლიდსი-იეოვილი | 4:0 |
| მილუოლი-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| მილტონი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| პიტერბრო-სკანთორფი | 2:1 |
| სტოკპორტი-ჰარტლპული | 2:1 |
| უოლსოლი-ქრიუ | 1:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-შრიუსბერი | 0:0 |
| ბრენტფორდი-ბარნეტი | 1:0 |
| ჩესტერი-როტერჰემი | 1:5 |
| ექსეტერი-ბორნმუთი | 1:3 |
| ჯილინგემი-დარლინგტონი | 1:0 |
| ლინკოლნი-უიკომბი | 1:0 |
| მაკლსფილდი-აკრინგტონი | 0:2 |
| მორეკამბი-ბერი | 0:0 |
| ნოტსი-ლუტონი | 0:2 |
| პორტ ვეილი-დაგენჰემი | 0:1 |
| როჩდეილი-ბრედფორდი | 3:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-ტორკი | 0:1 |
| ბაროუ-ჰისტონი | 1:0 |
| კემბრიჯი-მენსფილდი | 2:1 |
| კეტერინგი-გრეისი | 0:0 |
| კიდერმინსტერი-ქროული | 2:0 |
| რაშდენი-ლუისი | 2:1 |
| უეიმაუთი-სალისბერი | 0:4 |
| რექსჰემი-ფორესტ გრინი | 1:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვერდერი A-რეგენსბურგი | 2:2 |
| ბურგჰაუზენი-ოფენბახი | 0:0 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კლაიდი-სტ. ჯონსტონი | 1:3 |
| დანდი-ქუინი | 2:3 |
| მორტონი-ეირდრი | 0:0 |
| ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 4:2 |
| როსი-პარტიკი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პიტერჰედი-არბროა | 1:0 |
| ბრეჩინი-სტრანრარი | 1:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დამბარტონი-ელჯინი | 2:0 |
| ალბიონი-ისტ სტირლინგი | 0:2 |
| კოუდენბითი-ფორფარი | 0:0 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლაჰტი-როვანიემი | 2:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალტახი-ლინცი | 1:1 |
| აუსტრია (ვ)-შტურმი | 2:0 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| უელშპული-პორტ ტელბოტი | 1:2 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-დებრეცენი | 2:0 |

### კალათბურთი

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| მარუსი-პანელინიოსი | 83:85 |
| დინამო (მ)-ხიმკი | 73:68 |
| ტურკ ტელეკომი-უნიქსი | 66:86 |
| ჰემოფარმი-ვალენსია | 66:62 |
| ცრ. ზვეზდა-აზოვმაში | 72:95 |
| ბენეტონი-ზადარი | 94:81 |
| ბილბაო-ლეტუვოს რიტასი | 67:59 |
| შარლერუა-ერტლანდი | 88:79 |

**ევროჩელენჯერი**

| | |
|---|---|
| ტრიუმფი-ცსკ ვვს | 86:67 |
| აელ-ლოკომოტივი | 74:60 |
| ეიკვი-ვირტუსი | 57:69 |
| გალათასარაი-ოლდენბურგი | 82:89 |
| კახასოლი-ურალ გრეიტი | 76:81 |
| მონსი-ამსტერდამი | 86:93 |
| ლიეჟი-ტელეკომი | 59:67 |
| ეიფელ ტაუერსი-ზოლე | 70:72 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ავანგარდი | 0:2 |
| ცსკა-დინამო | 1:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ზალცბურგი | 1:4 |
| კლაგენფიურტი-ლინცი | 5:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ფრედრიკსჰავნი | 5:1 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მიკულაში-ზვოლენი | 0:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-პელიკანსი | 2:2 |
| ლუკო-სეი პა | 2:2 |
| ესეტი-ტაპარა | 2:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 7:2 |
| სპარტა-ულინი | 6:1 |
| ზნოიმო-კლადნო | 4:0 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 2:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-რაპერსვილი | 1:3 |
| ბილი-ლანგნაუ | 4:3 |

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ლიბანის ჩემპიონს კოკაინი უყვარებია

ლიბანელი (!!!) სამთომოთხილამურე ჟორჟ სალამეჰი კოკაინის მილებაში გამოიჭირეს. 33 წლის სპორტსმენის ორგანიზმში პრეპარატი - ბენზოილეკგონილი აღმოაჩინეს, რომელიც კოკაინის დაშლის შემდეგ წარმოიქმნება. სალამეჰმა დოპინგტესტი ვალ დ'იზერში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ჩააგდო. პლანეტის პირველობა თებერვლის პირველ ნახევარში გაიმართა.

ახლა, ლიბანელი მოთხილამურის საქმეს სათხილამურო სპორტის სახეობების ფედერაციის ანტისადოპინგო კომისია განიხილავს. სალამეჰს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ჟორჟი ლიბანის ჩემპიონია სლალომსა და გიგანტურ სლალომში. მსოფლიოს ჩემპიონატზე ის სწორედ ამ დისციპლინებში გამოდიოდა, მაგრამ კვალიფიკაციის გავლა ვერ შეძლო. 2006 წელს, სალამეჰი ტურინის ოლიმპიადაზეც გამოდიოდა და იქ სლალომში 43-ე ადგილი დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




## TV პროგრამა

**11 მარტი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერი-ინტერი (LIVE).
02:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ლიონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
09:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-რეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პანათინაიკოსი-ვილიარეალი.
15:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-სპორტინგი.
17:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-რეალი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. იუვენტუსი-ჩელსი.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რომა-არსენალი.
03:50 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
04:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ბოიაკა ჩიკო (კოლუმბია)-გრემიო (ბრაზილია) (LIVE).
06:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-ატლეტიკო.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. არე. შვედეთი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. უეფა თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. ქალები. არე. შვედეთი (LIVE).
16:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. III ეტაპი.
17:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. IV ეტაპი (LIVE).
19:30 ველოსპორტი. ტირენა ადრიატიკო. I ეტაპი.
20:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS127. კუოპიო. ფინეთი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
23:00 მოგზაურობა. ტელეჟურნალი.
23:30 მულტისპორტი.
23:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:45 გოლფი. US PGA-ის ტური.
00:45 გოლფ-კლუბი.
00:50 აფროსნობა. რეგატა Volvo Ocean.
01:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:25 მულტისპორტი.
01:30 სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
01:45 მოგზაურობა. ტელეჟურნალი.
02:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
04:15 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
12:00 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. VI ტური. ბილბაო (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. უეფა თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები.
15:30 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
15:45 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ბილიარდი.
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. I ტური. კაშიმა-ურავა.
19:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. VI ტური. ჰემოფარმი (სერბეთი)-ვალენსია (ესპანეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 რალი. IRC-ის სერია. ბრაზილია. მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
23:00 რესტლინგი.
23:30 კრივი. მ. ჰუკი (გერმანია)-ჯ. ბატელო (იტალია).
01:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიოს ტური. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.

# უცხოური სპორტი

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-რეინჯერსი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 კორვო-13 (კულენი-18, რეი უიტნი-36), 2:0 ბრინდამორი-10 (რეი უიტნი-37, სამსონოვი-27), 3:0 ტ. რუუტუ-20 (კოული-16, ბაბჩუკი-13).

**ოტავა-ტორონტო 2:1**

0:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ი. უაიტი-9 (ჰემილტონი-2, პონიკაროვსკი-24), 1:1 ალფრედსონი-21, 2:1 ჰიტლი-32 (ვოლჩენკოვი-4, სპეცა-31).

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 3:2**

2:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 გოტიე-2 (კოპიტარი-35), 2:0 სტოლი-17 (პურსელი-9, ფროლოვი-25), 2:1 ბაროუზი-19 (დ. სედინი-38), 3:1 სტოლი-18 (პურსელი-10, ქუინსი-34), 3:2 პიატი-8 (ჯ. ჯონსონი-4, სალო-13).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "კაროლინა ჰარიკეინზის" ფორვარდი **ერიკ სტაალი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა სამ მატჩში 9 ქულა (5 გოლი+4 პასი) დააგროვა და გასული შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სტაალმა "ტამპა ბეისთან" მატჩში (9:3) ექვსი ქულა მიითვალა, რითაც კარიერის რეკორდის გამეორება გახლავთ.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "პიტსბურგ პინგვინზის" გოლკიპერ **მარკ-ანდრე ფლერის** ერგო, რომელიც საშუალოდ 1.63 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.8 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" თავდამსხმელი **რიკ ნეში**. ამ ფორვარდის ანგარიშზეა 4 გოლი და 2 პასი (3 მატჩში).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 67 | 43 | 15 | 9 | 95 |
| 2. ნიუ ჯერსი | 65 | 42 | 20 | 3 | 87 |
| 3. ვაშინგტონი | 67 | 40 | 21 | 6 | 86 |
| 4. ფილადელფია | 64 | 35 | 19 | 10 | 80 |
| 5. მონრეალი | 66 | 35 | 24 | 7 | 77 |
| 6. კაროლინა | 68 | 36 | 27 | 5 | 77 |
| 7. ფლორიდა | 66 | 34 | 24 | 8 | 76 |
| 8. პიტსბურგი | 67 | 35 | 26 | 6 | 76 |
| 9. რეინჯერსი | 67 | 34 | 25 | 8 | 76 |
| 10. ბაფალო | 66 | 33 | 26 | 7 | 73 |
| 11. ტორონტო | 67 | 26 | 28 | 13 | 65 |
| 12. ოტავა | 65 | 26 | 29 | 10 | 62 |
| 13. ატლანტა | 66 | 25 | 35 | 6 | 56 |
| 14. ტამპა ბეი | 66 | 21 | 32 | 13 | 55 |
| 15. აილენდერსი | 66 | 22 | 37 | 7 | 51 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 64 | 42 | 12 | 10 | 94 |
| 2. დეტროიტი | 66 | 43 | 15 | 8 | 94 |
| 3. კალგარი | 66 | 39 | 21 | 6 | 84 |
| 4. ჩიკაგო | 64 | 36 | 19 | 9 | 81 |
| 5. ვანკუვერი | 65 | 34 | 23 | 8 | 76 |
| 6. კოლამბუსი | 66 | 33 | 27 | 6 | 72 |
| 7. ედმონტონი | 65 | 32 | 27 | 6 | 70 |
| 8. ნეშვილი | 66 | 33 | 29 | 4 | 70 |
| 9. დალასი | 66 | 31 | 27 | 8 | 70 |
| 10. მინესოტა | 65 | 32 | 28 | 5 | 69 |
| 11. ანაჰაიმი | 67 | 31 | 30 | 6 | 68 |
| 12. ლოს ანჯელესი | 66 | 29 | 28 | 9 | 67 |
| 13. სტ. ლუისი | 65 | 29 | 28 | 8 | 66 |
| 14. ფინიქსი | 66 | 28 | 33 | 5 | 61 |
| 15. კოლორადო | 66 | 29 | 36 | 1 | 59 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 94 (29+65) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 84 (47+37) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 82 (25+57) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 78 (38+40) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 78 (30+48) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 78 (25+53) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 76 (36+40) |
| მარკ სავარი (ბოს) | 73 (21+52) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 72 (18+54) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 71 (20+51) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 47 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 38 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 36 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 36 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 34 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 34 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 34 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 33 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 32 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 32 |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 32 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 65 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 57 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 54 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 53 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 53 |
| მარკ სავარი (ბოს) | 52 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 51 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 48 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 48 |
| მაიკ რიბეირო (ნ-ჯერ) | 45 |

ფორმულა 1




# ოპონენთ განსხვავება

## ახალი ტორო როსო რედ ბულის ასლია

"ტორო როსო" გახდა ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ბოლო გუნდი, რომელმაც 2009 წლის სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო.

ბარსელონას ავტოდრომზე ახალი მანქანა გუნდის ძირითადმა პილოტებმა - **სებასტიან ბურდემ** და **სებასტიან ბუემიმ** წარმოადგინეს.

გუნდმა უარი განაცხადა საზეიმო ცერემონიაზე და პილოტებმა პირდაპირ პიტ-ლეინზე გადახადეს შალითა "ტორო როსოს" ბოლიდს. მცირეხნიანი ფოტოსესიის შემდეგ, ბურდემ STR4 ტრასაზე გაიყვანა, რამდენიმე წრე გაიარა და ტექნიკური შემოწმებისთვის ბოქსებში დაბრუნდა.

ახალი სეზონის წინ, "ტორო როსოში" დიდი ცვლილებები მოხდა. გუნდი დატოვა და "რედ ბულში" გადავიდა შარშანდელი ჩემპიონატის აღმოჩენად მიჩნეული **სებასტიან ფეტელი**. შეგახსენებთ, რომ ამ გერმანელმა შარშან იტალიის გრან-პრის მოგება შეძლო.

ფეტელის ნაცვლად "ტორო როსოში" შვეიცარიელი დებიუტანტი სებასტიან ბუემი ჩაირიცხა, მისი მეწყვილე კი ფრანგი სებასტიან ბურდე იქნება, რომელიც ამ გუნდში შარშანაც გამოდიოდა.

შარშანდელი წარმატებების მიუხედავად, გუნდის ხელმძღვანელობა "ტორო როსოს" შანსებს მოკრძალებულად აფასებს და ნაკლებად სჯერა, რომ იტალიურ-შვეიცარიული საჯინიბო წელსაც მოახერხებს თუნდაც ერთი ეტაპის მოგებას.

*"2008 წელს ძალიან დიდ წარმატებას მივაღწიეთ. სიმართლე გითხრათ, ეს ჩვენთვისაც დიდი მოულოდნელობა იყო: ამდენი ქულა ადრე არასოდეს მოგვიპოვებია. თითო-თითოჯერ მოვიგეთ პოული და გრანპრი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2009 წელს ამ წარმატების გამეორება შევძლოთ. ჩვენი მიზანი ასე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ: ყოველი რბოლის შემდეგ, ტრასა იმ გრძნობით უნდა დავტოვოთ, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინეთ..."*, - ამბობს გუნდის შეფი ფრანც ტოსტი.

პრეზენტაციაზე ხაზი გაუსვეს "ტორო როსოს" ახალი მანქანის უნიკალურ დიზაინს, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ეს ბოლიდი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს "რედ ბულს" (ამაში თავადაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ აქ წარმოდგენილი ფოტოების მეშვეობით). გარეგნული განსხვავება მხოლოდ გრაფიკულ გაფორმებაშია. და კიდევ, "რედ ბულისგან" განსხვავებით, "ტორო როსოს" "ფერარის" ძრავებით იქნება აღჭურვილი.

ორივე მანქანა **ედრიან ნიუისა** და Red Bull Technology-ის მიერ არის შექმნილი.

ფორმულა 1-ის მორიგი ჩემპიონატი 29 მარტს, მელბურნში ავსტრალიის გრანპრით დაიწყება.

ჩოგბურთი

# კიმი ბრუნდება?

ბელგიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** პროფესიულ სპორტში აპირებს დაბრუნებას.

ბელგიელი ჩოგბურთელი, რომელმაც კარიერა 2007 წელს დაასრულა, ბოლო დროს ინტენსიურად ვარჯიშობს. ადრეც ვიტყობინებოდით, რომ კიმი გაზაფხულზე უიმბლდონის კორტებს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს ტურნირში, სახელწოდებით Raising the Roof, რომელიც უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე მოძრავი სახურავის დამონტაჟებას მიეძღვნება. კლაისტერსის გარდა, ამ ტურნირის სტუმრები იქნებიან **ტიმ ჰენმანი, ანდრე აგასი** და **შტეფი გრაფი**.

როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, კიმი ყოველდღიურად კორტზე ექვს საათს ატარებს, ამდენი ვარჯიში კი საჩვენებელ ტურნირში ჩოგნის ერთ-ორი მოქნევას ნამდვილად არ სჭირდება. ამიტომაც გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ კლაისტერსი მალე ქალთა პროფესიულ ტურს დაუბრუნდება.

ბელგიელმა WTA 24 წლის ასაკში ქრონიკული ტრავმების გამო მიატოვა. კიმი ცოლად გაჰყვა ამერიკელ კალათბურთელ **ბრაიან ლინჩს**, რომელთანაც ქალიშვილი **ჯადი** შეეძინა.





# არანჩა უმცროსი

მშობიარობიდან ორი კვირის თავზე, ჟურნალისტების წინაშე წარსდგა ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო და მისი მეუღლე **ხოსე სანტაკანა**.

წყვილმა საზოგადოებას თავისი ახლადდაბადებული გოგონა გააცნო. ბედნიერი მშობლების ფოტოები სწრაფად გავრცელდა ყველა საინფორმაციო საშუალებებით.

გოგონას დედის საპატივცემულოდ არანჩა დაარქვეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# კლიჩკოსა და ჰეის ბრძოლა ჩაშლის პირასაა

კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სუპერმძიმე წონაში ორი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის უკრანელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და ბრიტანელი **დევიდ ჰეის** შორის ბრძოლის გამართვა. თითქოსდა უკვე დასრულებული მოლაპარაკებები კვლავ ჩიხში შევიდა. არადა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ეს საინტერესო ბრძოლა 2009 წლის 20 ივნისს ბერლინში უნდა გამართულიყო.



საკრივო გამოცემები უკვე ასახელებენ 20 ივნისს გასამართ ბრძოლაში ჰეის შემცვლელს. ეს გახლავთ ჯერაც დაუმარცხებელი ამერიკელი **კრის არეოლა**.

ამ უკანასკნელს 2009 წლის 11 აპრილს თანამემამულე **ჯამილ მაკლაინთან** უნდა ეჩხუბა, მაგრამ ეს ბრძოლა სწორედ ვლადიმერ კლიჩკოსთან მოსალოდნელი შეხვედრის გამო გადაიდო.

კლიჩკოსა და ჰეის ორთაბრძოლის შესახებ მოლაპარაკებები 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო, ამა წლის იანვრის ბოლოს კი შეხვედრის თარიღი და ჩატარების ადგილი გამოცხადდა: 20 ივნისი, "ჩელსის" კუთვნილი სტადიონი "სტემფორდ ბრიჯი". 4 მარტს კი ცნობილი გახდა, რომ ბრძოლა ლონდონიდან ბერლინში გადაიტანეს.

